კავკასიის უნივერსიტეტი

2022-2023 სასწავლო წელი

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია 3

2. სადოქტორო პროგრამები 5

2.1. სამართლის სადოქტორო პროგრამა 6

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა 9

2.3. მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა 12

2.4. ეკონომიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა 14

3. სამაგისტრო პროგრამები 16

3.1. ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა 17

3.2. ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა 20

3.3. მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში 24

3.4. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში 26

3.5. სამართლის სამაგისტრო პროგრამა 29

3.6. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა 31

3.7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა 33

3.8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა 35

3.9. შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა 37

3.10. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა 39

3.11. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა 41

3.12. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა 43

3.13. კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამა 47

3.14. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა 51

3.15. სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა 54

3.16. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა 58

3.17. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა 62

3.18. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა 64

4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები 66

4.1. ბიზნესის მართვის ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა (ბიზნეს-კვლევა, გლობალური მენეჯმენტი, მენეჯმენტ-კონსალტინგი) 67

4.2. ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა 69

4.3. ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა 71
4.4. კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა 73
4.5. მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა 75
4.6. ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა 78
5. ერთსაფეხურიანი სამედიცინო 80
5.1. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა..... 81
5.2. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა 90
6. საბაკალავრო პროგრამები 97
6.1. ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამა 98
6.2. ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 100
6.3. სამართლის საბაკალავრო პროგრამა 103
6.4. PR (პიარისა) და კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა 106
6.5. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა 109
6.6. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა 112
6.7. კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 114
6.8. ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა 116
6.9. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა 118
6.10. არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 120
6.11. გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა 122
6.12. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა 124
6.13. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 126
6.14. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა 128
6.15. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა 130
6.16. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა 133
6.17. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 136
6.18. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 139
6.19. ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 142
6.20. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 145
6.21. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა 147
6.22. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა 151
6.23. ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 155
6.24. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა 159

6.25. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა 161
6.26. ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 163

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კავკასიის უნივერსიტეტი (CU) დაარსდა 2004 წლის 24 ოქტომბერს კავკასიის ბიზნესის სკოლის (CSB) ბაზაზე.

თავის მხრივ, CSB დაარსდა 1998 წლის 16 ოქტომბერს აშშ მთავრობის მხარდაჭერით სამი ქართული უსდ-ს (თსუ, სტუ, თეუსი) კონსორციუმის მიერ ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (GSU) პარტნიორობით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი, პირველ რიგში, სათანადო კადრების მომზადებას მოითხოვდა. ეს ვითარება შეუმჩნევლად არ დარჩენიათ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ბედით დაინტერესებულ ქვეყნებს და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს. მათ უკვე ჰქონდათ განვითარებად ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისთვის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის გამოცდილება, რაც პირველ რიგში ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებას გულისხმობდა.

ხსენებულ პერიოდში, საგანმანათლებლო კუთხით, საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან თავისი მასშტაბურობით და ჩადებული ინვესტიციების ოდენობით გამოირჩეოდა აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი - დასავლური ყაიდის ბიზნესის ადმინისტირირების სამაგისტრო (MBA) და საბაკალავრო (BBA) პროგრამების რეალიზაციისთვის ბიზნესის სკოლის შექმნა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ მიზნისთვის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 1997 წელს გამოიყო 750 000 აშშ დოლარი. პროექტის კოორდინაცია

ტენდერის საფუძველზე, წილად ხვდა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ მაკ რობინსონის სახელობის ბიზნესის კოლეჯს. ეს უკანასკნელი ახორციელებდა პროექტის ფინანსურ, ტექნიკურ და საგანმანათლებლო მხარდაჭერას, ქართველი ლექტორების გადამზადებას GSU-ს ბაზაზე (ე.წ. Faculty Development Program) და უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას.

კავკასიის ბიზნესის სკოლამ მიზანშეწონილად ჩათვალა საბჭოურისგან არსებითად განსხვავებული საუნივერსიტეტო სწავლების ის ფორმატი გამოეყენებინა, რომელიც აპრობირებული იყო პარტნიორ ამერიკულ უნივერსიტეტში. კერძოდ, ლექტორი ყოველ საგანში კვირაში ერთხელ 25-30 კაციან ჯგუფში ჩაატარებდა 3 საათიან მეცადინეობას, რომელზეც მოხდებოდა, როგორც ახალი თეორიული მასალის ახსნა და სათანადო პრაქტიკული სავარჯიშოების, ქეისების და ა.შ. განხილვა, ასევე წინა კვირაში ახსნილი მასალის ათვისების დონის შემოწმება და შეფასება. სემესტრის განმავლობაში სავალდებულო იყო შუალედური გამოცდის ჩატარება, სემესტრის ბოლოს კი - დასკვნითი გამოცდის. ამ სამი კომპონენტის საფუძველზე მიიღებოდა საბოლოო შეფასება, ეს იყო უწყვეტი შეფასების არსი, რაც იმჟამად სიახლეს წარმოადგენდა. მაშინვე დაინერგა სტუდენტთა რეიტინგული შეფასების მიზნით საშუალო შეწონილის გამოთვლის (GPA) სისტემა.

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მცდელობით და სწავლა-სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენების შედეგად, კავკასიის ბიზნესის სკოლამ თანდათანობით, მეთოდურად მოიხვეჭა პოპულარობა და ნდობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ამგვარად, CSB გამორჩეულ და აღიარებულ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა, შეიქმნა ყველა წინაპირობა, რათა მოაზრებული ყოფილიყო მის ბაზაზე უნივერსიტეტის შექმნის საკითხი. ამ იდეის განხორციელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ CSB-ს პოპულარობის ზრდის და ნდობის დამკვიდრების კვალობაზე ფინანსურად საკმაოდ მოძლიერდა და გახდა თვითკმარი ორგანიზაცია. შიდა რესურსების და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაიწყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების გეგმაზომიერად მომზადება და რეალიზაცია. ამასთან, უნივერსიტეტის პრიორიტეტებად თავიდანვე დაისახა სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი, გაცვლითი და ორმაგი (ე.წ. Dual) პროგრამების ორგანიზება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ინგლისურენოვანი სწავლება, პრაქტიკაზე ორიენტირებული კურიკულუმები, დომინირებული კვლევითი კომპონენტი და კურსდამთავრებულთა მაქსიმალური დასაქმება.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია კავკასიის უნივერსიტეტის როლი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტის მისია ხაზს უსვამს დასაქმების მნიშვნელობას და, როგორც ეს გადმოცემულია მისიის განაცხადში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. მისიაში განსაზღვრულია კავკასიის უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და პროფილი, გადმოცემულია უნივერსიტეტის კვლევაზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობა. მისია ითვალისწინებს განათლების როლს დემოკრატიის განვითარებაში და აცხადებს, რომ „ზნეობრივად სრულყოფილი“ და „დემოკრატიის იდეალების ერთგული“ სპეციალისტების მომზადება უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისიის განაცხადში უნივერსიტეტი მზაობას გამოთქვამს საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის და ამით ხაზს უსვამს, რომ ცოდნის შექმნა და გაზიარება უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებადაა მიჩნეული.

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

1. სტუდენტის ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი, შესაბამისი საფეხურის უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება მაღალი ხარისხის უმაღლესი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;

2. მეცნიერების განვითარება;
3. სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;
4. უმაღლესი კვალიფიკაციის ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება;
5. სტუდენტებში ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათი ორიენტირება სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისთვის აუცილებელ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე

უნივერსიტეტის დევიზია: „Studium Pretium Libertates“- „ცოდნა თავისუფლების საწინდარია“

ამჟამად, სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) 56 საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას ემსახურება 11 სკოლა (ფაკულტეტი):

1. **კავკასიის ბიზნესის სკოლა;**
2. **კავკასიის სამართლის სკოლა;**
3. **კავკასიის მედიის სკოლა;**
4. **კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა;**
5. **კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა;**
6. **კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა;**
7. **კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;**
8. **კავკასიის განათლების სკოლა;**
9. **კავკასიის ტურიზმის სკოლა;**
10. **კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა;**
11. **კავკასიის ეკონომიკის სკოლა.**

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	56
ბაკალავრიატი	29
მაგისტრატურა	21
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	4

2. სადოქტორო პროგრამები

2.1. სამართლის სადოქტორო პროგრამა

სამართლის სადოქტორო პროგრამა

www.csl.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : სამართლის დოქტორი (0421)

სწავლების ენა : ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით : სასწავლო კომპონენტი 60 ECTS

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სამართლის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ადასტურებს B2 დონის ინგლისური ენის ცოდნას და აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს.

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა : 3 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი :

1. ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
2. დოქტორანტებში ზუსტი და მაღალი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება;
3. თეორიულ-დოქტრინალური, დოგმატური და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული ღრმა სწავლებისა და გააზრების პროცესში, სამართლის თეორიისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების (ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე) გადაწყვეტის მიზნით, სამართლის კონკრეტულ დარგში/ქვედარგში ახალი ცოდნის გენერირება, ინოვაციური მიდგომების განვითარება-დანერგვა, წარმოჩენა და დემონსტრირება იმგვარად, რომ მოახდინოს ზეგავლენა ისეთი ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას, სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, სოლიდარული, მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერებას;
4. მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი, აკადემიური პატიოსნების ურყევ დაცვაზე ორიენტირებული, მაღალეთიკური პროფესიული ქცევისა და კეთილსინდისიერების მქონე, ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების ერთგული სპეციალისტის მომზადება.

სწავლის შედეგები: სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დარგობრივ კომპეტენციებს, რომელიც ეფუძნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:

A. ცოდნა და გაცნობიერება

A1. აღწერს სამართლის დარგის ან ქვედარგის ფარგლებში აკუმულირებულ სამეცნიერო და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, მათ შორის, მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში, დარგის/ქვედარგის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ საწყისებს და განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ეროვნულ ან/და გლობალურ დონეზე (სხვადასხვა სამართლის სისტემის ან/და ქვეყნების ეროვნული

სამართლის ფარგლებში), თეორიასა და პრაქტიკაში მდგარ პრობლემებს და მათი მეცნიერული გადაწყვეტის კონცეპტუალურ მიდგომებს,

A2. სიღრმისეულად ფლობს და იყენებს სამართლებრივი კვლევის, სამეცნიერო წერისა და სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებს.

B. უნარი

B.1. დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს კვლევას აკადემიურ პატიოსნებაზე დაფუძნებულს, იყენებს რა კვლევის სამართლებრივ მეთოდებს და სამეცნიერო წერის თანამედროვე მეთოდებს, ორიენტირებულია რა ახალი ცოდნის შექმნასა და იმ სტანდარტებით საკითხის დამუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;

B.2. დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას უკეთებს ახალ და წინააღმდეგობრივ სამეცნიერო შეხედულებებს, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომებს, ახალ, აქტუალურ და სადავო სასამართლო პრეცედენტებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ქვეყნების მაგალითებზე, ახორციელებს მათ კომპლექსურ და მრავალმხრივ შედარებას, სინთეზს, ანალიზს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და მიდის სამართლებრივ-ღირებულებით განზომილებებზე დაფუძნებულ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებამდე, იღებს სრულად დამოუკიდებელ, ახლებურ და ეფექტურ გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს სამეცნიერო ღირებულება.

B.3. ადგენს, ცოდნის მიღებისა და კვლევის პროცესში, მიღწეული შედეგების სამეცნიერო/აკადემიური სტანდარტების შესაფერისი დოკუმენტირებისა და დემონსტრირების ხერხებს, მეთოდებს, ფორმებს, ქმნის კარგად სტრუქტურირებულ სამეცნიერო ნაშრომს (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში) ქართულ ანდა ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო და პროფესიული აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევით შედეგებს და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას; წარმოაჩენს დისკუსიისა და კამათის მაღალ აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტს.

B.4. გეგმავს პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ, სალექციო, სასემინარო, პრაქტიკუმისა და ცოდნის გადაცემისა და შეფასების პროცესს, მონაწილეობს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და განვითარებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით ან/და სასწავლო საქმიანობას, რომელიც განმტკიცებულია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით; შეიმუშავებს და ქმნის ახალ ცოდნას ორიენტირებულს/აქცენტირებულს სამართლის განვითარებისაკენ, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესზე პოზიტიური ზეგავლენისა და სამოსამართლეო სამართლის დახვეწისაკენ, რაც ემსახურება, პირველ რიგში, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებას, აგრეთვე, სფეროს დემოკრატიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, ხოლო დარგის/ქვედარგის გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის შიგნით მიღებული სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციურობის დემონსტრირებას.

დასაქმების სფეროები: კავკასიის უნივერსიტეტი, დოქტორანტურის კურსდამთავრებულთან შეთანხმებით, აფორმებს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების შესახებ ორწლიან შრომით ხელშეკრულებას. გარდა ამისა, კურსდამთავრებულმა შეიძლება წარმატებით განახორციელოს პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო/პროფესიული საქმიანობა სხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საჯარო ან კერძო სექტორში, ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, საერთაშორისო ან ეროვნულ პროექტებში, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი.

2.2. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

www.csg.ge

პაატა साკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი (0312)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება; სამოტივაციო წერილი; კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სასწავლო კომპონენტი 60 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ოქსფორდის, ამსტერდამის, ვარშავის და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტების შესაბამის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად.

პროგრამა ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევარებს და ექსპერტებს, რომელთაც შეეძლება მეცნიერული მიდგომებით რეგიონში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კვლევა. პროგრამის მიზანია, დოქტორანტმა შეძლოს სიღრმისეული კვლევის ჩატარება და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალი ცოდნის შექმნა. საქართველოში თანდათან იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ დონეზე მცოდნე კადრებზე, რომლებიც კვლევებზე იქნებიან ორიენტირებული. ასეთი კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში, ისე სახელმწიფო ორგანოებში, უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, ასევე რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბის საერთაშორისო ორგანიზაციებში. სადოქტორო პროგრამის მიზანია თეორული საფუძველი შეუქმნას და განუვითაროს სასწავლო-სამეცნიერო-კველვითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მისცეს მათ დარგისთვის საჭირო შესაბამისი თეორიული ცოდნა. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს თანამედროვე კვლევითი მეთოდები და საუკეთესო სწავლების მეთოდები. ამასთან მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია უნივერსიტეტში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კომბინირება გამოცდილების მიღების დროს. კერძოდ, დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით დაიწყონ მეცნიერული სამუშაოები და გამოავლინონ თავიანთი პროფესიონალიზმი, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული სამეცნირო და აკადემიური კარიერის საწყისი საფეხური იქნება.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო

ურთიერთობების დოქტორი, რომელიც:

1. იცნობს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის უახლეს მიდგომებს და სისტემურად და კრიტიკულად იაზრებს სპეციალობის თემატიკას ინტერ-დისციპლინურ ჭრილში.
2. პროფესიულ და ფართო საზოგადოებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე წარუდგენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესახებ სხვადასხვა აქტუალური, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ თუ სინთეზურ ანალიზს და მონაწილეობს თემატურ დისკუსიებში;
3. დამოუკიდებლად ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებულ ინოვაციურ კვლევით ან პროფესიულ პროექტებს, ხელმძღვანელობითი, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი 1: გადმოსცემს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ღრმა, სისტემურ, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას; განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ და თანამედროვე თეორიებსა და კონცეფციებს.
სწავლის შედეგი 2: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორების ინტერესებს, მოტივებსა და მიზნებს. ასევე, კონფლიქტის ძირითად წყაროებს და მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე სადავო საკითხებს.

უნარი

სწავლის შედეგი 3: აანალიზებს და გადაჭრის საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურ საკითხებსა და პრობლემატიკას ნასწავლი კონცეპტუალური და თეორიული მიდგომების გამოყენებით. ახალი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით გეგმავს და უძღვება ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კვლევით პროექტებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მათ შორის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით.
სწავლის შედეგი 4: ახდენს საკუთარი კვლევის შედეგების დემონსტრირებას ადგილობრივი და საერთაშორისო აუდიტორიისთვის, მონაწილეობს სამეცნიერო დისკუსიაში.

პასუხისმგებლობა და ავტონომია

სწავლის შედეგი 5: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში, ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს ან/და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

დასაქმების სფეროები: საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორს შეუძლია დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში,

დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორები შეძლებენ პედაგოგიურთან ერთად, სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებას, ასევე კონკურენტუნარიანები იქნებიან პროფესიაში მაღალი პოზიციების საპასუხისმგებლო თანამდებობების დასაკავებლად.

პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფო ინსტიტუტები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- სამეცნირო და კვლევითი დაწესებულებები;
- ანალიტიკური ცენტრები;
- საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

2.3. მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა

მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის დოქტორი (0203)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა; სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე; კავკასიის ბიზნესის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სასწავლო კომპონენტი 60 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგში მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება სიღრმისეული თეორიული ცოდნა და კვლევის ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები ორგანიზაციული ქცევის და ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის მიმართულებით. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი. ახალი ცოდნის შექმნასთან ერთად პროგრამის მიზანია, დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების საუკეთესო მეთოდებსა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევებს. ასევე, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გააჩნდეს აკადემიური ეთიკის ნორმები და საერთაშორისო დონეზე მოახდინოს საკუთარი თავის ინტეგრირება აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა ასპარეზზე.

სწავლის შედეგები:

1. კურსდამთავრებულს ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა მენეჯმენტის შემდეგ მიმართულებებში - ორგანიზაციული ქცევა, ორგანიზაციული თეორია ან ლიდერობა; ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას აწარმოოს მაღალი რეიტინგის პუბლიკაციის დონის კვლევა მენეჯმენტის მიმართულებით;

- კურსდამთავრებული შეძლებს თანამედროვე და ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას მენეჯმენტის ქვედარგებში და ახალი ცოდნის შექმნას ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის მიმართულებით;
- კურსდამთავრებული შეძლებს კვლევის დაგეგმვამდე და კვლევის განხორციელების პროცესში წამოჭრილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; ასევე მოულოდნელად წამოჭრილი გარემოებების შემთხვევაში საჭირო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას;
- კურსდამთავრებული შეძლებს კვლევით ჯგუფში წარმატებულ მონაწილეობას განსხვავებულ დროსა და სივრცეში თანამდროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური არხების გამოყენებით;
- კურსდამთავრებული შეძლებს არსებული ცოდნის, ახალი კვლევის შედეგისა და ახალი პარადიგმების შესახებ საერთაშორისო დონეზე თემატურ პოლემიკაში მონაწილეობას.

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება;
- კურსდამთავრებულს შეეძლება გაიაზროს, იკვლიოს და დაამკვიდროს აკადემიური და პროფესიული ეთიკის უმაღლესი სტანდარტები.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებები;
- ანალიტიკური კვლევითი ცენტრები;
- მენეჯმენტ კონსალტინგური კომპანიები;
- სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები;
- კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები.

2.4. ეკონომიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა

ეკონომიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა

www.cse.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის დოქტორი (0311)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა; სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე; კავკასიის ეკონომიკის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სასწავლო კომპონენტი 60 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები დაგეგმოს და ჩაატროს დამოუკიდებელი კვლევა ეკონომიკის მიმართულებით;
- პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი მაკროეკონომიკის მიმართულებით და ამასთანავე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებული ფლობდეს სრულფასოვან ცოდნას მიკროეკონომიკის დარგში;
- პროგრამა ორიენტირებულია კურსდამთავრებულმა შეძლოს ინტელექტუალურ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა აკადემიური ნამუშევრის ანალიზი და შეფასება;
- პროგრამის მიზანია დოქტორანტი იცნობდეს კვლევის ეთიკურ ნორმებს და იყოს ჩართული პროფესიულ საქმიანობაში.

სწავლის შედეგები:

- კურსდამთავრებული იყენებს ეკონომიკის დარგში არსებულ თეორიულ, ანალიტიკურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას აწარმოოს საპუბლიკაციო დონის კვლევა. კურსდამთავრებული ეფექტურად ეცნობა ეკონომიკის დარგში არსებულ უახლეს მიღწევებსა და გამოწვევებს.
- კურსდამთავრებული დამოუკიდებლად აყალიბებს საკვლევ თემებს, იყენებს თეორიულ და ემპირიულ მეთოდებს ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს. კურსდამთავრებული ეფექტურად იყენებს ეკონომიკური ანალიზის უნარს ცხოვრებისეულ სიტუაციებში ეკონომიკური საკითხებისა და ეკონომიკური პოლიტიკის გასაანალიზებლად.
- კურსდამთავრებული კრიტიკულად აანალიზებს არსებულ ეკონომიკურ ლიტერატურს, ამოიცნობს შესაძლო გამოწვევებს და იყენებს ამ ინფორმაციას სადისკუსიო და საკვლევი საკითხის წამოსაჭრელად.
- კურსდამთავრებული წარმატებულად წარადგენს საკუთარ კვლევას სხვა მკვლევართა და საზოგადოების წინაშე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით.

- კურსდამთავრებული ეფექტურად მონაწილეობს უცხო ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე გამართულ თემატურ პოლემიკაში.
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული ავითარებს ახალ მიგნებებსა და იდეებს.
- კურსდამთავრებული წარმატებით იყენებს მიღებულ ცოდნას ცხოვრებისეული ეკონომიკური სიტუაციების ანალიზისათვის.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები;
- ანალიტიკური კვლევითი ცენტრები;
- ცენტრალური ბანკები და ეკონომიკის სამინისტროები;
- სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები;
- კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები.

3. სამაგისტრო პროგრამები

3.1. ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) სამაგისტრო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება ; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი და 1 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს თეორიასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი პროფესიონალი ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯერების მომზადებას, რომლებიც თანამედროვე თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული, პრაქტიკული მოღვაწეობით განვითარებული საჭირო უნარ-ჩვევებითა და მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების სიღრმისეული გაცნობიერებით შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ბიზნესის წარმატებულ ადმინისტრირებაში.

კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:

- მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტის მიერ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისკენ და სტუდენტის არჩევანის გაკეთების შესაბამისად, მისცეს ღრმა ცოდნა ერთ-ერთ სპეციალობაში (ფინანსები, მარკეტინგი ან მენეჯმენტი);
- განუვითაროს საშუალო და მაღალი რგოლის (ფინანსური მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, პიარ მენეჯერი, კადრების მართვის მენეჯერი, დირექტორი და ა.შ.) მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს კომპანიებში ლიდერული პოზიციისა და ფუნქციების შესრულებისათვის;
- მოტივაცია გაუჩინოს ანტრეპრენორული და ინოვატორული წამოწყებებისაკენ;

- ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას მიცემული ცოდნისა და განვითარებული უნარების საფუძველზე;
- გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და ჰუმანური ფასეულობები; განუმტკიცოს სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ქცევის მიდგომები.

პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ინდივიდუალური მწარმოებლურობისა და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაზე, ბიზნესში ორიგინალური და ყოვლისმომცველი მმართველობის მისაღწევად. ზოგადი სპეციალობის დისციპლინებთან ერთად სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ღრმა პროფესიული განათლება მართვის ხელოვნებაში. პროგრამა აგებულია, როგორც თეორიული და ანალიტიკური მეთოდოლოგიებით, ასევე გაჯერებულია პრაქტიკული ბიზნეს-სიტუაციების ანალიზით, რაც დამატებით წინაპირობად გვევლინება სტუდენტის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. სამაგისტრო პროგრამის ზემოთაღნიშნული სისტემა ხელს უწყობს კვალიფიციურ, გამოცდილ, სტუდენტთა შორის გამოცდილების გაზიარებას და მაქსიმალურად ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას.

სწავლის შედეგები: თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის დარგობრივ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე და წარმოადგენს წარმატების საფუძველს მაგისტრანტის შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს მას ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებია კურსდამთავრებულმა:

- გააანალიზოს და მართოს კომერციული და არაკომერციული ოგრანიზაციების კონკრეტული ფუნქციური არეები, ფინანსების სფეროს, მარკეტინგის სფეროს, ორგანიზაციის ოპერაციული და სტრატეგიული დაგეგმარება-ოპერირების სხვადასხვა ფუნქციური არეები;
- შეაფასოს და გამოიყენოს ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა, მოახდინოს სხვადასხვა მიდგომების სინთეზი და მათი მეშვეობით მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის გზების დაგეგმვა ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით;
- გამოიმუშავოს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად მუშაობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- მოახდინოს ორგანიზაციისათვის სხვადასხვა ბიზნეს-ფუნქციურ არეში ბიზნეს-სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების (მათ შორის ორგანიზაციის სტრატეგიის, ფინანსური სტრატეგიის, მარკეტინგული სტრატეგიის, საოპერაციო საქმიანობის და ა.შ.) სისტემატიზაცია, გარკვეული ნიშან-თვისებებით ინტეგრირება, შეფასება, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება;
- გამოიყენოს ორგანიზაციის მართვასთან ან/და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების ახალი გზები;
- გამოიმუშავოს, როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის, ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები;
- მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონსტრირება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- მონაწილეობა მიიღოს ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

დასაქმების სფეროები: კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გახსნან და დაიწყონ საკუთარი ბიზნესის მართვა, დაიკავონ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები სპეციალობების მიხედვით, როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია ბიზნესის ნებისმიერ სექტორში:

- საბანკო ინდუსტრია;
- სადაზღვევო ინდუსტრია;
- სხვა ფინანსური ინსტიტუტების ინდუსტრიები;
- აუდიტორული ინდუსტრია;
- ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია;
- ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია;
- სარეკლამო ინდუსტრია;
- მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია;
- სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია;
- სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები;
- არასამთავრობო სექტორი და ა.შ.

3.2. ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (0413)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება (ტესტის ტიპი B) ; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი და 1 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს თეორიასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი პროფესიონალი ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯერების მომზადებას, რომლებიც თანამედროვე თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული, პრაქტიკული მოღვაწეობით განვითარებული საჭირო უნარ-ჩვევებითა და მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების სიღრმისეული გაცნობიერებით შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ ბიზნესის წარმატებულ ადმინისტრირებაში.

კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნებია სტუდენტს:

Obj. 1 მისცეს ბიზნესის ადმინისტრირების კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტის მიერ ამ ცოდნის პრატიკაში გამოყენებისკენ და, სტუდენტის არჩევანის გაკეთების შესაბამისად, მისცეს ღრმა ცოდნა ერთ-ერთ სპეციალობაში (ფინანსები, მარკეტინგი ან მენეჯმენტი);

Obj. 2 განუვითაროს საშუალო და მაღალი რგოლის (ფინანსური მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, პიარ მენეჯერი, კადრების მართვის მენეჯერი, დირექტორი და ა.შ.) მენეჯერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს კომპანიებში ლიდერული პოზიციისა და ფუნქციების შესრულებისათვის;

Obj. 3 მოტივაცია გაუჩინოს ანტრეპრენორული და ინოვატორული წამოწყებებისაკენ;

Obj. 4 ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას მიცემული ცოდნისა და განვითარებული უნარების საფუძველზე;

Obj. 5 გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და ჰუმანური ფასეულობები; განუმტკიცოს სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ქცევის მიდგომები.

პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ინდივიდუალური მწარმოებლურობისა და სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაზე, ბიზნესში ორიგინალური და ყოვლისმომცველი მმართველობის მისაღწევად. ზოგადი სპეციალობის დისციპლინებთან ერთად სამაგისტრო პროგრამის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ღრმა პროფესიული განათლება მართვის ხელოვნებაში. პროგრამა აგებულია როგორც თეორიული და ანალიტიკური მეთოდოლოგიებით, ასევე გაჯერებულია პრაქტიკული ბიზნეს-სიტუაციების ანალიზით, რაც დამატებით წინაპირობად გვევლინება სტუდენტის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კუთხით. სამაგისტრო პროგრამის ზემოთაღნიშნული სისტემა, ხელს უწყობს კვალიფიციურ, გამოცდილ, სტუდენტთა შორის გამოცდილების გაზიარებას და მაქსიმალურად ემსახურება პროგრამის მიზნების მიღწევას.

სწავლის შედეგები: თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის დარგობრივ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე და წარმოადგენს წარმატების საფუძველს მაგისტრანტის შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს მას ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები:

სამაგისტრო პროგრამისკურსდამთავრებულმა:

P.L.O.1 გააანალიზოს და მართოს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების კონკრეტული ფუნქციური არეები კონცენტრაციების მიხედვით. კერძოდ:

P.L.O.1.1 ფინანსების კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა განსაზღვროს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისათვის ფინანსური მმართველობის, ანალიზის, დაგეგმარების, აქტივების შეფასებისა და ფინანსური რისკების მართვის ფუნქციური არეები;

P.L.O.1.2 მარკეტინგის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა განსაზღვროს კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისათვის რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგული სტრატეგიის, პროდუქტის განვითარების, გაყიდვებისა და დისტრიბუციის, მომხმარებელთან ურთიერთობის, ციფრული მარკეტინგის, ახალი პროდუქტის მენეჯმენტის ფუნქციური არეები;

P.L.O.1.3 მენეჯმენტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა განსაზღვროს კომერციული და არაკომერციული ორგნიზაციებისათვის საოპერაციო, სტრატეგიული თუ საკადრო პოლიტიკის, ადამიანური რესურსების, ცვლილებების დაგეგმვის, ინოვაციების, ლიდერობის, სტრატეგიული მენეჯმენტისა, წარმოებისა და მომსახურების კომპანიებში ოპერაციების ფუნქციური არეები.

P.L.O.2. შეაფასოს და გამოიყენოს ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა, მოახდინოს სხვადასხვა მიდგომების სინთეზი და მათი მეშვეობით მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის გზების დაგეგმვა ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით;

P.L.O.3. გამოიმუშავოს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად მუშაობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;

P.L.O.4 მოახდინოს ორგანიზაციისათვის სხვადასხვა ბიზნეს-ფუნქციურ არეში ბიზნეს-სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ინტეგრირება, შეფასება, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება კონცენტრაციის მიხედვით. კერძოდ:

P.L.O.4.1. ფინანსების კონცენტრაციის მიმართულებით კურსდამთავრებულმა მოახდინოს ფინანსური უწყისების, ხარჯების მართვის, ბიუჯეტირების, გადასახადების, ფინანსური რისკების, ფინანსური აქტივების სისტემატიზაცია, გარკვეული ნიშან-თვისებებით ინტეგრირება, შეფასება, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება.

P.L.O.4.2. მარკეტინგის კონცენტრაციის მიმართულებით კურსდამთავრებულმა მოახდინოს მარკეტინგული მონაცემების, მარკეტინგული სტრატეგიის, მარკეტინგული აქტივობების, მომხმარებელთა ქცევის, კონკურენტული ძალების სისტემატიზაცია, გარკვეული ნიშან-თვისებებით ინტეგრირება, შეფასება, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება.

P.L.O.4.3. მენეჯმენტის კონცენტრაციის მიმართულებით კურსდამთავრებულმა მოახდინოს ორგანიზაციული ცვლილებების, ღირებულებათა ჯაჭვის, ადამიანური რესურსების მართვის, საოპერაციო საქმიანობის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და კულტურის სისტემატიზაცია, გარკვეული ნიშან-თვისებებით ინტეგრირება, შეფასება, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება.

P.L.O.5. გამოიყენოს ორგანიზაციის მართვასთან ან/და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტა-მოგვარების ახალი გზები;

P.L.O.6. გამოიმუშავოს როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის, ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები;

P.L.O.7. მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონსტრირება ინგლისურ ენაზე;

P.L.O.8. მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

დასაქმების სფეროები: კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გახსნან და დაიწყონ საკუთარი ბიზნესის მართვა, დაიკავონ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები სპეციალობების მიხედვით, როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია ბიზნესის ნებისმიერ სექტორში:

- საბანკო და ინდუსტრია
- სადაზღვევო ინდუსტრია
- სხვა ფინანსური ინსტიტუტების ინდუსტრიები
- აუდიტორული ინდუსტრია
- ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია
- ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია
- სარეკლამო ინდუსტრია

- მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია
- სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია
- სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები
- არასამთავრობო სექტორი და ა.შ.

3.3. მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

www.csb.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის მაგისტრი (0203)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება (ტესტის ტიპი B) ; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში მიზნებია, სტუდენტს:

- შესძინოს დარგის თეორიული ცოდნა და შეასწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების გზები და ამით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;
- განუვითაროს მმართველობითი უნარები თანამედროვე კონკურენციისა და ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, რამდენადაც ნებისმიერი სფეროს წარმატება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიულ მომზადებასა და შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების ადეკვატურ ცოდნაზე;
- განუვითაროს მენეჯმენტის სპეციალისტისთვის სავალდებულო უნარები, რომლითაც ნათლად შეაფასებს ინდივიდის როლს მენეჯერულ საქმიანობაში, როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით.
- ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას;
- გაუღრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები და განუმტკიცოს მოქალაქეობრივი ღირებულებები.

პროგრამაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ორგანიზაციისა და მისი სხვადასხვა ფუნქციური რგოლების მართვის კონცეფციების გააზრება-შესწავლაზე და ამავდროულად, მათ პრაქტიკაში გამოყენებაზე ისე, რომ დაცული იყოს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები. ამასთან,

პროგრამა ყურადღებას ამახვილებს, როგორც ზოგადი მართვის, ასევე ორგანიზაციაში ფუნქციური არეებისა და სისტემების წარმატებულ გაძღოლაზე.

სწავლის შედეგები: თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის პროფესიულ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე. პროგრამით მიღებული განათლება წარმოადგენს წარმატების საფუძველს შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს კურსდამთავრებულს ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებია, კურსდამთავრებულმა:

- მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვისა და წარმატებული ლიდერობის პოლიტიკა;
- გააანალიზოს და დაგეგმოს ორგანიზაციის სხვადასხვა ფუნქციური არეები;
- მონაწილეობა მიიღოს ინოვაციური პროექტებისა და ბიზნეს წამოწყებების დაგეგმვა-მართვაში;
- გამოიმუშავოს ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარები;
- გამოიმუშავოს, როგორც ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის, ასევე კრიტიკული და სისტემური აზროვნების უნარები;
- მოახდინოს პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმეტნაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაციის შესაძლებლობის დემონისტრირება;
- მონაწილეობა მიიღოს ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიღებული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

დასაქმების სფეროები: კავკასიის ბიზნესის სკოლის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში კურსდამთავრებულები იკავებენ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის პოზიციებს, როგორც კერძო, ისე საჯარო და არასახელმწიფო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება ბიზნესის ნებისმიერ სექტორში ხდება:

- საბანკო ინდუსტრია;
- სადაზღვევო ინდუსტრია;
- ბითუმად და საცალოდ ვაჭრობის ინდუსტრია;
- მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრია;
- სხვადასხვა ტიპის მომსახურებების ინდუსტრია;
- სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები;
- არასამთავრობო სექტორი და ა.შ.

კურსდამთავრებულები იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს, როგორიცაა: კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი; ანალიტიკური სამსახურის მენეჯერი; ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; წარმოების და ოპერაციათა მართვის მენეჯერი; პროექტის მართვის მენეჯერი და სხვა.

უნივერსტეტის კარიერული განვითარების ცენტრის ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული ყოველწლიური კვლევებით დასტურდება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა 100 პროცენტი დასაქმებულია. კურსდამთავრებულებზე მაღალი ხარისხობრივი შეფასებებია მიღებული დამსაქმებლების მხრიდან. პროგრამის კურსდამთავრებულთა ცოდნა და კომპეტენციები შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე მეტყველებს.

3.4. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში (0204)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ფინანსისტები, რომლებიც სიღრმისეული და თანამედროვე ცოდნის, პროფესიული და ტრანსფერული უნარების საფუძველზე შეძლებენ ხარისხიანად განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შეძლებენ, შეეჭიდონ, გააანალიზონ და ადეკვატურად უპასუხონ დარგის თანამედროვე გამოწვევებს. საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

აღნიშნულის მიღწევის მიზნით კურსდამთავრებულებს ექნებათ შემდეგი სახის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

- ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური მიმართულებების ღრმა თეორიული ცოდნა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- მმართველობითი ფუნქციებისა და როლების განხორციელებისას კონცეპტუალური, სისტემური და სტრატეგიული ხედვის, მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბების, პრობლემების დანახვის, მათი კომპლექსურად გაანალიზების და არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე ლოგიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურის და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბების, გუნდური მუშაობის და ინტერპერსონალური ურთიერთობების ხარისხიანად წარმართვის, დარგობრივი და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის (წერილობითი/ვერბალური)უნარი;
- თანამედროვე ტექნოლოგიების და კვლევის მეთოდების გამოყენებით კვლევების დაგეგმვის და განხორციელების უნარი;
- კონკურენტულ და სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტაციის, კრიტიკული აზროვნების, საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, თვითგანვითარების, დასახული მიზნების მიღწევის, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, დროული და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი;

სწავლის შედეგები: თანამედროვე გარემოში ბიზნესში არსებულ გამოწვევებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარების მიზნით, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს უმაღლესი დონის დარგობრივ განათლებას, რომელიც მკაფიოდ იქნება ორიენტირებული მართვის ხელოვნების გამოყენებაზე და წარმოადგენს წარმატების საფუძველს მაგისტრანტის შემდგომი პროფესიული განვითარების გზაზე და აძლევს მას ფართო შესაძლებლობებს მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ კომპეტენციებს.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებია კურსდამთავრებულმა:

- პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ფუნქციონალური მიმართულებების - აღრიცხვა-ანგარიშგების, ბიუჯეტირების, ფინანსების დაგეგმვისა და მართვის, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა, რისკების გაზომვისა და შეფასების, ფინანსური პორტფელების მართვისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების, ფინანსური ინსტიტუტებისა და საბანკო საქმის საკითხების სისტემური ცოდნა, რომელიც ეფუძნება ფინანსების დარგის თანამედროვე ტენდენციებს და გამოწვევებს, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, წესებს, მეთოდებს, ტექნიკებს, მოდელებსა და მიდგომებს;
- პროგრამის კურსდამთავრებულმა ასევე იცის: სტრატეგიული მართვის თანამედროვე კონცეფციები, სტრატეგიული ბიზნეს-კომუნიკაციის ტექნიკები, ბიზნეს-პროცესების ოპერირების სხვადასხვა მოდელები, პროექტების დაგეგმვასა და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, მარკეტინგული სტრატეგიის ანალიზისა და შეფასების მეთოდები, მენეჯერული ეკონომიკის თეორიები, სტატისტიკური და რაოდენობრივი მეთოდები, კვლევების ძირითადი მიდგომები და ეტაპები, კვლევისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები, ორგანიზაციული სტრუქტურის, კულტურის და ღირებულებების შემუშავებასა და მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია, ბიზნესის სტრატეგიის შეფასება, ხარისხობრივ და რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედებების დაგეგმვა, პროექტების შემუშავება და კონტროლი;
- კომპანიის საოპერაციო პროცესების მართვა, მისი ორგანიზაციული მოწყობა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის ეკონომიკური პროცესების ანალიზზე დაყრდნობით;
- ბიზნესში განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრული დამუშავება და საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, ანგარიშგების კრიტიკული ანალიზი და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, ფინანსების მართვა, ხარჯების კონტროლი, ბიუჯეტირება;
- ფინანსური ინსტიტუტების ანალიზი და შეფასება, ფასიანი ქაღალდების და კომპანიების რეალური ღირებულების დადგენა, ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით ოპტიმალური საინვესტიციო პორტფელის შედგენა, რისკების ანალიტიკა და მართვა;
- საკვლევი საკითხის ირგვლივ მოძიებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი მეთოდოლოგიით დამუშავება, სინთეზი და სიღრმისეული შესწავლა; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება;
- ბიზნეს გარემოში, როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ჯგუფურ და სისტემურ დონეზე ეფექტური კომუნიკაცია - სხვადასხვა სახის მონაცემთა წყაროებზე დაყრდნობით წერილობითი ანგარიშების/რეპორტების შემუშავება, პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა;
- სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და დროის რაციონალურად განაწილება. ინფორმაციის დამოუკიდებლად მოიძიება, დამუშავება და მიზნობრივად გამოყენება. კვლევის განხორციელება და მისი აკადემიური წერის ნორმების დაცვით გაფორმება;

- ორგანიზაციული კულტურისა და ღირებულებების გათავისება. საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, პუნქტუალობის, პასუხისმგებლობის და კონფიდენციალურობის მნიშვნელობის ცოდნა/გაცნობიერება, საქმის წარმოება ეთიკის ნორმების დაცვით.

დასაქმების სფეროები: კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გახსნან და დაიწყონ საკუთარი ბიზნესის მართვა, დაიკავონ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები სპეციალობის მიხედვით, როგორც კერძო სექტორში, ასევე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულების დასაქმება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:

- ბიზნესის მართვა, განვითარება, ანალიტიკა;
- ფინანსების დაგეგმვა, მართვა, მონიტორინგი;
- ფინანსური რეპორტინგი, ანალიზი, პროგნოზირება;
- ბიუჯეტირება და კონტროლი;
- კორპორაციული საბანკო მომსახურება;
- საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვა;
- სტრატეგიული პროექტების დაგეგმვა და მართვა;
- საოპერაციო პროცესების დაგეგმვა და მართვა;
- ინვესტორებთან ურთიერთობა და ფინანსური რესურსების მოზიდვა;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;

3.5. სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

www.csl.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (0421)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

1. გაუღრმავოს სტუდენტს ცოდნა კერძო, საჯარო, სისხლის, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით საკუთარი ინტერესის - არჩეული მოდულის ფარგლებში, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით, ან/და შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, პროფესიული ინგლისურისა და თარგმანის შესაძლებლობების გაზრდით.
2. შესძინოს სტუდენტს შესაბამისი მიმართულებით თანამედროვე მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული კვლევის განსახორციელებლად აუცილებელი უნარები, რომელიც მიმართული იქნება ქართული სამართლის სრულყოფისა და განვითარებისაკენ, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების ეროვნულ სამართალსა და პრაქტიკაზე ზეგავლენის შემეცნებით, კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ ცოდნის გაძლიერებით.
3. შემატოს პროფესიას კომპლექსურად, ობიექტურად და ჭეშმარიტი ღირებულებების საფუძველზე მოაზროვნე იურისტები, რომელთაც ძალუძთ რთული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა ისე, რომ დაცული იყოს ადამიანის უფლებათა უზენაესობა, კერძო ავტონომიის თავისუფლება და საჯარო ინტერესების თანაზომიერების, განსაზღვრულობის, ეფექტიანობის, ეფექტურობის პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები: **სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი არჩეული მოდულის მიხედვით:**

A - ცოდნა და გაცნობიერება:

A.1. აღწერს კერძო, სისხლის, საჯარო ან საერთაშორისო სამართლის ურთიერთობათა მოწესრიგების თეორიულ-დოგმატურ და სისტემურ თავისებურებებს შედარებითსამართლებრივ კონტექსტში, ასევე სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემების ეტიმოლოგიას, მათი გადაწყვეტის მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და შინაარსობრივ საკითხებს, დოქტრინისა და

სამოსამართლო სამართლის განვითარების ადგილობრივ ან/და უცხოურ ტენდენციებს, აკადემიური და სამოსამართლო ეთიკის წესებს, სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

A.2. ხსნის და განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის, ევროკავშირის სამართლის ზეგავლენას ეროვნული სამართლის განვითარებაზე, შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას.

B - უნარი:

B.1. იდენტიფიცირებას უკეთებს თეორიულ, სისტემურ და პრაქტიკულ პრობლემებს ნორმატიული მოწესრიგებისა თუ სამართალგამოყენების სიბრტყეებში, სთავაზობს მათი გადაწყვეტის ახალ გზებს და ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების, რეკომენდაციების დემონსტრირებას, პროფესიულ და ფართო საზოგადოებაში წერილობითი და ზეპირი ფორმით.

B.2. სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს კვლევას, მოიპოვებს სამართლებრივ და სხვა რელევანტურ მონაცემებს, ნორმათა კლასიკური განმარტების, შედარებითსამართლებრივი, ინტერდისციპლინური ანალიზის, რთული სამართლებრივი შემთხვევების შეფასების საფუძველზე, გამოაქვს ადეკვატური დასკვნები, რაც იძლევა შესაბამისი მიმართულებით სამართლის დახვეწისა და განვითარებისათვის ხელშესახები შედეგების წარმოჩენის შესაძლებლობას.

C - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

C.1. თვალყურს ადევნებს სამართლის განვითარების ტენდენციებს, მოიძიებს და ამუშავებს ახალ ინფორმაციას, აქცევს მას კვლევით ან/და პრაქტიკულ პროფესიულ პროდუქტად და ამ გზით წარმოაჩენს მუდმივი, დამოუკიდებელი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ პოტენციალს.

C.2. აკადემიური პატიოსნების წესების დაცვით კვლევის განხორციელებისას ან/და პრაქტიკული საქმიანობისას დემონსტრირებას უკეთებს პროფესიული (მათ შორის, სამოსამართლო) ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების შემეცნების ფაქტს, მათი განვითარებისა და დახვეწის პროცესში მონაწილეობისა და თანამონაწილეობის უნარსა და მზადყოფნას, დემოკრატიული და სამართლებრივი ფასეულობებისადმი პატივისცემას.

დასაქმების სფეროები: სამართლის მაგისტრს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სამართლის მაგისტრს შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი აკადემიური კვლევა ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.

სამართლის მაგისტრი მომზადებულია მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად.

სამართლის მაგისტრს შეუძლია საქმიანობა მულტიკულტურულ პროფესიულ გარემოში დაწესებულების მოქმედების ტერიტორიული არეალის მიუხედავად.

3.6. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა

www.csm.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი (0414)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც დარგი, რამდენიმე ათეული წელია განსაკუთრებით განვითარდა. მასზე მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიებისა თუ პირების წარმატება. დარგის განვითარებისა და ამ სფეროს სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, კავკასიის მედიის სკოლა მიზნად ისახავს სტარტეგიული კომუნიკაციის სპეციალისტების - ამ სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლების მომზადებას.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

მიზანი N1: კურსდამთავრებულს ჰქონდეს სტრატეგიული კომუნიკაციის თეორიული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა.

მიზანი N2: კურსდამთავრებულს ჰქონდეს პრაქტიკული უნარები სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში სამუშაოდ: შეძლოს სტრატეგიული საკომუნიკაციო დოკუმენტის შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი, ინტეგრირებული მარკეტინგის, მედიასთან ურთიერთობების, ციფრული მედიის, რეკლამისა და მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე.

მიზანი N3: კურსდამთავრებულს ჰქონდეს მენეჯერული უნარები, შეძლოს იყოს ლიდერი გუნდში; ჰქონდეს უნარი, რომ სწრაფად ადაპტირდეს სფეროში არსებულ სიახლეებთან, დანერგოს და განავითაროს კრეატიული იდეები.

მიზანი N4: კურსდამთავრებულს ჰქონდეს კვლევის წარმოებისა და შედეგების ანალიზის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

მიზანი N5: კურსდამთავრებულს გააზრებული ჰქონდეს საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რასაც სფეროში არსებული გამოწვევები მას აკისრებს. იცოდეს მისი, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტის როლი დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში.

პროგრამის მიზანი სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მიზნებსა და სტრატეგიასთან.

სწავლის შედეგები: პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტებს, რომლებსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

შედეგი N1: კურსდამთავრებული იყენებს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, აცნობიერებს სფეროში არსებულ გამოწვევებს, სწრაფად იაზრებს და იყენებს ნოვაციებს.

შედეგი N2: კურსდამთავრებული გამოიმუშვებს კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო ყველა კომპეტენციას, მათ შორის: მაღალ დონეზე, აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით, ქმნის საჭირო დოკუმენტებსა და ვერბალურ თუ ვიზუალურ პრეზენტაციებს.

შედეგი N3: კურსდამთავრებული მაღალი პროფესიული სტანდარტით გეგმავს, აღასრულებს და აფასებს პიარ კამპანიებს. ამისთვის ის კომპლექსურად და სიღრმისეულად აანალიზებს კომუნიკაციის სფეროს მახასიათებლებს. მედიასთან ურთიერთობის, მარკეტინგის, ციფრული მედიისა და რეკლამის სფეროების ცოდნასა და საჭირო პრაქტიკულ უნარებს იყენებს სხვადასხვა სექტორისთვის: პოლიტიკისთვის, ბიზნესისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ.

შედეგი N4: კურსდამთავრებულს უყალიბდება სფეროში მომუშავე მენეჯერისთვის საჭირო უნარები, მათ შორის: უძღვება და მართავს პროექტებს; სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, ითვალისწინებს და შეიმუშავებს ნოვატორულ, ორიგინალურ და კრეატიულ იდეებს.

შედეგი N5: კურსდამთვრებული გეგმავს და ახორციელებს აკადემიურ კვლევას - აწარმოებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევას და ამ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში; ასევე, აანალიზებს სხვისი კვლევის შედეგებს და იყენებს მათ სტრატეგიულ საკომუნიკაციო დოკუმენტზე მუშაობისას.

შედეგი N6: კურსდამთავრებული აანალიზებს, იზიარებს და იცავს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროსა და პროფესიაში არსებულ ღირებულებებსა და ნორმებს; თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს როგორც სტრატეგიული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთოებების სფეროში, ასევე კომუნიკაციის მომიჯნავე მიმართულებებშიც - მარკეტინგში, სარეკლამო სფეროში. ასევე, პროფილურ კვლევით პროექტებსა და ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, რომ იმუშაოს საჯარო დაწესებულებებშიც, კერძო კომპანიებშიც, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ასევე, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოებსა და პროექტებში.

3.7. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში (040101)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აღნიშნული ან მონათესავე დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს გამოუმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება;
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

სწავლის შედეგები: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს და ხსნის ინფორმაციული სისტემების უახლეს თეორიებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს, მართვის მეთოდოლოგიებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, მსჯელობს მათ შესახებ.
2. აყალიბებს და გეგმავს ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიას, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესებს;
3. იყენებს, ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს, სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარებს;
4. აანალიზებს და იყენებს ორგანიზაციისთვის მორგებულ თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიებს, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარებს;

5. საზღვრავს და ათვითცნობიერებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ეთიკურ პრობლემებს, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპებს;
6. თანამედროვე მეთოდოლოგიით, სათანადოდ წარმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს.

დასაქმების სფეროები: გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა აერთიანებს ტექნიკურ და მენეჯერულ კომპონენტებს, კურსდამთავრებულებს ეძლევათ განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობები პროფესიული წინსვლისთვის.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო სექტორი, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სხვა.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: საინფორმაციო სისტემების კონსულტანტი, მთავარი საინფორმაციო ოფიცერი (CIO), მთავარი ტექნიკური ოფიცერი, პროექტის მენეჯერი, ტექნიკური სპეციალისტი, ქსელის მენეჯერი/ანალიტიკოსი, ბიზნეს ანალიტიკოსი, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მენეჯერი და ა.შ.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები არიან როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, საერთაშორისო კომპანიები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები და სხვა.

3.8. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი (0619)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: აღნიშნული ან მონათესავე დარგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს გამოუმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, მისცეს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა, ასევე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ცოდნა და ამით უზრუნველყოს კვალიფიკაციის შესაბამისად წამყვან პოზიციებზე მათი დასაქმება;
- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალი დონის სპეციალისტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნითა და ბიზნესის გარემოსა და სტრატეგიის კარგი ანალიზის, ინოვაციური მეთოდებით მართვის და პრობლემების ანალიტიკურად გადაჭრის უნარით.

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს და ხსნის ინფორმაციული სისტემების უახლესი თეორიებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების როლს, მართვის მეთოდოლოგიებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, მსჯელობს მათ შესახებ.
- აყალიბებს და გეგმავს ორგანიზაციაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების სტრატეგიას, სერვისების მიწოდება/მომსახურების პროცესებს;
- იყენებს, ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს, სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, სარისკო და დინამიურად ცვალებად გარემოში მოქმედების უნარებს;
- აანალიზებს და იყენებს ორგანიზაციისთვის მორგებულ თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიებს, ინფორმაციული სისტემების კომპლექსური პრობლემების შეფასების და მათი ინოვაციური მეთოდით გადაჭრის უნარებს;

- საზღვრავს და ათვითცნობიერებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ეთიკური პრობლემებს, საინფორმაციო უსაფრთხოების, მისი დანაშაულისა და ეთიკის პრინციპებს;
- თანამედროვე მეთოდოლოგიით, სათანადოდ წარმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო თეორიული და პრაქტიკული კვლევებს.

დასაქმების სფეროები: გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა აერთიანებს ტექნიკურ და მენეჯერულ კომპონენტებს, კურსდამთავრებულებს ეძლევათ განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობები პროფესიული წინსვლისთვის.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო სექტორი, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო და სხვა.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: საინფორმაციო სისტემების კონსულტანტი, მთავარი საინფორმაციო ოფიცერი (CIO), მთავარი ტექნიკური ოფიცერი, პროექტის მენეჯერი, ტექნიკური სპეციალისტი, ქსელის მენეჯერი/ანალიტიკოსი, ბიზნეს ანალიტიკოსი, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მენეჯერი და ა.შ.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები არიან როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, საერთაშორისო კომპანიები, სატელეკომუნიკაციო კომპანიები და სხვა.

3.9. შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროფესიული უსაფრთხოების მაგისტრი (1022)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს მისცეს შრომის უსაფრთხოებაში კვლევებზე და საერთაშორისო გამოცდილებებზე დაფუძნებული სიღრმისეული და სისტემური ცოდნა;
- მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დონის სპეციალისტი პროფესიული უსაფრთხოების მენეჯმენტში საწარმოო პროცესებში არსებული რისკფაქტორების სწორი შეფასების უნარით, საგანგებო და ექსტრემალური სიტუაციების მართვის თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნით და კონკრეტული პრობლემების ანალიზისა და მათი გადაჭრისთვის საჭირო ოპტიმალური აქტივობების შერჩევის უნარით;
- განუვითაროს კონკრეტული მიმართულების საწარმოში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის დამოუკიდებლად კვლევის, ანალიზისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის საჭირო გზების და მეთოდების სწორი შერჩევის უნარი.

სწავლის შედეგები: შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- იცის ორგანიზაციების მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებები, იყენებს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის მექანიზმებსა და მეთოდებს;
- გეგმავს შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს საწარმოში არსებული ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით რისკების ანალიზის და შეფასების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე;
- ახდენს საწარმოში მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორების განსაზღვრას და საწარმოო პერსონალზე მათი პოტენციური გავლენის კომპლექსურ შეფასებას;
- აანალიზებს პროფესიული დავადებების და უბედური შემთხვევების სტატისტიკურ მონაცემებს და პერსონალზე სამუშაო პირობების უარყოფითად ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით გეგმავს შესაბამის პროფილაქტიკური ღონისძიებებს;
- გეგმავს შრომის ოპტიმალური პირობების შექმნისთვის აუცილებელ ღონისძიებათა სისტემას და განსაზღვრავს შესაბამისი კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებსა და სხვა პრევენციულ ღონისძიებებს;

- უზრუნველყოფს საგანგებო პირობებში და ექსტრემალურ სიტუაციებში პერსონალის უსაფრთხოების დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ოპტიმალური გეგმის შედგენასა და რეალიზებას;
- აფასებს და სხვებს უზიარებს პროფესიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო ან კერძო დაწესებულებაში, საკონსულტაციო კომპანიაში, საპროექტო და დეველოპერულ ორგანიზაციაში, მომსახურების სექტორში, მომეტებული საფრთხის, მძიმე და სიშიშრობებიანი საქმიანობის მწაროებელ ორგანიზაციებში, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ობიექტზე, გადამამუშავებელ საწარმოში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შემდეგ პოზიციებზე: მენეჯმენტის წარმომადგენელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მრჩეველი, მოადგილე შრომის უსაფრთხოების საკითხებში, შრომის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ზედამხედველი, კონსულტანტი, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერი.

3.10. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

www.csg.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0312)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, რომელიც:

- აღწერს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპებს, თეორიებს, ანალიზის მოდელებს და პრაქტიკას.
- აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორთა როლსა და ადგილს, აფასებს და განასხვავებს სახელმწიფო და არასახელმწიო აქტორთა პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს.
- კვლევის შესაბამისი მეთოდის, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახდენს მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, კრიტიკულ ანალიზსა და სინთეზს და აყალიბებს დასკვნებს, რომელშიც აისახება პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობები.
- ახდენს პროფესიული ცოდნის ეფექტურ წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე.
- წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში და დამოუკიდებლად განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სფეროს ღრმა, სისტემურ და ინტერდისციპლინურ სურათს;
2. აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათ გავლენას სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე. ანსხვავებს აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო ფორმებს. აცნობიერებს ამ ურთიერთობებში დიპლომატიისა და ძალის მნიშვნელობასა და როლს.
3. აღწერს საქართველოს ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში; ესმის საქართველოს ინტერესები და მათი რეალიზაციის სხვადასხვა საშუალებები.

უნარი

4. იდენტიფიცირებას ახდენს და ინტეგრირებული მიდგომითა და თეორიული ჩარჩოს გამოყენებით აანალიზებს და კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ საკითხებს; განასხვავებს აქტორთა საზოგადო, ეროვნულ და კერძო ინტერესს, შეიმუშავებს ამ ინტერესის დამცველ ან კრიტიკულ პოზიციას.
5. სწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციასა და უნარებს შეუსაბამებს დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებს და იყენებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.
6. დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აანალიზებს განყენებულ მონაცემებს, მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს და უკავშირებს კონკრეტულ პრაქტიკულ შემთხვევას.
7. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ შესაბამისი ფორმატის კომუნიკაციას როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

8. გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს კომპლექსურ გარემოში, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

დასაქმების სფეროები: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა პროფილის მქონე კერძო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში, სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო და საერთაშორისო კავშირების წარმართვასთან.

3.11. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

www.csg.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს საჯარო მმართველობის სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი არიან ორგანიზაციული მართვისათვის საჭირო თეორიული, მულტიდისციპლინური, მულტისექტორული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნით; გააჩნიათ საჯარო მართვის განხორციელების ინსტიტუციური, სამართლებრივი, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების საფუძვლიანი და პრაქტიკული ცოდნა; შეუძლიათ ინტეგრირებული მიდგომების საფუძველზე, საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე მკაფიო კომუნიკაცია და შესაბამისი კვლევითი მეთოდების გამოყენებით კვლევითი თუ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. ასევე, შეუძლიათ შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიული ფასეულობების პრინციპებზე დაყრდნობით მართვისა და ლიდერული ფუნქციების შესრულება.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რაც მდგომარეობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“-ში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა

- კურსდამთავრებულს ექნება საჯარო მმართველობის და საჯარო პოლიტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა და შეძლებს ორიგინალური იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გაცნობიერებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- გააზრებული ექნება რეგულირებისა და კანონმდებლობის როლი სახელმწიფო მართვაში და აცნობიერებს მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლს დემოკრატიული, გამჭვირვალე, კანონის უზენაესობაზე დამყარებული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში;

- ექნება მომიჯნავე დარგების და მათ შორის არსებული კავშირების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა და აცნობიერებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამგვარი კავშირების და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენების მნიშვნელობას.

უნარები

- შეძლებს გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებას, მართვისა და რეგულირების გავლენის მექანიზმების შეფასებას სხვადასხვა სფეროებზე და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- შეძლებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული, მკტიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბებას და კვლევის შესაბამის მეთოდებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს;
- შეძლებს საჯარო რესურსების ეკონომიურად, პროდუქტიულად და ეფექტიანად გამოყენებას და პატიოსნებაზე და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდობით, გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებით, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების საფუძველზე მდგრადი განვითარების, ღია, შედეგზე ორიენტირებული და კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- ექნება საჯარო მმართველობის სფეროში არსებული და დამკვიდრებული ეთიკური ნორმების პატივისცემა; მოქმედებს და გადაწყვეტილებებს იღებს დემოკრატიული მმართველობის პრინციპების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების და კანონის უზენაესობის გათვალისწინებით;
- შეძლებს განახორციელოს კარგი მმართველობა სხვა ლიდერებთან, საჯარო და კერძო სექტორთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ანგარიშვალდებულებით და მიიღოს გამჭირვალე, ანგარიშვალდებული გადაწყვეტილებები საზოგადოების სასიკეთოდ. არის როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშობის პორინციპების დამცველი.

დასაქმების სფეროები: საჯარო მმართველობის მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საკონსულტაციო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და მაღალი დონის მენეჯერებისა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე.

3.12. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი (070709)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ფსიქოლოგიაში/ფსიქიატრიაში; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კლინიკური ფსიქოლოგიის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის, სასამართლო და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის განხრით. სამაგისტრო პროგრამის მიზანია კლინიკური ფსიქოლიგიის თეორიებსა და მიზნობრივი ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში მაგისტრისთვის რელევანტური ცოდნის უზრუნველყოფა.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა მიდგომით, რომელიც გულისხმობს ფოკუსირებას ორ თანაბარ მოდულზე და გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სფეროებში, აგრეთვე ამ დარგების, როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მიმდინარეობების და მეთოდების გათვალისწინებას. არსებული პროგრამა ორიენტირებულია კლინიკური ფსიქოლოგიის პრაქტიკულ სამუშაოზე და თანამედროვე მეთოდების ათვისებაზე, რომელიც დაკავშირებულია ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოკონსულტირების, ფსიქოთერაპიისა და ფსიქორექციის შესწავლაზე და რაც მთავარია, შემოქმედებითი, კონსტრუქციული და ინოვაციური მიდგომის გამომუშავებაზე თანამედროვე სწრაფად ცვლად სოციალურ გარემოში.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში თანამედროვე რეალობის შემსწავლელი, ახალი თაობის მეცნიერთა მომზადება, რომლებიც შესაბამის მეთოდოლოგიასა და სპეციალიზირებულ საგნებში მიღებული ცოდნის ფარგლებში შეძლებენ, როგორც კლინიკური ფსიქოლოგიის, ფსიქოკონსულტირების, ფსიქოთერაპიის და ფსიქოდიაგნოსტირების, ისე კრიმინოლოგიური და სასამართლო ფსიქოლოგიის და შესატყვისი იურიდიული საგნების შესახებ ცოდნის დაგროვებას, ასევე თანამედროვე კონტექსტის გააზრებას ფსიქოლოგიური პრობლემების და ფსიქიკური აშლილობებისა და დანაშაულებრივი ტენდენციის მქონე, განსასჯელ თუ მსჯავრდებულ პიროვნებებთან მიმართებით; ასევე, ფლობენ პრაქტიკული ფსიქოდიაგნოსტიკის და დანაშაულის დიფერენცირების სფეროში კვლევის ჩატარების უნარ–ჩვევებს. მაგისტრებს ექნებათ სიღრმისეული ცოდნა კლინიკური ფსიქოლოგიის მუშაობის პრინციპების შესახებ. მაგისტრები შეძლებენ კვალიფიციური მიზნობრივი ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარებას, არსებული რეალობის სიღრმისეულ გაანალიზებას და მნიშვნელოვანი

რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ჯანსაღი, მოზარდი და სრულწლოვანი მოსახლეობის განვითარების პროცესისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ისევე როგორც მათ ექნებათ ზემოთ დასახელებულ სფეროების სპეციალისტისთვის აუცილებელი პროფესიული მსოფლმხედველობა.

სამაგისტრო პროგრამა კლინიკურ ფსიქოლოგიაში **მიზნად ისახავს:**

- სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა კლინიკური ფსიქოლოგიის კლასიკური და თანამედროვე თეორიების, კვლევის მეთოდების, ფსიქოკონსულტირების, ფსიქოდიაგნოსტიკის, სასამართლო-საექსპერტო საქმიანობის და ფსიქოკორექციის შესახებ არსებული თანამედროვე მიდგომების, ინტერპრეტაციებისა და მიზნობრივი სელექციის პერსპექტივების შესახებ;
- უზრუნველყოს სტუდენტების მიერ კლინიკური ფსიქოლოგიის თეორიებსა და შესაბამისი მიზნობრივი კვლევის მეთოდოლოგიაში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ემპირიული, კონკრეტული ფსიქოლოგიური და ფსიქოდიაგნოსტური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის **მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს:**

- საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების, გლობალური ცვლილებების, განვითარების ტენდენციების ხედვისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის, ფსიქოკონსულტირების, ფსიქოდიაგნოსტიკის და სასამართლო საექსპერტო საქმიანობის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;
- საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის უნარი;
- კლინიკური ფსიქოლოგიისთეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და კომპლექსური სოციალური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, აგრეთვე ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;
- თანამედროვე ფსიქოქოთერაპიული, ფსიქოდიაგნოსტიკური და სასამართლო-საექსპერტო სფეროში არსებული ტექნიკების და მეთოდების გამოყენების უნარი;
- პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.

სწავლის შედეგები: კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

სწავლის შედეგი 1. აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.
ინდიკატორები:

- აქვს კლინიკური ფსიქოლოგიის კლასიკური და თანამედროვე თეორიული საფუძვლების, მისი განვითარების ტენდენციებისა და ფსიქოთერაპიული, ფსიქოსადიაგნოსტიკო და საკორექციო, ასევე სასამართლო-საექსპერტო მიდგომების სიღრმისეული ცოდნა;
- სიღრმისეულად ფლობს ფსიქოსაკონსულტაციო, ფსიქოდიაგნოსტიკური და საექსპერტო ტესტირების კვლევის მეთოდოლოგიას, მეთოდიკას და ტექნიკას, აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მიზნობრივი ფსიქოლოგიური გამოკვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარები;

- ღრმად იცნობს კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში პრაქტიკული მიზნებისთვის გამოსაყენებელ სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მიდგომებსა და ხედვებს;
- გაცნობიერებული აქვს კლინიკური ფსიქოლოგიის მნიშვნელობა და მისი როლი თანამედროვე ჯანსაღი და სოციალიზებული საზოგადოების ფორმირების პროცესში;
- სიღრმისეულად იცნობს ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოკონსულტაციის და სასამართლო საქესპერტო საქმიანობის ფუნქციონირების პრინციპებს;
- იცის პიროვნების სხვადასხვა ტიპისთვის მისი ფუნქციისა და ინტერვენციის სახეების შესახებ;
- სიღრმისეულად იცის ფსიქოლოგიური ინტერვენციის კლასიკური და თანამედროვე თეორიები და მეთოდები.

სწავლის შედეგი 2. შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

ინდიკატორები:

- შეუძლია ფსიქოლოგიური პრობლემების და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის საკვლევი მეთოდების შერჩევა და მათი დამოუკიდებლად კვლევა;
- აქვს უნარი, შეარჩიოს მიზნობრივი ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტი და მისი კვლევის კონკრეტული მეთოდი და ამ მეთოდის გამოყენებით გაანალიზოს პრობლემა;
- შეუძლია ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ფსიქოთერაპიული მეთოდის შერჩევა და ჩატარება;
- შეუძლია მსჯავრდებული პიროვნებისთვის ადეკვატური სარეაბილიტაციო-სატრენინგო პროგრამის შერჩევა და ჩატარება;
- შეუძლია კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, როგორც ფსიქოკონსულტირების, ისე კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სფეროში;
- ჩამოყალიბებული აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეუძლია კრიტიკული აზროვნება და თვითკრიტიკა;
- შეუძლია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა, ზეპირი და წერითი კომუნიკაცია, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა პროფესიული საქმიანობის სფეროში;
- წარმატებით იყენებს კლინიკური ფსიქოლოგიის, ფსიქოკონსულტირების და კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიის სფეროში მიღებულ ცოდნას პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების დროს;
- აყალიბებს ორიგინალურ იდეებს, სახავს და ფლობს პრობლემის გადაჭრის გზებს.

სწავლის შედეგი 3. შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

ინდიკატორები:

- მაგისტრს შეუძლია კლინიკური ფსიქოლოგიის ველებში პრობლემების იდენტიფიცირება, გაანალიზება და მათზე დასაბუთებული რეაგირების მოხდენა;
- ასევე, სფეროში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, კონკრეტული რეალობის გაანალიზება, სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალის შეჯერება, არგუმენტირებული დასკვნების წარმოდგენა და ახალი იდეების გენერირება.

სწავლის შედეგი 4. შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.

ინდიკატორები:

- მაგისტრს შეუძლია ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე;
- აქვს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის უნარი;

- წარმატებით მონაწილეობს სემინარებში, დებატებსა და საჯარო გამოსვლებში;
- შეუძლია სამეცნიერო სტატიების მომზადება, სამეცნიერო კონფერენციებზე საკუთარი ნააზრევის არგუმენტირებულად წარმოდგენა;
- აქვს უნარი წარმართოს დისკუსია და საჯაროდ წარადგინოს და დაიცვას საკუთარი მოსაზრებები.

სწავლის შედეგი 5. შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.

ინდიკატორები:

- მაგისტრს აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- შეუძლია ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან და მათი გამოყენება კონკრეტული პრობლემის გასაანალიზებლად;
- ახერხებს ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, ინტერნეტრესურსები, ფოტო, აუდიო, ვიდეოტექსტები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;
- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, დროის რაციონალურად განაწილება, სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, პროექტის შემუშავება და მისი ყოველი შემდეგი ეტაპის თანმიმდევრულად დაგეგმვა.

სწავლის შედეგი 6. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

ინდიკატორები:

- მაგისტრს გაცნობიერებული აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები და იცავს მას;
- ახასიათებს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და აქვს განსხვავებული კულტურების მიმღებლობა;
- გამოირჩევა კულტურული თავისებურებების შესწავლისადმი მზაობით და გააჩნია სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებები.

დასაქმების სფეროები: კლინიკურ ფსიქოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ საჯარო თუ არასაჯარო ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, რომელიც კლინიკური ფსიქოლოგის, ფსიქოდიაგნოსტიკის და კრიმინალური ფსიქოლოგის კვალიფიკაციას საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი შეიძლება დასჭირდეს საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, სასამართლოს, დახურული თუ ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებს, გამოძიებას. უფრო კონკრეტულად, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრს შეეძლება დასაქმდეს: განათლების, ჯანდაცვის, სასამართლოს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სფეროში, ფსიქოდიაგნოსტად, ფსიქოკონსულტანტად, ფსიქოკორექტორად, სასამართლო ექსპერტად და ექსპერტ-ანალიტიკოსად; ის ასევე შეიძლება დასაქმდეს რაიონულ და საქალაქო სოციალური მომსახურების ცენტრებში.

3.13. კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამა

კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი (0313)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ფსიქოლოგიაში/ფსიქიატრიაში; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მენტალური თერაპიის დარგში მსოფლიოში ფართოდ დანერგილი არტთერაპიული მეთოდი და მოამზადოს კლინიკური ფსიქოლოგიის სპეციალისტები არტთერაპიის სპეციალიზაციით.

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ადამიანების მენტალური გაჯანსაღების პროცესს მოემსახურებიან. არტთერაპიის მეთოდის გამოყენებით პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ახალი, ეფექტური კომპონენტის შეტანას მენტალური თერაპიის პრაქტიკაში. მისი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ერთობლიობა წარმოადგენს არტთერაპევტის მსოფლმხედველობის და სისტემური აზროვნების ჩამოყალიბების გარანტიას და პროგრამით დასახულ მიზნებს რეალურად მიღწევადს ქმნის.

კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; სტუდენტთა მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მაგისტრებით.

სწავლის შედეგები: კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

შედეგი 1. კურსდამთავრებული სიღრმისეულად იცნობს კლინიკური ფსიქოლოგიის თეორიულ კონცეპტებს, სიღრმისეულად იცის ფსიქოანალიზის და ფსიქოთერაპიის თეორიები და მათი პრაქტიკული ინსტრუმენტები.

ინდიკატორები:

- DSM 5-ის უახლესი გადასინჯვის მიხედვით იცის ყველა დიაგნოზის დამახასიათებელი სიმპტომები; სიღრმისეულად იცნობს და ერთმანეთისაგან განასხვავებს ფსიქიკური აშლილობის სხვადასხვა ფორმებს;
- იცის სომატოფორმული, დისოციაციური, დისმორფული, გუნება-განწყობის, ბიპოლარული, კვებითი, ძილის აშლილობები და სხვა ყველა DSM-ის უახლესი გადასინჯვით კლასიფიცირებული ფსიქიკური დარღვევა, მათი გამომწვევი მიზეზები და თანამედროვე თერაპიული მიდგომები;
- შეუძლია ფსიქიკური დარღვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი ფსიქოთერაპიული მეთოდის შერჩევა;
- სიღრმისეულად იცნობს ნივთიერებებთან დაკავშირებული აშლილობის და მათი მკურნალობის ფორმებს;
- სიღრმისეულად იცის სულიერი დაავადებების შინაარსობრივი მხარე.

შედეგი 2. კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს ექსპრესიული, მეტაფორული, სიმბოლური და ასოციაციური აზროვნება. მას შეუძლია დიაგნოზის დასმა და არტთერაპიული მიდგომით პაციენტთან მუშაობის სტრატეგიის დასახვა. შეუძლია განახორციელოს ფსიქოკორექცია, შეაფასოს პროცესი და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგები.

ინდიკატორები:

- შეუძლია პაციენტთან შემოქმედებით დიალოგში ჩართვა;
- შეუძლია პაციენტის მიერ შესრულებული არტთერაპიული ნამუშევრის შინაარსობრივი სიმბოლური აღქმა და ხელოვნების ენაზე დიალოგის გაგრძელება;
- შეუძლია სტერეოტიპული პატერნების მიხედვით გამოარჩიოს დიაგნოზები და სულიერი პრობლემის თავისებურება;
- შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არტთერაპიული მიდგომის რომელი კონცეფციით სჯობს ფსიქოკორექციის გაგრძელება.

შედეგი 3. კურსდამთავრებული პაციენტთან მუშაობისას იცავს პროფესიულ ეთიკურ ნორმებს. აქვს პაციენტის ინსპირირების და მისი თერაპიაში ჩართვის უნარი.

ინდიკატორები:

- იცის პაციენტთან მუშაობის ეთიკა, იცავს პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობას და პატივს სცემს მის პიროვნებას;
- იცის პაციენტთან მიდგომა და შეუძლია პირველადი კლინიკური ინტერვიუს ჩატარება;
- სხვადასხვა დიაგნოზთან და ფსიქოტიპთან მიმართებით იცის, როგორ უნდა შესთავაზოს და როგორ დაინტერესოს პაციენტი თერაპიული პროცესით.

შედეგი 4. აქვს ფართო ჰუმანიტარული განათლება, რაც ეხმარება მას, რომ თერაპიის პროცესის წარმართვისას ჰქონდეს ფართო ხედვა და სტრატეგია, რადგან ყველა ჰუმანიტარული დისციპლინის ცენტრში დგას ადამიანი, მისი სამყარო, მისი სულიერი პრობლემები, ფართო ჰუმანიტარული განათლება აძლევს საშუალებას, რომ იპოვოს სულიერი პრობლემების ამოცნობის და გადაჭრის გზები.

ინდიკატორები:

- ფლობს ლიტერატურისმცოდნეობის, ხელოვნებისმცოდნეობის, ფილოსოფიისა და თეოლოგიის ძირითად ტერმინოლოგიას; შესწავლილი აქვს ამ მეცნიერებების განვითარების ისტორია; საფუძვლიანად იცის სილაბუსებით გათვალისწინებული თემატიკა;
- იცის ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და თეოლოგიის განვითარების ეტაპები და ეპოქები; შეუძლია მათი ურთიერთგავლენის ამოცნობა და განვითარების ეტაპების განზოგადება, ამ ჰუმანიტარულ დარგებს შორის კავშირების დადგენა და ეპოქის სულისკვეთების დახასიათება;
- წაკითხული აქვს მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი მწერლების ნაწარმოებები და შეუძლია მათი ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში; იცის ხელოვნების

განვითარების ყველა ეპოქალური მოვლენა და შეუძლია მათი გავლენის ამოცნობა კულტურის სხვა სფეროებში; იცის ყველა ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა ანტიკური პერიოდიდან დღემდე; საფუძვლიანად იცის ქრისტიანული რელიგიის ისტორია, მისი გავლენა ხელოვნების დარგებზე და სულიერების მნიშვნელობა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში;

- შეუძლია მხატვრულ ან ხელოვნების ნაწარმოებზე, პერსონაჟზე ან თემაზე კომპეტენტური მსჯელობა შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით - იცის მხატვრული ნაწარმოების „წაკითხვა“ და მისი ადგილის განსაზღვრა ზოგად კონტექსტში (ეპოქა, ისტორიული ვითარება, გავლენა და ა.შ.);
- შეუძლია ესეს/პრეზენტაციის დამოუკიდებელი მომზადება ჰუმანიტარული მეცნიერებების ზოგად თუ კონკრეტულ საკითხებზე ყველა ჰუმანიტარული საგნის სწავლიდან მიღებული ცოდნის განზოგადების საფუძველზე;
- ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლით უფართოვდება თვალსაწიერი და უყალიბდება ჰუმანური და ესთეტიკური ღირებულებები.

შედეგი 5. კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს დამოუკიდებელი კვლევითი უნარ-ჩვევები. შეუძლია კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების წერილობითი სახით წარმოდგენა აკადემიური ნორმების სრული დაცვით.

- სიღრმისეულად იცის სოციალურ მეცნიერებათა თანამედროვე კვლევის მეთოდები. შეუძლია ამ ცოდნის არა მხოლოდ გაზიარება, არამედ ოპერაციული გამოყენება;
- შეუძლია კვლევის დიზაინის შექმნა, საკვლევი კითხვის და ჰიპოთეზების ფორმირება და რელევანტური კვლევის მეთოდის/მეთოდების შერჩევა. იცის მონაცემების, როგორც შეგროვების, ისე დამუშავების ძირითადი მეთოდები და შეუძლია მონაცემთა ვალიდურობის და სანდოობის შეფასება;
- შეუძლია დამოუკიდებლად გაუძღვეს საველე სამუშაოებს; დაამუშაოს და გააანალიზოს ემპირიული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები;
- შეუძლია ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები) დადგენა და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
- შეუძლია კვლევის შედეგების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და სტრუქტურულად გამართული აკადემიური ნაშრომის წარმოდგენა წერილობითი სახით. შეუძლია მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ზეპირი სახით წარდგენა და დაცვა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

შედეგი 6. კურსდამთავრებულს შეუძლია ექსპრესიულ თერაპიებში შეითავსოს მულტიპლიკატორის ფუნქცია და ხელი შეუწყოს მეცნიერების ამ დარგის განვითარება-გავრცელებას. კურსდამთავრებულის შრომითი საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს, რადგან იგი ემსახურება ადამიანის მენტალურ გაჯანსაღებას.

ინდიკატორები:

- შეუძლია პროფესიულ სფეროში მიმდინარე სამეცნიერო სიახლეებისათვის თვალის მიდევნება, უახლესი ლიტერატურის და კვლევის შედეგების გაცნობა, ანალიზი და მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახალი იდეების გენერირება;
- აქვს უნარი, მიღებული ცოდნა დანერგოს პრაქტიკაში და გაუზიაროს თემის წევრებს;
- აქვს უნარი, მაღალპროფესიულ დონეზე წარმართოს საკუთარი საქმიანობა, ხელი შეუწყოს ადამიანების მენტალურ გაჯანსაღებას და შეამციროს მძიმე პაციენტების ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა;

დასაქმების სფეროები: კლინიკური არტთერაპიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ყველგან, სადაც არის ფსიქოთერაპევტის/არტთერაპევტის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების საჭიროება:

- მენტალური ჯანმრთელობის ღია და დახურული ტიპის დაწესებულებები;
- ბავშვთა ჰოსპისი;

- ონკოლოგიური კლინიკები;
- პალიატიური ზრუნვის ცენტრები;
- პენიტენციალური სისტემა;
- შშმ პირთა გაერთიანებები;
- უმაღლესი სასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებო სკოლები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

3.14. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

www.ces.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი (03)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლების მქონე პირი; ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეროვნულ გამოცდებზე მოთხოვნილია უცხო ენის-ინგლისური ენის ჩაბარება) ჩაბარება...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 300 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 5 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 7 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: კავკასიის განათლების სკოლის **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** მისია არის ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების, წიგნიერების თანამედროვე გამოწვევევბის გათვალისწინებით ახალი თაობის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მომზადება, რათა მათ შემლონ მოზარდების/მოსწავლეების მომზადება განათლების შემდეგ საფეხურებზე წარმატებების, ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის.

დასახული მისიის მიღწევისთვის პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, პროფესიული უნარებისა და ღირებულებების მქონე სპეციალისტების მომზადება პედაგოგიკაში, რათა მათ:

- შეასრულონ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- გააცნობიერონ თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის გამოიყენონ სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები;
- საკუთარი საქმიანობისა და მოსწავლეთა შეფასების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესონ მოსწავლეთა მიღწევები და საკუთარი სასკოლო პრაქტიკა, ითანამშრომლონ მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან თითოეული მოსწავლის ჰარმონიული განვითარებისათვის, პრობლემის ერთობლივად გადაჭრისა და საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის;
- იყვნენ რეფლექსიური, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში, ფლობდნენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეეძლოთ მათი სწავლების პროცესში გამოყენება, ორიენტირებული იყვნენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

კავკასიის განათლების სკოლის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიას, რაც მდგომარეობს „კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებასა და საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას“, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარის მქონე სპეციალისტების მომზადება.

სწავლის შედეგები: ”ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს:

შედეგი 1. იცის და გაცნობიერებული აქვს წიგნიერების კუთხით პედაგოგიკის თანამედროვე გამოწვევები, მიღწევები, სართაშორისო პრაქტიკა და მოზარდის შემდგომი წარმატებებისთვის დაწყებითი საფეხურის მნიშვნელობა, სპეციფიკა და ხელშემწყობი ფაქტორები, მისი თვალსაწიერი ფართოა:

1.1 იცნობს და იყენებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევებს, განვითარების თეორიებს და განმაპირობებელ ფაქტორებს, განათლების რეფორმირების ასპექტებს;
1.2 სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასების ფარგლებში ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის, მოსწავლეების ასაკობრივ თავისებურებებს, ორიენტირებული მოსწავლესა და შედეგზე;
1.3 შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება, რიოენტირებულია საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებაზე.

შედეგი 2. ფლობს ცოდნასა და უნარებს რათა დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა/სწავლების პროცესი, რომლის ცენტრშიც მოსწავლეა, უზრუნველყოფს შემოქმედებითი, დემოკრატიული და პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებას:
2.1 ფლობს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვის კომპეტენციებს;
2.2 შეუძლია შექმნას, უსაფრთხო და დადებითი სასწავლო გარემო თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალური-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის;
2.3 აცნობიერებს, რომ თითოეული მოსწავლე მნიშვნელოვანია, როგორც პიროვნება, ხოლო დიფერენცირებული მიდგომა მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის, მათი პიროვნული და კოგნიტური განვითარებისა და სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციასათვის.

შედეგი 3. ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებულებებსა და საჭიროებებს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე შეფასების ნაწილშიც, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობას:
3.1 ფლობს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ სტრატეგიებს, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის პრინციპებს;
3.2 შეუძლია შექმნას მოსწავლისთვის მამოტივირებელი სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური;
3.3 იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები და შეუძლია შექმნას ინკლუზიური, არაძალადობრივი და კეთილგაწყობილი სასწავლო გარემო.

შედეგი 4. უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვლევების გამოყენებას, როგორც წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის, ასევე უწყვეტი პროფესიული განავითარებისათვის, აქვს უნარი თეორიული ცოდნა ეფექტურად და შემოქმედებითად გამოიყენოს პრაქტრიკაში:

4.1 იცის კველევების დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება, მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა, ასევე საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა, ეფექტური გამოყენება საკუთარი, უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის;

4.2 იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს, იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები, შეუძლია პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება;

4.3 ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე და აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

შედეგი 5. არის პროგრესული, შეუძლია იზრუნოს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, შექმნას და განახორციელოს სხვადასხვა ხასიათის პროექტები, ჩაერთოს სასწავლო მასალების შექმნის თუ განვითარების პროცესებში, განათლების სისტემის განვითარების ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროცესებში:

5.1 შეუძლია პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზის ხარჯზე;

5.2 აქვს სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების, ახალ გარემოსთან ადაპტაციის და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები, შეუძლია პრობლემის გადაჭრა / გადაწყვეტილების მიღება;

5.3 იცნობს განათლების პოლიტიკის, ადმინისტრირების, პროექტების მართვის სპეციფიკას, შეუძლია იყოს საგანმანათლებლო ლიდერი.

დასაქმების სფეროები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შედეგად სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად უფლება ექნება დასაქმდეს, როგორც საჯარო, ასევე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებაში, ასევე არაფორმალურ განათლებაში.

3.15. სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

სამთო ტურიზმის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

www.cts.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის მაგისტრი (1015)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამთო ტურიზმში სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებზე პროფესიული უნარების და ცოდნის გაზიარება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს კარიერა განავითარონ სამთო ტურიზმში. პროგრამა კონცენტრირდება სამთო ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით ცოდნის გაზიარებაზე, რომელიც დააკმაყოფილებს პროფესიულ სტანდარტებს და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი იქნება. პროგრამის მიზანია მოამზადოს მომავალი პროფესიონალები სამთო ტურიზმის სტრატეგიულად სამართავად და მდგრადი და ეფექტური გადაწვეტილებების მისაღებად მაღალი პასუხისმგებლობის პოზიციებიდან. პროგრამა ამზადებს მომავალ მკვლევარებს სამთო ტურიზმის მენეჯმენტში. ის ასევე ეხმარება სტუდენტებს განავითარონ სამთო ტურიზმის აქტივობების შექმნის და შეფასების უნარები. ის ფოკუსირებულია შემდეგ საკითხებზე:

- პროფესიული უნარების და ინტეგრირებული ცოდნის აგება სათავგადასავლო ტურიზმსა და სამთო ტურიზმის დინამიკის შესახებ. კულტურული დივერსიფიკაცია და კრეატიულობა ინოვაციისთვის და მდგრადობა ტურიზმის ინდუსტრიაში;
- კვალიფიციური და საექსპერტო მუშახელის საჭიროების დაკმაყოფილება სამთო და სათავგადასავლო ტურიზმის სექტორების ფარგლებში;
- კურსდამთავრებულების განვითარება და გაძლიერება, იმისთვის რომ გაჰყვნენ ანტერპრენორულ ღირებულებებს და ლიდერობა განავითარონ სამთო ტურიზმში;
- პროფესიონალიზმის შენება სათავგადასავლო და სამთო ტურიზმის კვლევაში და ინოვაციაში, რაც შესაძლებლობას მისცემთ იყვნენ ლიდერები ამ სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო სექტორებში სათავადასავლო და სამთო ტურიზმის მენეჯმენტში.

სწავლის შედეგები:

1. **კურსდამთავრებულს აქვს თანამედროვე ტურიზმის სექტორზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებისა და მიმდინარე ტენდენციების შესახებ ცოდნა.**

შეფასების ინდიკატორები:

- აცნობიერებს თანამედროვე ტურიზმის სექტორის არეალს;

- აღწერს გლობალურ ტურისტულ ბაზრებს, პროდუქტებს, ტურისტების ქცევას, რეგულაციების ტიპებს და სხვა;
- აცნობიერებს სექტორის განვითარების მიმდინარე სირთულეებს, ტურიზმის დადებით და უარყოფით ასპექტებს;
- აცნობიერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების გამოყენებით თანამედროვე ტურიზმის ძირითად გამოწვევებს.

2. კურსდამთავრებულს აქვს სიღრმისეული, სისტემატიური ცოდნა სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის შესახებ.

შეფასების ინდიკატორები:

- იცის სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის ძირითადი კომპონენტები და მათი ურთიერთდამოკიდებულება;
- აცნობიერებს სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის მნიშვნელობას, ტიპებს, ისტორიას და შეუძლია ახსნას, როგორ განსხვავდება ის სხვა ტურიზმის ტიპებისგან;
- აღწერს სათავგადასავლო ტურიზმის სექტორის მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს;
- აანალიზებს სექტორის ძირითად გამოწვევებს, შესაძლებლობებს და ინიციატივებს და მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკებს.

3. კურსდამთავრებულს აქვს სიღრმისეული ცოდნა სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის სტრატეგიული მართვისა და დაგეგმვის მიმართულებით.

შეფასების ინდიკატორები:

- აცნობიერებს სტრატეგიული აზროვნების მნიშვნელობას, ავითარებს შესაბამის სტრატეგიას კრიტიკულ სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით და ახორციელებს სხვადასხვა სტრატეგიების შეფასებას;
- იძიებს, აფასებს და იყენებს შესაბამის ინფორმაციას, რომელიც კონკრეტულ ქეისებთან არის დაკავშირებული ტურიზმის სტრატეგიულ დაგეგმვაში;
- გააზრებული აქვს ტურისტული ადგილის მართვის და დაგეგმვის მნიშვნელობა, ასევე ტურისტული ადგილის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების როლი.

4. კურსდამთავრებულს აქვს სიღრმისეული ცოდნა ტურიზმში მეწარმოების პროცესის, მეწარმეების და შესაბამისი გარემოს შესახებ, სადაც მეწარმეობას აქვს ადგილი.

შეფასების ინდიკატორები:

- იდენტიფიცირებას უკეთებს მეწარმეების სხვადასხვა ტიპოლოგიას და ძირითად მახასიათებლებს;
- გააზრებული აქვს სამეწარმეო ქცევის ძირითადი თეორიული მოდელები, სამეწარმეო პროცესები, მასში კონტრიბუციის ელემენტები და მახასიათებლები;
- აფასებს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც შექმნილია სამეწარმეო აქტივობების გასაზრდელად.

5. კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი სისტემური ცოდნა სათავგადასავლო, სამთო ტურიზმი გაიაზროს ეკონომიკურ ჭრილში, მოთხოვნისა და მიწოდების კუთხით, მასზე მოქმედი ფაქტორებით და როლით მთლიან ღირებულების ჯაჭვში.

შეფასების ინდიკატორები:

- გადასცემს სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის სფეროში კონკურენციის შესახებ საკუთარ მოსაზრებების და იდეებს სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს;
- იცის, წინასწარი მითითებების საფუძველზე, ტურისტული პროდუქტის ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორების პრაქტიკაში გამოყენების სპეციფიკა.

6. კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა დაცული ტერიტორიების დაგეგმვისა და მართვის შესახებ:

შეფასების ინდიკატორები:

- გააზრებული აქვს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა; ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- აყალიბებს მიდგომებს დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების დაგეგმვისა და განვითარების შესახებ, ასევე ტურისტული გამოცდილების ხარისხის გაუმჯობესების გზებს;
- აფასებს და აანალიზებს დაცულ ტერიტორიებზე მართვის რეჟიმებს;
- იდენტიფიცირებას უკეთებს ღონისძიებებს და მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას.

7. კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა მოახდინოს სამთო სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტის განვითარების პრინციპებისა და პროცედურების გაანალიზება.

შეფასების ინდიკატორები:

- აცნობიერებს ტურისტული პროდუქტის დაგეგმვის მნიშვნელოვნებას და იცის ტურისტული პროდუქტის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები;
- აღწერს ტურისტული პროდუქტის დაგეგმარებაზე მოქმედ ფაქტორებს,— პროდუქტის განვითარების პრინციპებს და პროცედურებს;
- აანალიზებს სექტორის ძირითად გამოწვევებს, შესაძლებლობებს და ინიციატივებს.

8. კურსდამთავრებულმა იცის სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის საერთაშორისო ბაზრები, მათი მარკეტინგული სტრატეგია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;

შეფასების ინდიკატორები:

- იცის ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიული მიდგომები საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებით;
- იცის ტურისტული მიმართულების სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგია და განხორციელების საშუალებები;
- იცის ტურისტული მიმართულებისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტები.

9. შეუძლია ტურიზმის სფეროში პროექტებისა და ბიზნეს გეგმების შექმნა და განხორციელება.

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია პროექტისა და ბიზნეს გეგმის იდეის შექმა, საჭირო მასალების დამუშავება და ანალიზი;
- შეუძლია პროექტის იდეის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა და შედეგების ანალიზი;
- შეუძლია საჭირო პარტნიორების მოძიება და მათთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვა;
- აქვს უნარი შექმნას და მართოს პროექტი და ბიზნეს იდეა;
- აკეთებს გარემო ფაქტორებზე დაკვირვების საფუძველზე, ტურიზმის ბაზარზე მოთხოვნა–მიწოდების ანალიზსა და დასკვნებს.

10. კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს შექმნილი სამთო ტურისტული პროდუქტის პრომოუშენი სხვადასხვა მეთოდის მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

შეფასების ინდიკატორები:

- აქვს ინფორმაციული ტექნოლოგების ტურიზმზე გავლენის შეფასების უნარი;
- შეუძლია მარკეტინგის და მეწარმოების როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა ელექტრონული ტურიზმის ახალ ბიზნეს მოდელებში.

11. კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევის გამოყენება სამთო და სათავგადასავლო ტურიზმში ცოდნის შექმნისთვის და ინტერპრეტირებისთვის, ასევე სფეროში მიმდინარე კვლევების კრიტიკული შეფასებისთვის.

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია კვლევის წარმოებისას რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების საფუძვლების შესწავლა, თეორიების გამიჯვნა და შემოწმება;
- შეუძლია სხვადასხვა კვლევითი ინიციატივების შემუშავება ტურიზმის სტატისტიკური ანალიზის და ტურიზმის განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესში;
- აქვს კვლევისა თუ სამეცნიერო დებულების კრიტიკული შეფასების უნარი.

12. კურსდამთავრებულს შეუძლია სამთო-სათავგადასავლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება (მუდმივი თოვლის ზონის ქვევით), ტურისტული ჯგუფების მომზადება და გაძღოლა (სხვადასხვა გეოგრაფიულ რელიეფზე), საგანგებო მდგომარეობებში მოქმედება, გარემოზე ზიანის მიყენების შემცირება.

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია სამთო მარშრუტის სწორად შერჩევა, მოძიება, დამუშავება და მომზადება;
- აქვს შესაბამისი უნარი შერჩეული მარშრუტისთვის სწორად დაგეგმოს აქტივობები;
- შეუძლია პირადი და კლიენტებისთვის საჭირო, სწორი და შესაბამისი აღჭურვილობის შერჩევა და გამოყენება.

დასაქმების სფეროები:

- სათავგადასავლო ტურიზმის მენეჯერი;
- ინოვატორი ტურიზმში;
- მკლევარი მოგზაური (Explorer);
- ენტერპრენორი;
- მეცნიერ-თანამშრომელი;
- სამთო ტურიზმის მენეჯერი;
- ტურიზმის მგეგმავი;
- ტურიზმის ლიდერი;
- მკლევარი (Researcher).

3.16. ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

www.cms.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი (0203)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა.

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მიერ შემუშავებული სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუტების ორგანიზების, დაფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ ღრმა, საფუძვლიანი ცოდნის მიწოდებაზე, ჯანდაცვის სექტორში კვლევის დაგეგმვასა და გამოყენებაზე, რათა კურსდამთავრებულებმა სისტემაში ჩართვის შემდეგ გააუმჯობესონ საქართველოში ჯანდაცვის სისტემის სერვისების მიწოდება.

სწავლის შედეგები:

1. **აქვს ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის, მარკეტინგის, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის, ოპერაციული მართვის, დაგეგმვის, სტრატეგიული დაგეგმვის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა:**

- იცის ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის, დაგეგმვის, სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებები, სამუშაოების, პოზიციების, ჯგუფებისა და გუნდების ორგანიზება, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემების გადაჭრის ეფექტური მეთოდები, ორგანიზაციული ცვლილებების მართვა და ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმები, ესმის ჯანდაცვითი ორგანიზაციის ოპერაციული მართვის მექანიზმები, ოპტიმალური სიმძლავრის განსაზღვრის მეთოდები;
- იცის ჯანდაცვითი ორგანიზაციის მართვის და საქმიანობის შეფასებისათვის აუცილებელი ფინანსური და არაფინანსური ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე, მმართველობითი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, განზოგადებისა და გამოყენების მეთოდები მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ესმის ჯანდაცვითი ორგანიზაციის სერვისების დაფინანსების და ეკონომიკური შეფასების მეთოდები, ჯანდაცვის სექტორში საბაზრო ურთიერთობების თავისებურებები, საზოგადოებრივი სიკეთის და სახელმწიფოს როლი ჯანდაცვის სექტორში;
- იცის ჯანდაცვითი ორგანიზაციების მარკეტინგული გამოწვევები, მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება; სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის თავისებურებები და მისი გაუმჯობესების ეფექტური მექანიზმები, ხარისხის ტოტალური მართვის და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები; თანმდევი რისკების და ზიანის თავიდან აცილების ღონისძიებების გატარების მნიშვნელობა, სამედიცინო შეცდომების შემცირების ძირითადი სტრატეგიები;
- იცის ჯანდაცვითი ორგანიზაციების მართვის პროცესები ჯანდაცვის პოლიტიკის ჭრილში, სერვისების ხელმისაწვდომობის, პაციენტის უფლებების დაცვის საერთაშორისო და საქართველოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. იცნობს სახელმწიფო პოლიტიკას, ჯანდაცვის სხვადასხვა სისტემებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტრატეგიებს.

2. **აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიუსადაგებს ჯანდაცვის მენეჯმენტის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს და შეუძლია ჯანდაცვის მენეჯმენტის კონცეფციებისა და თეორიების პრაქტიკაში გამოყენება:**

- აქვს სამედიცინო ორგანიზაციაში მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების, არსებული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის, საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმების დანერგვის უნარი;
- აქვს ჯანდაცვითი ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლებით შეფასების, ბიუჯეტის შედგენის და მის შესრულებაზე მონიტორინგის წარმოების, ორგანიზაციაში კონტროლის მექანიზმების დანერგვის და მისი განვითარების შეფასების უნარი;
- შეუძლია ჯანდაცვითი ორგანიზაციის სერვისების დაფინანსების და ეკონომიკური ასპექტების შეფასება სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ეფექტური მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; სამედიცინო დაწესებულებების და სამედიცინო პერსონალის ანაზღაურების ძირითადი მეთოდების შედარება და ეფექტური მექანიზმების შემუშავება; სამედიცინო დაწესებულების დანახარჯების სტრუქტურის ანალიზი;
- შეუძლია ოპერაციათა მენეჯმენტის ძირითადი მეთოდების გამოყენება სხვადასხვა ტიპის პროექტების მართვისათვის, პაციენტთა (მომხმარებელთა) ნაკადის მართვისათვის საჭირო სტატისტიკური ინსტრუმენტების გამოყენება, ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის სწორი ლოკაციის შერჩევა;

- აქვს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების, ორგანიზაციული ქცევისა და პერსონალის მართვისას გამოვლენილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ადამიანური რესურსების სტრუქტურის ანალიზის და მასზე მოთხოვნის პროგნოზირების; დაქირავებასთან დაკავშირებული პროცედურების მართვის, უნარი;
- შეუძლია დაგეგმოს კომპანიის მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, შეიმუშაოს რეკომენდაციები კომპანიის წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად; მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარია-ნობის ანალიზი; შეიმუშაოს კომპანიის სწორი სტრატეგია; განახორციელოს კომპანიის სტრატეგიის ანალიზი, მოახდინოს მისი ეფექტიანობის განსაზღვრა; სხვადასხვა ტიპის კომპანიებისთვის სტრატეგიული გეგმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;
- შეუძლია აქტიურად ჩაერთოს პაციენტის უსაფრთხოების, ასევე სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და მართვის პროექტებში, მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის, მართვის და გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში, ხარისხის ინდიკატორების და მაჩვენებლების შეკრება, დამუშავება და ანალიზი-შეფასების პროცესში მონაწილეობა;
- შეუძლია ჯანდაცვითი სერვისების მარკეტინგის პროცესების დაგემვა და მართვა, სერვისების მარკეტინგის ძირითადი სტრატეგიების რეალიზებაში მონაწილეობა.

3. შესწევს უნარი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით გააანალიზოს ჯანდაცვის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა:

- შეუძლია უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;
- შეუძლია სტატისტიკური მონაცემების კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია და მის საფუძველზე არგუმენტირებული დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;
- იცის კვლევის თანამედროვე რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები და მათი გამოყენების პრინციპები.

4. გააჩნია ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე:

- ფლობს, როგორც სამეცნიერო ინფორმაციის, ასევე, საკუთარი მოსაზრებების, დასკვნების და არგუმენტაციის ზუსტად და ეფექტურად გადმოცემის, წარდგინების უნარს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- ფლობს განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მოსმენის, დისკუსიის დროს მსჯელობის და ჯანსაღი ოპონენციის გაწევის, საკუთარი პოზიციების არგუმენტირებულად დაცვის უნარს;
- ფლობს ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების, საბიბლიოთეკო ფონდებზე მუშაობის, ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო წყაროების დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მითითების და პლაგიატისგან თავის არიდების უნარებს;
- შეუძლია პროფესიონალურად ხარისხიანი კვლევითი პროექტებისა და ანალიტიკური ანგარიშების/ნაშრომების მომზადება მტკიცებულებებისა და ციტირებათა სათანადო გამოყენების მეშვეობით.

5. ხელმძღვანელობს ჯანდაცვაში მიღებული და აღიარებული ფასეულობებით და ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად:

- ფლობს ზოგადად ჯანდაცვაში მიღებულ და აღიარებული ფასეულობებს და ღირებულებებს: პიროვნების ღირსების პატივისცემა, პაციენტის ავტონომიის აღიარება, პროფესიული კეთილსინდისიერება, პატიოსნება, სამართლიანობა, თანასწორობა, პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის მნიშვნელობა, თანასწორობა, ჰუმანურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობაზე აგებული ურთიერთობები;
- ესმის პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა.

დასაქმების სფეროები: ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით.

ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია:

- საავადმყოფოები და ამბულატორიული დაწესებულებები;
- ფარმაცევტული კომპანიები;
- პროვაიდერული კომპანიები;
- არასამთავრობო ჯანდაცვითი ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ჯანდაცვის პროგრამები საქართველოში;
- ჯანდაცვის საკონსულტაციო ფირმები;
- სახელმწიფო ჯანდაცვის ორგანოები;
- ჯანდაცვის სადაზღვევო კომპანიები.

3.17. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა

CMS
www.cms.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი (0919)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემაში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადება აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიღრმისეულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, განუვითარდეთ ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგემვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი, კერძოდ:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების მიდგომების და ღირებულებების დანერგვა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს საჭიროებების შესწავლა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორში კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების გამოყენება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული და სოციალური მიმართულებების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუტების ორგანიზების, დაფინანსების, მარკეტინგის და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის მიწოდებაზე, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახელობის ცალკეული ჯგუფების საჭიროების შეფასებაზე, ჯანდაცვის სექტორში კვლევის დაგეგმვასა და გამოყენებაზე, რათა კურსდამთავრებულებმა სისტემაში ჩართვის შემდეგ გაუმჯობესონ როგორც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, ისე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორც დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეფექტური პროგრამების დაგეგმვისა და განხოციელების გზით, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ინსტიტუტების შესაბამისი ორგანიზაციითა და მართვით.

სწავლის შედეგები:

- აღწერს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიის, გადამდები და არაგადამდები დაავადებების, ბიოსტატისტიკის, ჯანდაცვის სისტემების და პოლიტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, ჯანდაცვის სამართალის და ბიოეთიკის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, შრომის ჯანმრთელობის ფუნდამენტურ კონცეფციებსა და თეორიებს.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის და მათ გადასაჭრელად პრაქტიკაში იყენებს შესაბამის კონცეფციებს და თეორიებს.
- აანალიზებს საზოგადოებრივი ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, პროცესებს და პრობლემატიკას ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდებით, ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა.
- ახდენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დემონსტრირებას, მათ შორის უცხოურ ენაზე.
- იყენებს და ავითარებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მიღებულ და აღიარებულ ფასეულობებს და ღირებულებებს, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დასაქმების სფეროები: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს ეპიდემიოლოგის, ჯანდაცვის მკვლევარის, კონსულტანტისა ან სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე სახელმწიფო ან კერძო სექტორში; ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაზღვევო კომპანიებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, ჯანდაცვის დაწესებულებებში.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები წარმოადგენს რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე; აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება („ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო", "საქართველოს განათლების და მეცნიერების, სამინისტრო", „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო", საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები.

3.18. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

www.cse.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი (0311)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების ღრმა ცოდნა; ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ბულგარეთის, ბელგიისა და მაგდებურგის უნივერსიტეტებისა და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად. ეს პროგრამა ფოკუსირებულია და ითვალისწინებს კადრების მომზადებას ეკონომიკის მიმართულებით.

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ეკონომიკური ცოდნა;
- შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე;
- კურსდამთავრებულმა შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, პრაქტიკული პროექტების განხორციელება;
- სტუდენტს ჰქონდეს უნარი გაანალიზოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
- თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, შეძლოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება;

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

სწავლის შედეგები:

ცოდნა

1. აღწერს სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებს.
2. განიხილავს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე.
3. მიმოიხილავს მიკრო და მაკრო ეკონომიკის, გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპებს.

უნარი

4. გამოკვეთს და აყალიბებს ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.
5. ატარებს პრობლემების მრავალფაქტორიან სიღრმისეულ ანალიზს და წარადგენს შედეგებს.
6. პრაქტიკაში იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. ხელმძღვანელობს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნული ღირებულებებით, ეკონომიკის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა მას ხდის უფრო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

დასაქმების სფეროები: პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ შემდეგ სექტორებში:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

სახელმწიფო სექტორი:

- საქართველოს მთავრობა
- ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისიტიკის ეროვნული ბიურო;
- ეროვნული ბანკი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- და სხვ.

კერძო სექტორი:

- საბანკო
- სადაზღვევო
- აუდიტორული ფირმები
- სადისტრიბუციო
- საცალო ვაჭრობის კომპანიები
- სარეკლამო კომპანიები
- კვლევითი კომპანიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- და სხვ.

4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები

4.1. ბიზნესის მართვის ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა (ბიზნეს-კვლევა, გლობალური მენეჯმენტი, მენეჯმენტ-კონსალტინგი)

ბიზნესის მართვის ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამა (ბიზნეს-კვლევა, გლობალური მენეჯმენტი, მენეჯმენტ-კონსალტინგი)

www.csb.ge

პაატა سااკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

პიერ სემარდის 12, 38000, გრენობლი, საფრანგეთი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი; მინიმუმ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება (სრული განაკვეთი).
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი და 5 თვე (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- მიიღოს ბიზნესის ზოგადი ცოდნა, ინსტრუმენტებისა და კონცეფციების შესახებ და შეძლოს ცოდნის მეშვეობით ბიზნეს პრობლემების ინტეგრირებული გადაწყვეტა;
- შეძლოს საერთაშორისო და კულტურულად მრავალფეროვან გარემოსთან ადაპტირება, განვითარება და თანამშრომლობა;
- გაიაზროს ბიზნეს გადაწყვეტილებისა და პრაქტიკაში განხორციელების ადამიანურ, სოციალური და გარემოსდაცვითიშედეგები;
- განივითაროს ტექნოლოგიების, ინოვაციების და სხვა ორგანიზაციული ცვლილებების მართვის უნარი;
- შეიძინოს ბიზნესისათვის შესაბამისი ოპერაციული IT უნარ-ჩვევები;
- განივითაროს ეფექტური კომუნიკაციის უნარები;
- განივითაროს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარ-ჩვევები;
- შეძლოს ეფექტურად და კონსტრუქტიულად ჯგუფთან მუშაობა;
- აღმოაჩინოს მისი ლიდერული უნარ-ჩვევები.

სწავლის შედეგები:

- შეუძლია ბიზნეს პრობლემის ანალიზი და ინტეგრირებული გადაჭრის გზის შეთავაზება შესაბამისი საშუალებების შერჩევითა და გამოყენებით;
- ავლენს ეკონომიკური განსხვავებებისა და გლობალური ბიზნეს გარემოს ცოდნას;
- განვითარებული აქვს ინტერკულტურული ცნობიერება, ტოლერანტულობა და პატივისცემა;
- აქვს შესაძლებლოობა ეფექტურად იმუშაოს მულტი-კულტურულ გუნდში;
- ავლენს ეთიკური დილემის იდენტიფიცირების უნარს და საკუთარი ღირებულებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას;
- შეუძლია სხვადასხვა ალტერნატივების იდენტიფიცირება და შეფასება;
- აქვს უნარი აირჩიოს ქმედებების მდგრადი კურსი და დაიცვას ის;
- ესმის და წინასწარ განსაზღვრავს ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ეფექტს ორგანიზაციისათვის;
- აქვს ინოვაციური პროცესების გაგებისა და ანალიზის უნარი;

- შეუძლია ძირითადი ბიზნეს IT ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენება;
- შეუძლია ინფორმაციული სისტემების განსაზღვრებასა და განთავსებაში მონაწილეობის მიღება;
- ავლენს გასაგებად და ლაკონურად ზეპირი კომუნიკაციის უნარს;
- ავლენს გასაგებად და ლაკონურად წერითი კომუნიკაციის უნარს;
- აქვს პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზის იდენტიფიცირების უნარი;
- შეუძლია შესაბამისი, ორგანიზებული და ობიექტური გზით საჭინო ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება;
- შეუძლია შეგროვილი მონაცემების შესაბამისი მეთოდოლოგიით დამუშავება და ანალიზი;
- შეუძლია ეჭქვეშ დააყენოს გამოყენებული ინფორმაციის ხარისხი (სიზუსტე, სანდოობა, მტკიცებულების ხარისხი) და იდენტიფიცირება მოახდინოს და აწონდაწონოს საპირისპირო არგუმენტაცია და სამართლიანად დაადასტუროს ის;
- შეუძლია პოზიციის არჩევა და მისი დაცვა;
- შეუძლია ჯგუფში ეფექტურად და კონსტრუქციულად მუშაობა;
- შეუძლია საკუთარი ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება;
- შეუძლია ეფექტურად მოამზადოს და გაანალიზოს მოლაპარაკების სიტუაცია;

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულს შეუძლია, დაიკავოს საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, სახელმწიფო სტრუქტურებში ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

4.2. ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

2 rue Robert d'Arbrissel 35000 Rennes, საფრანგეთი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის ბაკალავრი (0413)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება; ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე.
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 184 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა კავკასიის ბიზნესის სკოლის და რენის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კავკასიის ბიზნესის სკოლის რენის ბიზნესის სკოლასთან ერთობლივი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:

Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ფუნქციურ მიმართულებებში;

Obj. 2 - განუვითაროს საწყისი და საშუალო დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის;

Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის;

Obj. 4 - ჩამოუყალიბოს ისეთი ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად.

სწავლის შედეგები: ბიზნეს ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები:

P.L.O.1. - განსაზღვრავს და აღწერს ბიზნესის ადმინისტირების ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, მოდელებს და მიდგომებს, მსჯელობს მათ შესახებ;

P.L.O.2. პრაქტიკაში იყენებს მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს;

P.L.O.3. აანალიზებს არსებულ სიტუაციას შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, ახდენს საკვანძო საკითხების იდენტიფიცირებას და აკეთებს შესაბამის დასკვნებს;

P.L.O.4. ახორციელებს ეფექტურ წერილობით და სიტყვიერ კომუნიკაციას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გარემოში;

P.L.O.5. აღწერს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

დასაქმების სფეროები:

- ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიები;
- საკონსულტაციო სექტორი;
- საჯარო დაწესებულებები;
- მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები;
- საბანკო სექტორი;
- არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები;
- სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

4.3. ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

Technische Hochschule Wildau Hochschulring 1 15745 Wildau, German

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი (0719)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; უნივერსიტეტში ინტერვიურების წარმატებით გავლა...
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის პროგრამის მიზნებია:

- შესთავაზოს სტუდენტს შესაძლებლობა განავითაროს კვლევითი უნარები ლოგისტიკის ინჟინერიასა და მენეჯმენტში, ინფორმაციული ტექნოლოგიების, აგრეთვე ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიების ღრმა ცოდნა და ამით უზრუნველყოს მისი კარიერული ზრდა წამყვან პოზიციებზე მათი კვალიფიკაციის შესაბამისად;
- მოამზადოს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის თანამედროვე სპეციალისტი, ლოგისტიკური ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმა ცოდნით და ბიზნეს-გარემოს და სტრატეგიის კარგი ანალიზის უნარებით, მენეჯმენტის ინოვაციური მეთოდების კომპეტენციითა და ანალიტიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებით.

სწავლის შედეგები: ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტი შეძლებს შეიძინოს შემდეგი კომპეტენციები:

- აანალიზებს და იყენებს ლოგისტიკის თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, მენეჯმენტის მეთოდებს და საერთაშორისო სტანდარტებს;
- ეფექტურად გეგმავს ლოგისტიკის ტექნოლოგიების სტრუქტურას ორგანიზაციებში და ავითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისის მიწოდების სტრატეგიებს;
- იყენებს მეთოდებს და შეფასების სისტემებს, რათა შეაფასოს ორგნიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული რისკები. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს რისკიან და დინამიურად ცვალებად პროცესებს;
- იყენებს ლოგისტიკის სისტემების დაგეგმვის და ლოგისტიკური პროცესების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს და აპლიკაციებს;
- პრაქტიკაში იყენებს ორგანიზაციაში ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიებს, აფასებს კომპლექსურ პრობლემებს, აანალიზებს შედეგებს და იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებას;
- ახორციელებს მეცნიეულ-თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, იყენებს მეცნიერული კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- აფასებს და თვლის ლოგისტიკური სისტემების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს.

დასაქმების სფეროები: პროგრამა აძლევს სტუდენტებს შანსს დასაქმდნენ ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მიმართულებით წამყვან პოზიციებზე. კარიერული წინსვლის მნიშვნელოვანი საფუძველი არის პროგრამიდან მიღებული საფუძვლიანი ტექნიკური და მენეჯერული უნარჩვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის სექტორში კარიერული წინსვლისთვის.

პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასქმდნენ სხვადასხვა სფეროებში: აკადემიური და სამეცნიერო სექტორი, მრეწველობა, სახელმწიფო სექტორი, კერძო და ბიზნეს ორგანიზაციები. პროგრამის კურსდამთავრებულის სამუშაო პოზიციების დასახელებები მოიცავს: ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მენეჯერს, უფროსი მიწოდების ჯაჭვის ოფიცერი, უფროსი საოპერაციო ოფიცერი, ლოგისტიკის საოპერაციო მენეჯერი, საწყობის მენეჯერი, მიწოდების ჯაჭვის განვითარების მენეჯერი, პროექტის მენეჯერი დ.ა.შ. საქართველოს დასაქმების ბაზარზე ძირითადი დამსაქმებლები არიან: უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, დიდი და მცირე ზომის ბიზნეს კომპანიები, სატრანსპორტო და ლოგისტიკური კომპანიები, სამრეწველო კომპანიები, სავაჭრო კომპანიები, საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციები.

4.4. კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

2039 კენედის Blvd ჯერსის სითი, ნიუ-იორკი, 07003, აშშ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კავკასიის უნივერსიტეტი-მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში; ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი-მეცნიერების ბაკალავრი კიბერუსაფრთხოებაში (0613)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება; ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე.
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 200 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ცოდნა, მაგისტრატურაში შემდგომი სწავლის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- მისცეს სტუდენტებს საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და პროფესიული მომზადება კიბერუსაფრთხოების სწრაფად მზარდ სფეროში კარიერის გასაგრძელებლად.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ICT სფეროში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით პროფესიული საქმიანობისთვის.
- დააკმაყოფილოს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებული პროფესიული კადრების საჭიროების მოთხოვნა სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო ინდუსტრიაში.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს უსაფრთხოების დიზაინის პრინციპებს და განსაზღვრავს უსაფრთხოების მექანიზმებს უსაფრთხოების საჭირო პრინციპების განსახორციელებლად.
- აანალიზებს რთულ გამოთვლილ პრობლემებს და ირჩევს მათ გადაჭრის შესაბამის ალგორითმს.
- პრაქტიკაში იყენებს პროგრამირების პრინციპებს, კომპიუტერულ სისტემებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს.
- აფასებს ტიპიური, კომპლექსური სისტემის არქიტექტურას და ადგენს პოტენციურ რისკებს, დაუცველობებს და წერტილებს, რომლებზეც უსაფრთხოების კონკრეტული ტექნოლოგიები/მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული.
- განსაზღვრავს რომელი კრიპტოგრაფიული პროტოკოლები, ინსტრუმენტები და ტექნიკაა შესაფერისი მოცემულ სიტუაციაში.
- ამოიცნობს მავნე მოქმედებებს და თავდასხმებს სისტემაში და ირჩევს შესაბამის რეაგირების საშუალებებს.
- ახორციელებს ინციდენტებზე რეაგირების ღონისძიებებს და ეხმარება კიბერდანაშაულის გამოძიებას.

- აფასებს და სხვებს უზიარებს სფეროსთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა თუ კერძო ბიზნეს კომპანია, ისეთი ტიპის სამუშაოების შესასრულებლად, როგორიც არის: უსაფრთხოების პრობლემის ანალიზი და გადაწყვეტა, ტესტირება, შეღწევადობის ტესტირება და ორგანიზაციების დაცვა კიბერშეტევებისგან. პროგრამის კურსდამთავრებულების შეძლებენ მუშაობას შემდეგ პოზიციებზე: სისტემის და უსაფრთხოების ადმინისტრატორი, პროგრამისტი, კომპიუტერული კომუნიკაციების სპეციალისტი, კონსულტანტი, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტი, შეღწევადობის ტესტერი, კრიპტოგრაფი და ა.შ.

4.5. მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

მასპინძლობის მენეჯმენტის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა

CTS
www.cts.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო
1000 River Road 1 Paata Saakadze Street and Teaneck, New Jersey 07666, USA

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კავკასიის უნივერსიტეტი - ტურიზმის ბაკალავრი; ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტი- ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში (1015)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება; ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება; ასევე, მესამე სავალდებულო გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში ან ისტორიაში.
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 200 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამწლიანი ერთობლივი საბალავრო პროგრამის მიზანია:

- გამოუმუშავოს ფართო ცოდნა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას;
- განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ტურიზმისა და მასპინძლობის ორგანიზაციების ოპერაციებისა და სტრატეგიების მართვის თავისებურებების შესახებ;
- ხელი შეუწყოს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარებას;
- პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის გრძნობა და წარმართოს საქმიანობა ეთიკის პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგები:

1. აღწერს ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს;

შეფასების ინდიკატორები:

- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის არსს, აყალიბებს ძირითად ცნებებს;
- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად კომპონენტებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას;
- აღწერს ტურიზმის მართვის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

2. მიმოიხილავს ტურისტულ რესურსებს და მათ სპეციფიკას;

შეფასების ინდიკატორები:

- მიმოიხილავს მსოფლიოს ტურისტულ რესურსებს;
- აღწერს ტურისტული რესურსების მახასიათებლებს და კლასიფიკაციას უკეთებს მათ;
- აღწერს მსოფლიოს ბუნებრივი და ანთროპოგენური (მატერიალური და არამატერიალური) რესურსების თანამედროვე მდგომარეობას, კულტურული ცენტრების მრავალფეროვნებას და თავისებურებებს;
- განიხილავს მსოფლიოს ტურისტულ-რეკრეაციულ ზონებს და რაიონებს.

3. იყენებს აპრობილებულ მეთოდებს და ინსტრუმენტებს ტურისტული საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის ამზადებს მარკეტინგულ გეგმას და ორგანიზებას უკეთებს მისი განხორცილების და მონიტორინგის პროცესს

შეფასების ინდიკატორები:

- იყენებს სიტუაციური და ინდუსტრიის ანალიზის სხვადასხვა მეთოდებს;
- იყენებს მარკეტინგული კვლევის მეთოდებს;
- დემონსტირებას უკეთებს ტურისტული მიმართულების და მასპინძლობის საწარმოების პოზიციონირების სტრატეგიულ მიდგომებს საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებაში;
- დემონსტირებას უკეთებს ტურისტული მიმართულებისთვის და მასპინძლობის საწარმოებისთვის მარკეტინგული გეგმის მონიტორინგის ინსტრუმენტებს.

4. შეიმუშავებს ტურიზმის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებსა და ბიზნეს გეგმებს

შეფასების ინდიკატორები:

- ამზადებს და ორგანიზებას უკეთებს კვლევითი პროექტის და ბიზნეს გეგმისთვის საჭირო მასალებს;
- ინტერპრეტირებას უკეთებს კვლევითი პროექტის და ბიზნეს გეგმის მიზანსა და ამოცანებს;
- არჩევს საჭირო პარტნიორებს და წარმართავს მათთან საქმიან ურთიერთობებს;
- კონსტრუირებას უკეთებს საკვლევ პროექტს და ანვითარებს ბიზნეს იდეას.

5. აანალიზებს ტურიზმის ეკონომიკასა და პოლიტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხებს, მათ შორის ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც ტურიზმის ინდუსტრიაზე აქვს გავლენა

შეფასების ინდიკატორები:

- ანგარიშობს ტურიზმის წილს ეკონომიკაში და მის მნიშვნელობას სხვადასხვა სექტორებისთვის;
- აანალიზებს ტურიზმთან დაკავშირებული ინდიკატორების ცვლილებას;
- აანალიზებს ტურიზმის ეკონომიკურ პოლიტიკას და მის როლს სახელმწიფოს განვითარებაში;
- იდენტიფიცირებას უკეთებს ტურიზმის პოლიტიკის პრიორიტეტებს და აკეთებს შედარებით ანალიზს ლოკალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

6. გეგმავს ახალ ტურისტულ პროდუქტებს და ორგანიზებას უკეთებს ტურს

შეფასების ინდიკატორები:

- ორგანიზებას უკეთებს ტურიზმისა და მოგზაურობის მართვის ადეკვატურ ინსტრუმენტებს (ბაზრის ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, შედარებითი კოეფიციენტი და ა.შ.) ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავების მიზნით;
- გეგმავს საქმიანობას ტურისტულ ბაზარზე საერთაშორისო მოგზაურობის მახასიათებლებზე დაყრდნობით;
- გეგმავს მარშრუტებს მომსახურების მომწოდებლებთან პარტნიორობით.

7. იყენებს მასპინძლობის მომსახურების სფეროს საოპერაციო პროგრამებს, ახდენს მასპინძლობისბიზნესის თავისებურებების, საბაზრო კონიუნქტურის ობიექტურ შეფასებას და სწორ გამოყენებას

შეფასების ინდიკატორები:

- დემონსტირებას უკეთებს მასპინძლობის ბიზნესის კატეგორიებს და მათ შესაბამის სეგმენტს;
- დემონსტირებას უკეთებს მაღალი სამომხმარებლო სერვისის და ლოიალობის მისაღწევ გზებს;
- იყენებს შემოსავლიანობის მენეჯმენტის სტრატეგიებს, პრინციპებს და ტაქტიკას;
- იყენებს სიმულაციურ მოდელს ძირითადი სასტუმროს ოპერაციების ეფექტურობის შესაფასებლად.

8. იცავს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ტურიზმის სფეროში დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს

შეფასების ინდიკატორები:

- აყალიბებს გლობალური ტურიზმის ეთიკის კოდექსით განსაზვრულ პრინციპებს;
- იდენტიფიცირებას უკეთებს მდგრადი ტურიზმის პრინციპების საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებს მსოფლიოს გარშემო;
- აყალიბებს გლობალური ეთიკის კოდექსის მნიშვნელობას ტურისტული საქმიანობის წარმართვის პროცესში.

დასაქმების სფეროები: ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი სეგმენტისგან, რომელთა შორის ძირითადია: სატრანსპორტო, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, რეკრეაცია და გასართობი ინდუსტრია. ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თითოეულ მიმართულებას მრავალი სამუშაო ადგილი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორშიც.
ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტურიზმიდან შემოსული შემოსავალიც საგრძნობლადაა გაზრდილი და უკვე ერთ მილიარდ აშშ დოლარსაა გადაჭარბებული. სფეროს განვითარებასთან და მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება მიწოდებაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ და კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის საჭიროება უმნიშვნელოვანესია დღესდღეობით. თუმცა, უმთავრეს გამოწვევას სწორად მცოდნე და მრავალფეროვანი უნარების მქონე კადრების ნაკლებობა წარმოადგენს. შესაბამისად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და უნარების გაღრმავებას ტურიზმის სფეროში და ხელს შეუწყობს ამავე ინდუსტრიის გრძელვადიან განვითარებას.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შემდეგ სტრუქტურებში:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები;
- ტურისტული ადგილების მმართველი ორგანიზაციები;
- სატრანსპორტო კომპანიები;
- განთავსების საშუალებები;
- ტურისტული კომპანიები;
- რესტორნები და კვების ობიექტები;
- გასართობი და ღონისძიებების ინდუსტრია;
- ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები;
- ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები;
- ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებები.
- ტურიზმის ინდუსტრია დიდია და გამოირჩევა მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით და ამ დარგში არსებულ კადრებს კარიერული წინსვლის დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს.

4.6. ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

www.cse.ge

მერაბ ალექსიძის ქ. 10, ქ. თბილისი 0160, საქართველო
ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, ქ. თბილისი 0128, საქართველო
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ ი მეცნიერებების მაგისტრი (0319)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი; საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; წერითი გამოცდის ჩაბარება პარტნიორი უნივერსიტეტების ერთობლივი კომისიის წინაშე.
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დააახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან;
- გამოუმუშაოს სტუდენტს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების გადაცემის უნარი;
- გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

სწავლის შედეგები:

1. **ცოდნა და გაცნობიერება**

1.1. პროგრამის დასრულების შემდეგ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, უახლეს მიღწევებს, ევროინტეგრაციის, შრომითი ურთიერთობების თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტების, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ;

1.2. აღწერს საქართველოს შრომით ურთიერთობებს ევროინტეგრაციის კონტექსტში ევროპულ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. შეძლებს მის კრიტიკულ გააზრებას, ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

2. **უნარი**

ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი შეძლებს:

2.1. სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების და მათი სხვადასხვა ასპექტების შეფასებას ევროპის კავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

2.2. თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატურ გამოყენებას საქართველოს შრომითი ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლისთვის;
2.3. სხვადასხვა კვლევით თუ სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ პროექტებში ჩართვას;
2.4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული შრომითი და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
2.5. შრომითი ურთიერთობების სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის/სოციალური მონაცემების ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;
2.6. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

3.1. მართავს შრომის და დასაქმების თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება შრომით ურთიერთობებში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
3.2. შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე, საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა;
3.3. აანალიზებს სფეროში მიღებულ ცოდნას/ინიციატივებს/პრაქტიკას, და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის და პრატიკის განვითარებაში.

დასაქმების სფეროები: ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სტრუქტურებში შემდეგ პოზიციებზე: ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი, მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ევროპულ ურთიერთობებში მრჩეველი, ანალიტიკოსი, პროფკავშირებში აღმასრულებელი რგოლების თანამშრომელი, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებისა და სოციალურ სამსახურებში და დასაქმების სააგენტოში სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ასევე ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება საქართველოს ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელება რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის პოლიტიკის, დასაქმების ევროკავშირში პოლიტიკის; კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელების; შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის; ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში ევროპის საკანონმდებლო რეგულაციების და ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილების საკითხებზე კვლევების განსახორციელებლად.

5. ერთსაფეხურიანი სამედიცინო

5.1. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა

CMS

www.cms.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი (0912)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური ზღვარის გადალახვა, გარდა ინგლისური ენისა (85%); ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სარეზინდენტო პროგრამები
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 360 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 6 აკადემიური წელი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: "დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, მაღალეთიკური, ზნეობრივად სრულყოფილი, სათანადო კომპეტენციის და პროფესიული ღირებულებების მქონე, დიპლომირებული მედიკოსების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს „კავკასიის უნივერსიტეტის" ზოგადი მისიის განხორციელების ხელშეწყობას.

„დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებზე.

კავკასიის მედიცინის და ჯანდაცვის სკოლა ჩამოყალიბდა 2018 წელს, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ამოქმედდა 2020 წლის სექტემბრიდან - 1 აკადემიური ჯგუფის მონაწილეობით. პანდემიური შეზღუდვების და რეგულაციების პირობებში სასწავლო პროცესი ძირითადად წარიმართა ონლაინ ან ჰიბრიდული სწავლების რეჟიმში. ადგილზე სწავლება რეალურად განახლდა 2021 წლის 1 მარტიდან.

პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი ცოდნის, აზროვნების, ავტონომიურობის, პასუხისმგებლობის და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებას, რომლებიც აუცილებელია პროფესიული განვითარების, დიპლომისშემდგომი სწავლის გაგრძელებისა და სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის. პროგრამა ეყრდნობა უმაღლესი სტანდარტის ინსტიტუციონალური განათლების, თანამშრომლობითი ჯგუფური სწავლების, აქტიური პერსონალური თვით-სწავლის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ინტენსიური ათვისების

ინტეგრირებულ მოდელს, რეალური პაციენტების, სიმულაციური შემთხვევების და როლური თამაშების სინერგიული გამოყენებით, კლინიკური პრაქტიკის სტანდარტიზებული შეფასების მეთოდების დანერგვით და სტუდენტებში პირველივე კურსიდან მაქსიმალური პასუხისმგებლობისა და ახლო- და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირების მოთხოვნილების ჩამოყალიბებით.

პროგრამა ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტის მულტიდისციპლინური მიდგომების, დამსახურებული მაღალი რეპუტაციის, მასშტაბური საერთაშორისო თანამშრომლობის და ლიდერი სასწავლო დაწესებულების მრავალწლიანი მდიდარი გამოცდილების ინტეგრაციას - ზოგადი მენეჯმენტის, ჯანდაცვის მართვის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით. საქართველოსათვის პრიორიტეტული მიმართულებების - პირველად ჯანდაცვაზე ორიენტირებული ინტეგრირებული ჯანდაცვის, მომავლის ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დამყარებული ინოვაციური სერვისების განვითარება და მაღალი ხარისხის და ეთიკურ-პროფესიონალური ღირებულებების მქონე ამბიციური სპეციალისტების ჩამოყალიბება გვესახება პროგრამის გაფართოების და გაძლიერების საფუძვლად.

პროგრამა მიზნად ისახავს 2030-35 წლისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების, რეზიდენტურის და სამეცნიერო პოტენციალის მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნის ტოპ-სამეულში და რეგიონის ტოპ-ათეულში მოხვედრას.

პროგრამის ამოცანებია:

- სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების და შესაბამის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების მიცემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ადგილობრივ კონტექსტსა და გლობალურ და ლოკალურ გამოწვევებთან;
- კურსდამთავრებულთათვის სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნის მიცემა, და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;
- დამოუკიდებელი აქტიური თვით-სწავლის ჩვევის ჩამოყალიბება, უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული უნარების განვითარების აუცილებლობის, პროფესიონალიზმის ამაღლებისკენ მუდმივი სწრაფვის მოტივაციის გამომუშავება;
- კლინიკური და კომუნიკაციური უნარ–ჩვევების და პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავება;

ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება: პაციენტის პატივისცემა, მათი ინტერესების გათვალისწინება, მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, და სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის პროფესიული ეთიკის ფარგლებში წარმართვა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ***ცოდნა და გაცნობიერება***

1. სტუდენტი გამოხატავს მედიცინის დარგის თეორიული და კლინიკური საგნების ღრმა, სისტემურ ცოდნას, რომელიც მოიცავს მედიცინის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევას და აღნიშნული ცოდნის კრიტიკული გააზრებით ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის:

- გამოხატავს მედიცინის სფეროს ფართო ცოდნას, რის დემონსტრირებას ახდენს თეორიების და პრინციპების კრიტიკული გააზრებით; საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნის ილუსტრირებით;
- აღწერს სხვადასხვა ორგანოთა სისტემების ანატომიას, ჰისტოლოგიას, ფიზიოლოგიას და ბიოქიმიას, განიხილავს სისტემების სტრუქტურულ ორგანიზაციას;

- ჩამოთვლის სამედიცინო ბიოფიზიკის, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის და ადამიანის გენეტიკის ფუნდამენტალურ პრინციპებს; აღწერს უჯრედის და ქსოვილის სტრუქტურას, განვითარების მოლეკულურ ბიოფიზიკურ და გენეტიკურ კანონზომიერებებს. ადგენს კორელაციას ნორმალური პროცესების დარღვევასა და დაავადების კლინიკურ გამოვლინებებს შორის; განიხილავს გენის და დნმ-ის სტრუქტურას და ფუნქციას და გენეტიკური დარღვევების ასახვას პათოლოგიურ პროცესებსა და კლინიკურ ფენომენებში.
- წარმოადგენს მიკროორგანიზმების კლასიფიკაციას, აგებულებას, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ თავისებურებებს, ხსნის ადამიანის ორგანიზმზე მიკრობის პათოლოგიური ზემოქმედების მექანიზმებს და აკავშირებს ინფექციურ დაავადებათა კლინიკურ გამოვლინებებთან.
- აღწერს იმუნური სისტემის მთავარ კომპონენტებს და მახასიათებლებს, განიხილავს და ერთმანეთს ადარებს თანდაყოლილ და შეძენილ იმუნიტეტს, ჰუმორულ და უჯრედულ იმუნურ პასუხს, აანალიზებს იმუნური პასუხის რეგულაციის, დაქვეითების, გაძლიერების და კონტროლის დარღვევის მექანიზმებს და აუტოიმუნური პათოლოგიის განვითარების შესაძლებლობებს.
- აღწერს თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული, გინეკოლოგიური, პედიატრიული სფეროს ნოზოლოგიებს, მათ კლასიფიკაციას, ეტიოლოგიას, რისკ-ფაქტორებს, პათოგენეზს, სიმპტომატიკას და დიაგნოსტიკას.
- იხსენებს და განავრცობს დაავადებათა პრევენციის, მართვის ფუნდამენტურ პრინციპებს, განიხილავს წამლების ძირითად ჯგუფებს, მათი მოქმედების და დანიშვნის საფუძვლებს პათოლოგიური მდგომარეობების და დაავადებების მიხედვით;
- ახდენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ღრმა ცოდნის დემონსტრირებას და ექიმის როლის იდენტიფიცირებას ამ სისტემაში (ინდივიდუალური/ოჯახური გარემოს კონტექსტში, თუ ზოგადად - პოპულაციაში);
- აჩვენებს მედიცინის ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნას; მსჯელობს კომპლექსური კლინიკური პრობლემების მნიშვნელობაზე და აანალიზებს მათი გადაჭრის გზებს. აცნობიერებს ინფექციის გავრცელების, ეპიდემიისა და პანდემიის რისკებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრევენციულ და ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების პოტენციურ ეფექტურობას.

უნარები

2. სტუდენტი ახორციელებს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში ტრანსფორმირებას, სამედიცინო პრაქტიკის მაღალ დონეზე განსახორციელებლად აუცილებელი ჩვევების ათვისებას, დემონსტრირებას და დახვეწას.

- ცნობს და აღწერს სხეულის სისტემების სტრუქტურებს მოდელზე, მათი ტოპოგრაფიას და კავშირს სხეულის სხვა ნაწილებთან; ახდენს მიკროსკოპთან მუშაობის და ჰისტოლოგიური პრეპარატების გამოცნობის, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიისათვის საჭირო ექსპერიმენტული უნარების და კომპეტენციის დემონსტრირებას.
- ახდენს ბაქტერიოლოგიური პრეპარატის მიკროსკოპული დათვალიერების, ანალიზის, მიკრობთა ამოცნობისა და მათი კლასიფიცირების დემონსტრირებას, ასევე - ინფექციური დაავადების კლინიკიდან გამომდინარე პოტენციურ გამომწვევებზე ეჭვის მიტანას ან იდენტიფიცირებას.
- აქტიურად ერთვება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების განხილვაში და ადვოკატირებას უწევს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას პირველადი ჯანდაცვის, საოჯახო მედიცინის, ინტეგრირებული ჯანდაცვის და ისეთი პრევენციული მეთოდების გამოყენებით, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი;

მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში, როგორც ინდივიდის, ასევე - პოპულაციის დონეზე.

ითვისებს და ახდენს შემდეგი პრაქტიკული უნარების და პროცედურების დემონსტრირებას:

- ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა;
- ტემპერატურის გაზომვა,
- წნევის გაზომვა
- პულსის სიხშირის, რიტმულობის, დეფიციტის განსაზღვრა
- გულისცემის და სუნთქვის სიხშირის განსაზღვრა
- ვენეპუნქცია
- ლუმბალური პუნქცია
- ვენაში კათეტერის ჩადგმა
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
- სატურაციის განსაზღვრა,
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა
- ნაკერის დადება
- ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება
- სისხლის ტრანსფუზია
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
- შარდის და სისხლის საერთო ანალიზის გაკეთება
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება და ინტერპრეტაცია
- საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება.

3. ახორციელებს რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, სხვადასხვა დიაგნოსტიკურ კვლევათა ოპტიმალურ დაგეგმვას. მონაცემთა მოგროვების შედეგად ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის მეშვეობით ახდენს არგუმენტირებული დასკვნების - დიაგნოზის, მკურნალობის გეგმის - ჩამოყალიბებას და რეალიზებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. ახორციელებს პაციენტთან და მის ახლობლებთან, ასევე კოლეგებთან ვერბალურ და წერით კომუნიკაციას, გამოხატავს ავადმყოფის უფლებების პატივისცემას; ინარჩუნებს კონფიდენციალურობას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ; იცავს მორალურ და ეთიკურ ნორმებს პაციენტთან მიმართებაში.

მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ახდენს კლინიკური შემთხვევების, მათ შორის - გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, კრიტიკულ და ადეკვატურ შეფასებას, გამოკვლევების დანიშვნას და მათი შედეგების სწორად ინტერპრეტაციას; ღრმა კლინიკური აზროვნების გამოყენებით აანალიზებს არასრულ და წინააღმდეგობრივ მონაცემებს და ატარებს დიფერენციულ დიაგნოზს, აყალიბებს და ასაბუთებს კლინიკურ დიაგნოზს უახლესი მონაცემების მასალების სრულყოფილად მოძიების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, ინოვაციური სინთეზის უნარისა და თანამედროვე მიღწევების შეჯერების საფუძველზე. წარმატებით ახერხებს შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირებას, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შედარებას და ამ თანაფარდობის მონიტორინგის მიხედვით - ახორციელებს ავადმყოფის მდგომარეობის მართვაში დროულ და ოპტიმალურ ცვლილებებს.

სტუდენტი ახდენს შემდეგი კლინიკური უნარების დემონსტრირებას:

- ანამნეზის და სუბიექტური ჩივილების სწორად შეკრება თერაპიული, პედიატრიული, ქირურგიული, გინეკოლოგიური პაციენტებისათვის;
- ფიზიკური გამოკვლევების (აუსკულტაციური, პერკუტორული, პალპატორული და სხვ.) სწორად ჩატარებას და ზუსტ შეფასება;
- დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და კლინიკური შემთხვევის შეფასება;
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროების შემთხვევაში გამოცდილ კოლეგებთან/სპეციალისტებთან განხილვა და მოსაზრებების შეჯერება;
- გამოკვლევების დანიშვნა, მიღებული შედეგების ინტერპრეტირება და სინთეზი - დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება;
- კლინიკური დიაგნოზის გამოტანა და დასაბუთება, დაავადების მართვის გეგმის კრიტიკული ანალიზი და, სირთულის გათვალისწინებით, საჭიროებისას - კოლეგიალური განხილვა;
- პაციენტისა და მისი მზრუნველებისათვის მკურნალობის ტაქტიკის გაცნობა, შეთანხმება, განმარტებებისა და რჩევების მიცემა

ახორციელებს პირველადი და სარეანიმაციო დახმარების გაწევას გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს:

- ახერხებს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობას, შეფასებას და ჩატარებას სხვადასხვა ასაკობრივ (პედიატრიულ, მოზრდილთა და ხანშიშესულთა) ჯგუფებში;
- ახორციელებს გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვას გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმის პროტოკოლის (DRS ABCD) თანახმად და შემდეგი კონკრეტული პირველადი დახმარების აღმოჩენას:
- ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი (BLS) ღონისძიებები,
- კარდიო-პულმონური რეანიმაციის (CPR) ღონისძიებები;
- გაიდლაინების შესაბამისი სიცოცხლის შემანარჩუნებელი გაფართოებული - გულსისხლძარღვთა (ACLS) და პედიატრიული (PALS) ღონისძიებები;
- ტრავმების გადაუდებელ მკურნალობის ღონისძიებები შესატყვისი ბაზისური და გაფართოებული გაიდლაინების და პროტოკოლების (BTLS, ATLS) შესაბამისად.

ახორციელებს მკურნალობის ოპტიმალური გეგმის შედგენას და დინამიკაში მართვას:

- ახდენს მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერას;
- აკავშირებს არაფარმაცევტული სამკურნალო ღონისძიებების და მედიკამენტების გამოყენებას კლინიკურ კონტექსტთან და პაციენტის სისტემებისა და ორგანოების ფუნქციობის დონესთან;
- აფასებს პაციენტისთვის მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობას. ადარებს მათ სარგებელს მათი გამოყენების პოტენციურ რისკთან და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მკურნალობის დანიშვნის, რეჟიმის და დოზირების შესახებ;
- ახორციელებს ტკივილისა და დისტრესის მკურნალობას;
- მკურნალობის დანიშვნისას ითვალისწინებს მედიკამენტების ურთიერთქმედების და თანათავსებადობის შეფასებას;
- ახორციელებს დანიშნული მკურნალობის გეგმის მონიტორინგს - წამლების პოტენციური გვერდითი ქმედებების დროულ ამოცნობას და მკურნალობაში სათანადო ცვლილებების მოხდენას.

ახდენს ქრონიკული დაავადებით პაციენტის მართვას მედიცინის თანამედროვე მეთოდების (მეორადი პრევენცია, ინტეგრირებული ჯანდაცვა, ელექტრონული ჯანდაცვა, დისტანციური მონიტორინგი) გამოყენებით. ხელს უწყობს პაციენტის განათლებას დაავადების სწორად მართვაში მისი და ოჯახის წევრების აქტიური მონაწილეობის მისაღებად. პაციენტთან და მათ

მომვლელებთან იხილავს დაავადების მართვის გეგმას; ახორციელებს ინკურაბელურ/ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვას;

სწავლობს, წარმართავს და აუმჯობესებს ექიმის პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელ მრავალმხრივ, ეფექტურ, ვერბალურ თუ არავერბალური კომუნიკაციას (მშობლიურ და ინგლისურ ენაზე) - პაციენტთან, მის ახლობლებთან, კოლეგებთან, მულტიდისციპლინურ გუნდთან და სხვა პირებთან (განურჩევლად მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა), იმ კონტექსტში და მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სამედიცინო დახმარების სრულყოფილად გაწევის კუთხით, ექიმის მოვალეობით და მოქმედი რეგულაციებით.

კერძოდ, ახორციელებს:

- **პაციენტთან კომუნიკაციას;**
- **კოლეგებთან, სამედიცინო პერსონალის სხვადასხვა რგოლთან და სხვა სფეროების ექსპერტებთან კომუნიკაციას;**
- **კომუნიკაციას ცუდი ამბის შეტყობინებისას;**
- **ნათესავებთან (და/ან მომვლელებთან) კომუნიკაციას - დიაგნოზის ახსნის/დაზუსტების და/ან მოვლის/მკურნალობის/პრევენციის განმარტებების რჩევების/რეკომენდაციების გადაცემის კუთხით;**
- **კომუნიკაციას უნარშეზღუდულ პირებთან;**
- **კომუნიკაციას ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;**
- **წერილობით კომუნიკაციას (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით);**
- **კომუნიკაციას კონფლიქტის შემთხვევაში;**
- **კომუნიკაციას დამხმარე პირის საშუალებით;**
- **კომუნიკაციას სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან.**

ახდენს დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების და სოციალური ასპექტების სწორად შეფასებას ზოგადი და ქცევითი პათოლოგიური პრობლემების ოპტიმალური მართვის განსახორციელებლად; ახდენს დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენას, ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენას. აფასებს პაციენტის ფსიქოემოციურ სტატუსს და ამხნევებს მას.

გამოხატავს პაციენტის მიმართ მხარდაჭერას, ემპათიას და მისი უფლებების პატივისცემას; ინარჩუნებს კონფიდენციალურობას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ; იცავს მორალურ და ეთიკურ ნორმებს პაციენტთან მიმართებაში. ავადმყოფის დიაგნოსტირების და მკურნალობის პროცესში ითვალისწინებს სამართლებრივ პრინციპებს და ეყრდნობა საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას. პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ახდენს აუტოფსიის მოთხოვნას და/ან სიკვდილის ცნობის გაცემას (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

თავისი პიროვნული თვისებებით და საქმიანობით ამჟღავნებს და ადასტურებს გლობალურ კონტექსტში ექიმისთვის აუცილებელი შემდეგი პერსონალური ღირებულებების მაღალ სტანდარტს: მიუკერძოებლობა, პატიოსნება, სამართლიანობა, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და პროფესიული სრულყოფისთვის, ასევე - მულტიკულტურულ საზოგადოებაში მუშაობისთვის მზაობა.

4. ახდენს ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპებზე დაყრდნობით კვლევების კრიტიკულ ანალიზს, სხვადასხვა საგანში და მიმართულებით შესაბამისი დონის კვლევითი სამუშაოების დაგეგმვას და განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და ეთიკის სტანდარტების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. წარუდგენს საკუთარი დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს, როგორც აკადემიურ, ასევე, - პროფესიული საზოგადოებას.

სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში იყენებს ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და მიღწევების ცოდნას და პრაქტიკულ უნარს:

- მიმოიხილავს ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, აანალიზებს კვლევის თანამედროვე სტრატეგიებს, ტრადიციულ და უახლეს კვლევით ტექნოლოგიებს და მეთოდებს;
- ახდენს მტკიცებულებების დონის ადეკვატურად შეფასებას და გამოყენებას სამეცნიერო მუშაობასა და კლინიკურ პრაქტიკაში;
- ახერხებს კვლევის მიზნებისა და ტიპის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის სწორად შერჩევას, ახდენს მის კრიტიკულ შეფასებას და ანალიტიკური დასკვნების გამოტანას;
- გამოხატავს სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, კვლევისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის სათანადო წარმოების, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების ცოდნას და შესაბამისი უნარების დემონსტრირებას;
- სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახდენს ლიტერატურის მიმოხილვის და/ან რეფერატის მომზადებას და სათანადო ფორმით პრეზენტაციას;
- ახდენს სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნის პრაქტიკულ დემონსტრირებას.
- მონაწილეობს სამეცნიერო შეხვედრებში და დისკუსიებში, ახორციელებს ვერბალურ და წერილობით კომუნიკაციას, ისმენს და სვამს კითხვებს, გასცემს და აფასებს პასუხებს, გამოხატავს თავის მოსაზრებებს აკადემიური ეთიკის სტანდარტების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

5. ავლენს საკუთარი სწავლის (self-learning) აქტიური პროცესის დაგეგმვისა და დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. ახდენს სასწავლო და საინფორმაციო რესურსების მოძიებას, კრიტიკულ ანალიზს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას და ადაპტირებას სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად.

აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, გეგმავს და ახორციელებს ჯანსაღი ცხოვრების წესის გამოყენებას საკუთარ ცხოვრებაში.

- აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობას;
- ატარებს საკუთარი თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურ ანალიზს, მათი განახლების და/ან გაღრმავების საჭიროებების კრიტიკულ თვითშეფასებას, თავად გეგმავს და ადაპტაციას უწევს საკუთარი უწყვეტი განათლების პროცესს;
- მაქსიმალურად და ეფექტურად იყენებს სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრულ სპექტრს (ნაბეჭდი, საბიბლიოთეკო, ინტერნეტ- და ონლაინ-რესურსები); ახორციელებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებას, შერჩევას, კრიტიკულად შეფასებას, დამუშავებას, ანალიზს, განზოგადებას, ინტერპრეტირებას და რეფერირებას. ახდენს კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვას, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ამოღებას და გამოყენებას, პირადი ჩანაწერების მონაცემთა ბაზის (პორტფოლიოს ან LogBook) სახით.
- ახერხებს დროის სწორად დაგეგმვას და ოპტიმალურ ორგანიზებას;
- ახდენს თავდაპირველ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას და ადაპტირებული გეგმით სასწავლო რესურსების ათვისებას სწავლის შემდგომ საფეხურებზე გადასასვლელად ან რეზიდენტურის გასავლელად.
- აცნობიერებს და აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და შესაძლო პრობლემებს, მათ შორის პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით. გეგმავს საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესების ღონისძიებებს - ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისა და მავნე ჩვევების აღმოფხვრის გზით.

6. **ახორციელებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. შეაქვს წვლილი სხვათა პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში; იღებს პასუხისმგებლობას სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ახდენს გუნდური მუშაობის კოორდინირებას. როლური მაგალითის სახით ახდენს ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიურ ადვოკატირებას ოჯახურ და მეგობრების წრეში**

- ახორციელებს საკუთარი სწავლის, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დახვეწის, და ჯანმრთელობის გაუმჯობესების პოზიტიური გამოცდილების მაგალითით თანასწორების და გუნდის წევრების წახალისებას და მოტივირებას ანალოგიური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე. ახდენს ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიურ ადვოკატირებას ოჯახურ და მეგობრების წრეში და დინამიკაში საკუთარი და ნაცნობების ჩვევებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ობიექტური შეფასების კონტრასტული ანალიზის მეშვეობით მნიშვნელოვან გავლენას მათი ცხოვრების სტილის პოზიტიურ ცვლილებაზე, სტუდენტობიდანვე ხდება რა როლური მაგალითის მიმცემი და სოციალურ წრეში ჯანმრთელობის ცოდნის გამავრცელებლის და ექიმის ფუნქციების შემსრულებელი, რაც აღრმავებს მის აქტიურ პრაქტიკულ ჩართულობას და დაინტერესებას საკუთარი თავის მოსამზადებლად ა)უმცროსი ექიმის, ბ)მეცნიერი მკვლევარის ან გ)სამედიცინო განმანათლებლის პოტენციური კარიერული საფეხურებისათვის.
- შეაქვს წვლილი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში, ჯგუფური (კოლაბორაციული) სწავლის, საინტერესო შემთხვევების და არაფორმალური განხილვების ორგანიზებასა და წარმატებული შედეგის მიღწევაში. ზრდის როგორც საკუთარ, ასევე ჯგუფის სხვა წევრების პოტენციალს აქტიური მსწავლელის როლისათვის. იღებს პასუხისმგებლობას სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.
- როგორც გუნდის რიგითი წევრი, ახდენს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევას, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულების უნარის დემონსტრირებას. გამოხატავს გუნდურ მუშაობაში აუცილებელ შემდეგ პერსონალურ ღირებულებებს: კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულება, გაურკვეველ სიტუაციებიდან გამოსავლის მონახვა და ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია, კრეატიულობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და დახმარების თხოვნა.
- გუნდის ლიდერობის შემთხვევაში, პაციენტთა დახმარების მაღალი სტანდარტის მისაღწევად, ახდენს საკუთარი და დამატებითი რესურსების გამოყენებით კოლეგების ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასებას, გუნდური მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებად მიზანშეწონილი ფუნქციური და სტრუქტურული ცვლილებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი გადაწყობისთვის აუცილებელი პროცესის სწორ დაგეგმვას, რესურსების დაანგარიშებას, ოპტიმალური ვარიანტის ამორჩევას გუნდთან სათანადო კომუნიკაციის წარმართვის გზით და მომწიფებული რეორგანიზაციის ეფექტურად განხორციელებას.
- გამოხატავს გუნდის ლიდერისათვის მნიშვნელოვან შემდეგ უნარებს და ღირებულებებს: ინიციატიურობა, წარმატებულობის სურვილი, პრობლემების გადაჭრის უნარი, გადაწყვეტილებების მიღების უნარი, სხვისი სწავლების უნარი, სამართლიანი და ნდობით გაჯერებული ინტერპერსონალური კომუნიკაციის და მოტივაციური თანამშრომლობის უნარები.
- გუნდის წევრებთან სწორი, ნდობაზე დამყარებული და ეფექტური კომუნიკაციის მეშვეობით ახერხებს კონფლიქტური სიტუაციების პროგნოზირებას და რისკების შემცირებას, ხოლო მათი აღმოცენების ან ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევებში - დროულად იდენტიფიცირებას, მიზეზების გარკვევას და სწორად მართვას.

დასაქმების სფეროები: "დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს:

- გაიაროს პროფესიული განვითარების პროგრამა რეზიდენტურაში (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის

კანონმდებლობით) და ერთიანი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდგომ მიენიჭოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის წარმოების უფლება;

- ჩაერთოს კვლევაში ან სამედიცინო-საგანმანათლებლო პროცესში მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანდაცვის დარგში, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო საქმიანობას;
- სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში ან
- იმუშაოს უმცროს ექიმად.

5.2. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა

დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა

CMS

www.cms.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი (0912)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი; ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი; ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის გადალახვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: დოქტორანტურა, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სარეზინდენტო პროგრამები
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 360 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 6 აკადემიური წელი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები: "დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური, მაღალეთიკური, ღრმა და სისტემური ცოდნის, სათანადო უნარების, აუცილებელი კომპეტენციებისა და პროფესიული ღირებულებების მქონე დიპლომირებული მედიკოსების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფს „კავკასიის უნივერსიტეტის" მისიის განხორციელების ხელშეწყობას.

პროგრამის მიზნებია:

- თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების მიცემა
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში ტრანსფორმირება. კლინიკური, ანალიტიკური და კომუნიკაციური უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.
- პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების, ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება. პაციენტის პატივისცემა და ინტერესების დაცვა, მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვის, განხორციელების და ანალიზის უნარის განვითარება, ეთიკის პრინციპების გათავისება.
- დამოუკიდებელი აქტიური თვით-სწავლის ჩვევის პროფესიონალიზმის, პირადი და გუნდური პასუხისმგებლობის მოტივაციის გამომუშავება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამოცანების და გამოწვევების გადასაწყვეტად მზადყოფნა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: *დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის*

სწავლის შედეგები სისტემატიზირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეფასების კრიტერიუმების და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციების ინტეგრაციის საფუძველზე, ახდენს რა კვალიფიკაციათა 3 დომენის მიხედვით უმაღლესი სამედიცინო განათლების 14 კომპეტენციის ასახვას.

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

სწავლის შედეგი 1: (K1) ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების და დარგის ფუნდამენტური პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა და გაცნობიერება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

1.1. ავლენს ბიოსამედიცინო მეცნიერებების ღრმა და სისტემურ ცოდნას.
1.2. განიხილავს და ადარებს ნორმალური და პათოლოგიური პროცესების დამახასიათებელ სტრუქტურულ ორგანიზაციას, ფუნქციურ ცვლილებების მექანიზმებს და მეტაბოლიზმს - მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილოვან, ორგანოების და სისტემების დონეზე.
1.3. განიხილავს იმუნური სისტემის ფუნქციას, კომპონენტებს და მახასიათებლებს. ადარებს თანდაყოლილ და შეძენილ, ჰუმორულ და უჯრედულ იმუნიტეტს. აანალიზებს იმუნური პასუხის რეგულაციის და კონტროლის დარღვევის მექანიზმებს.
1.4. გენეტიკური(მემკვიდრული) დაავადებების, ანთების, მეტაპლაზიის, ინფექციის, აუტოიმუნური პროცესების განხილვისას აფასებს კორელაციას პათოლოგიური ცვლილებების და მექანიზმების განვითარებასა და დაავადებათა კლინიკურ გამოვლინებებს შორის.
1.5. მსჯელობს სოციალურ და ქცევით ფაქტორებზე, განმარტავს მათ როლს პათოლოგიური პროცესების განვითარებაში
1.6. ახდენს კლინიკური მედიცინის ღრმა და სისტემური ცოდნის და ბაზისურ საგნებთან ინტეგრირების დემონსტრირებას. აღწერს შინაგანი მედიცინის, ქირურგიის და მათი სუბსპეციალობების, ასევე - მეანობა-გინეკოლოგიის, პედიატრიის, ფსიქიატრიის ძირითად ნოზოლოგიებს. ახდენს მათ კლასიფიცირებას, მსჯელობს მათ ეტიოლოგიაზე, განიხილავს მათ პათოგენეზს, ადარებს მათ სიმპტომატიკას, დიაგნოსტიკურ მეთოდებს და ახდენს მათ დიფერენცირებას.
1.7. ავლენს დაავადებათა მართვის სხვადასხვა მეთოდების ცოდნის ილუსტრირებას და ახდენს მათი გამოყენების არეალის, ჩვენებების სარგებლის და ეფექტურობის შედარებით შეჯამებას.
1.8. აღწერს და აფასებს სამკურნალწამლო პრეპარატების მოქმედების მექანიზებმს, ფარმაკოკინეტიკას და ფარმაკოდინამიკას, ჩვენებას, უკუჩვენებას, გვერდით ეფექტებს და მათი დოზის რეგულირების პრინციპებს.
1.9. აფასებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელობას და ექიმის როლს ამ სისტემის გამოყენებით ინდივიდის და პოპულაციის ჯანმრთელობის ხარჯ-ეფექტურ მართვაში.
1.10. ავლენს მედიცინის ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების, პაციენტის უფლებების ღრმა ცოდნას.

უნარი

სწავლის შედეგი 2: (კომპეტენცია S1) პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

2.1. ნებისმიერი ასაკის პაციენტის კონსულტაციის პროცესში ახორციელებს პაციენტთან შეხვედრის სწორ სტრუქტურირებას, გამართულ კომუნიკაციას და ეფექტურ მართვას.
2.2. ახერხებს ანამნეზური ინფორმაციის მოძიებას როგორც პაციენტისგან, ასევე სხვა წყაროებიდანაც (პაციენტის თანხმობით).
2.3. კონსულტაციის სტანდარტის დაცვით ატარებს ნებისმიერი ასაკის პაციენტის ფიზიკურ გამოკვლევას.

2.4. აფასებს პაციენტის ფსიქოემოციურ მდგომარეობას და განსაზღვრავს სათანადო რჩევების ან სპეციალისტის კონსულტაციის აუცილებლობას. გამოხატავს პაციენტის მხარდაჭერას.
2.5. თეორიული ცოდნის და კლინიკური აზროვნების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს და უზიარებს პაციენტს დასაბუთებულ რეკომენდაციებს.

სწავლის შედეგი 3 (კომპეტენცია S2): კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა.

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

3.1. ნებისმიერი ასაკის პაციენტის შეფასებისას აცნობიერებს და აფასებს დაავადების კლინიკური შემთხვევის მანიფესტაციის სირთულეს.
3.2. თეორიული ცოდნის და პაციენტის მონაცემების საფუძველზე ატარებს გამოკვლევების ოპტიმალურ ნაკრებს და ახდენს გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტირებას.
3.3. კლინიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ატარებს დიფერენციულ დიაგნოსტიკას და განსაზღვრავს პაციენტის ძირითადი და თანმხლები დაავადებების დიაგნოზს.
3.4. ახორციელებს პაციენტისა და მისი მომვლელებისათვის მკურნალობის ტაქტიკის გაცნობას, შეთანხმებას, განმარტებებისა და რჩევების მიცემას.
3.5. ზრუნავს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე
3.6. ახდენს ქრონიკული დაავადების მართვის დემონსტრირებას.

სწავლის შედეგი 4 (კომპეტენცია S3): გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

<u>პროგრამის კურსდამთავრებული</u> ახდენს შემდეგი უნარების დემონსტრირებას:

4.1. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება;
4.2. ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (ახალშობილებში, ბავშვებში, ხანდაზმულებში);
4.3. ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების გაიდლაინების შესაბამისად ჩატარება;
4.4. სიცოცხლის შემანარჩუნებელი გაფართოებული ღონისძიებების გაიდლაინების შესაბამისად ჩატარება;
4.5. ტრავმების დროს გადაუდებელი დახმარების ღონისძიებების ჩატარება.

სწავლის შედეგი 5 (კომპეტენცია S4): მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

5.1. ახდენს კლინიკური კონტექსტის შესაბამისად წამლების და დოზის შერჩევას
5.2. გამოწერს წამლებს გასაგებად და აკურატულად
5.3. აანალიზებს პაციენტისათვის წამლის სარგებლისა და პოტენციური გვერდითი ეფექტის რისკის თანაფარდობას
5.4. ითვალისწინებს სხვადასხვა მედიკამენტების ურთიერთქმედებას და თავსებადობას კონკრეტული პაციენტის მკურნალობის დანიშვნისას
5.5. ახორციელებს ტკივილის და დისტრესის მკურნალობას.

სწავლის შედეგი 6 (კომპეტენცია S5): პრაქტიკული პროცედურების განხორციელება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

ახდენს პრაქტიკული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო პროცედურების დემონსტრირებას:

6.1. სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა;
6.2. წნევის გაზომვა;
6.3. სატურაციის განსაზღვრა;
6.4. ხელების დაბანა და ხელთათმანის ჩაცმა;
6.5. პერიფერიული ვენის ვენეპუნქცია;
6.6. პერიფერიულ ვენაში კათეტერის ჩადგმა;
6.7. სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება;
6.8. ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში;
6.9. ჟანგბადის მიწოდება;
6.10. პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა;
6.11. ნაკერის დადება
6.12. ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება;
6.13. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
6.14. შარდის ანალიზის გაკეთება;
6.15. ელექტროკარდიოგრამის გადაღება;
6.16. ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია;
6.17. სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება;
6.18. საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება.

სწავლის შედეგი 7 (კომპეტენცია S6): სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

7.1. წარმართავს პაციენტთან, მის ახლობლებთან, კოლეგებთან და სხვა პირებთან (განურჩევლად მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა) ეფექტურ ვერბალურ ან წერილობით კომუნიკაციას, იმ კონტექსტში და მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სამედიცინო დახმარების სრულყოფილად გაწევის კუთხით, ექიმის მოვალეობით და მოქმედი რეგულაციებით;
7.2. ახერხებს კომუნიკაციას ნათესავებთან (და/ან მომვლელებთან) - დიაგნოზის ახსნის/დაზუსტების და/ან მოვლის/მკურნალობის/პრევენციის განმარტებების/რჩევების/ რეკომენდაციების (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოძიების) გადაცემის კუთხით.
7.3. ახერხებს კომუნიკაციას უნარშეზღუდულ პირებთან და/ან დამხმარე პირის საშუალებით;
7.4. ახორციელებს გამართულ წერილობით კომუნიკაციას (სამედიცინო ჩანაწერების და ელექტრონული სამედიცინო ისტორიების ჩათვლით) ჯანდაცვის, სამართალდაცავ ორგანოებთან და მასმედიასთან;
7.5. ახერხებს ცუდი ამბის შეტყობინების სწორად კომუნიკაციას და/ან კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაციას.

სწავლის შედეგი 8 (კომპეტენცია S7): სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება.

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

8.1. გამოხატავს პატივისცემას პაციენტის ღირსების და უფლებების, მათ შორის სამედიცინო დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლების მიმართ.
8.2. სამედიცინო მომსახურების გაწევისას კანონის შესაბამისად იღებს პაციენტისაგან ვალიდურ ინფორმირებულ თანხმობას და აკეთებს სათანადო ჩანაწერს დოკუმენტაციაში;

8.3. გამოხატავს პაციენტის მხარდაჭერას და მისი უფლებების პატივისცემას; პაციენტთან მიმართებაში იცავს მორალურ და ეთიკურ ნორმებს;
8.4. ინარჩუნებს კონფიდენციალურობას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ;
8.5. საჭიროების შემთხვევაში ახდენს აუტოფსიის მოთხოვნას და/ან სიკვდილის ცნობის გაცემას (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში).
8.6. ავადმყოფის მკურნალობისას იყენებს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას;
8.7. ახერხებს სამედიცინო საქმიანობის წარმართვას მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

სწავლის შედეგი 9 (კომპეტენცია S8): პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება, დადგენა და შეფასება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

9.1. აფასებს პაციენტის ფსიქოემოციურ სტატუსს და დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებს.
9.2. ადგენს დაავადებასთან დაკავშირებულ სტრესს;
9.3. ადგენს პაციენტის შესაძლო დამოკიდებულებას ალკოჰოლზე, წამალდამოკიდებულებას, დამოკიდებულების სხვა შესაძლო ფორმებს (გემბლინგი, ინტერნეტდამოკიდებულება).

სწავლის შედეგი 10 (კომპეტენცია S9): მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

10.1. ახერხებს პრობლემის განსაზღვრას, საკითხის ირგვლივ რელევანტური კითხვების დასმას და კითხვებზე პასუხის ეფექტურად მოძიებას სამეცნიერო ლიტერატურაში.
10.2. ახორციელებს სამედიცინო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, სტატიებში მოყვანილი მტკიცებულებების ხარისხის შეფასებას და დამაჯერებელი მონაცემების სათანადოდ გამოყენებას პრაქტიკაში გადაწყვეტილების მიღებისას - ავადმყოფისათვის მაქსიმალური სარგებლის მიზნით;
10.3. განიხილავს კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ მტკიცებულებებს კოლეგებთან და ჯანდაცვის სხვა სპეციალისტებთან, რითაც ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დამყარებული პრინციპების, ცოდნის და უნარის გავრცელებას და ფართოდ დანერგვას სამედიცინო საზოგადოებაში.

სწავლის შედეგი 11: (კომპეტენცია S10) სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

11.1. პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
11.2. სწორად აწარმოებს და სრულად ინახავს კლინიკურ ჩანაწერებს;
11.3. ახორციელებს სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიებას, შენახვას და შემდეგ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას
11.4. აწარმოებს სწავლის, პრაქტიკული უნარების და პროფესიული საქმიანობის ამსახველ პირად ჩანაწერებს (პორტფოლიო).

სწავლის შედეგი #12 (კომპეტენცია S11). სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

12.1. ახდენს სამეცნიერო კვლევის წარ მოების მეთოდოლოგიის, სამეცნიერო კოდექსის და

ეთიკური პრინციპების ცოდნის დემონსტრირებას.

12.2. ავლენს კვლევის დიზაინის შერჩევის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების ფორმულირების უნარს.

12.3. მოიძიებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ბიოსამედიცინო კვლევების უახლეს მიღწევებს.

12.4. დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ამზადებს რეფერატს/მიმოხილვას.

12.5. წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს, არგუმენტებს და დასკვნებს, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიულ საზოგადოებას, სათანადო პრეზენტაციის ფორმით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

სწავლის შედეგი #13 (კომპეტენცია S12). ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

13.1. აქტიურად ერთვება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების განხილვასა და თემის და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების პროცესში.

13.2. ადვოკატირებას უწევს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას დაავადებათა პრევენციული ღონისძიებების გატარებით.

13.3. მონაწილეობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებში როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

13.4. ესმის ინფექციების გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების მნიშვნელობა და ამ ღონისძიებების ადვოკატირებით მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების გაძლიერებაში

13.5. აცნობიერებს და აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და შესაძლო პრობლემებს, მათ შორის პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით.

13.6. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესების ღონისძიებებს - ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისა და მავნე ჩვევების აღმოფხვრის გზით, და როლური მაგალითით - საზოგადოებრივ ცნობიერებაზე პოზიტიური გავლენას.

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

სწავლის შედეგი #14 (კომპეტენცია RA13). პროფესიონალიზმი /ღირებულებები

<u>პროგრამის კურსდამთავრებული:</u>

14.1. ახდენს საკუთარი ცოდნის დონის თვითშეფასებას და პრიორიტეტების შერჩევას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას და ადაპტირებული სასწავლო რესურსების ათვისებას სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად

14.2. პიროვნული თვისებებით და საქმიანობით ადასტურებს ექიმისთვის აუცილებელი პერსონალური ღირებულებებისა და პროფესიონალიზმის მაღალ სტანდარტს: მიუკერძოებლობა, პატიოსნება, სამართლიანობა, შემოქმედებითობა, კომუნიკაბელობა, კოლეგიალობა, ინიციატიურობა, ალტრუიზმი, ემპათია (თანაგრძნობა).

14.3. ახერხებს ექსპერტული თვისებების გამომჟღავნებას - ანალიზის, სინთეზის, უწყვეტი სწავლის, სამეცნიერო კვლევის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მენტორობის - კუთხით.

14.4. ახდენს დროის დაგეგმვის და ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევას, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულების უნარის დემონსტრირებას.

14.5. გამოხატავს გუნდურ მუშაობაში აუცილებელ შემდეგ უნარებს: პასუხისმგებლობა, კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულება, გაურკვეველი მდგომარეობიდან გამოსავლის მონახვა, ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია, კრეატიულობა, დამოუკიდებლად მუშაობა, საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და დახმარების დროულად თხოვნა.

14.6. ახერხებს გუნდის ლიდერის შემდეგი თვისებების ჩამოყალიბებას და ეფექტურ დემონსტრირებას: ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, ფუნქციების განაწილება, მუშაობის დაგეგმვა, საქმიანობის კოორდინაცია, უკუკავშირის გათვალისწინება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების პრევენცია/მართვა.

14.7. გამოხატავს მულტიკულტურალიზმის დამახასიათებელ უნარებს: მეორე ენის ცოდნა, განსხვავებული კულტურის პატივისცემა, საერთაშორისო გარემოში მუშაობის მზადყოფნა, ექსტრაპროფესიული ცოდნა.

დასაქმების სფეროები: "დიპლომირებული მედიკოსის" საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს:

ა) გაიაროს პროფესიული განვითარების პროგრამა რეზიდენტურაში (ან საზღვარგარეთ ეკვივალენტურ პროფესიულ პროგრამაზე, რომელიც აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით) და ერთიანი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდგომ მიენიჭოს დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლება.

ბ) ჩაერთოს კვლევაში ან სამედიცინო-საგანმანათლებლო პროცესში მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანდაცვის დარგში, რომელიც არ მოიცავს დამოუკიდებელ სამედიცინო საქმიანობას.

გ) სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში ან

დ) იმუშაოს უმცროს ექიმად (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირის ხელმძღვანელობით და მითითებებით).

პროგრამის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება მოხდება 2029 წელს.

6. საბაკალავრო პროგრამები

6.1. ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) საბაკალავრო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლების გამოცდილებას და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს.

კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:

Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი;

Obj. 2 - განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის;

Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის.

Obj. 4 - შესთავაზოს ისეთი პროგრამა, რომელიც თანხვედრაში არის საერთაშორისო უნივერსიტეტების ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა საქართველოსა, თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

Obj. 5 - ჩამოუყალიბოს ისეთი მსოფლმხედველობა და ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

P.L.O.1. - განსაზღვროს და აღწეროს ბიზნესის ადმინისტირების (ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი) ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ;

P.L.O.2. მის წინაშე არსებული ამოცანიდან გამომდინარე

- შეარჩიოს ბიზნეს მოდელები, რომლითაც შეაფასებს ბიზნესგარემოს, იდეას და/ან პროექტს;
- დასახოს მისაღწევი მიზნები;
- და დაგეგმოს საჭირო ქმედებები-მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

P.L.O.3. პრაქტიკაში გამოიყენოს მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები;

P.L.O.4. გაანალიზოს არსებული სიტუაცია შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, მოახდინოს საკვანძო საკითხების იდენტიფიცირება და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები;

P.L.O.5. განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში;

P.L.O.6. განახორციელოს კომუნიკაცია უცხო ენაზე, როგორც ბიზნეს, ასევე ზოგადი თემების ირგვლივ;

P.L.O.7. განსაზღვროს და გაითვითცნობიეროს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ჰუმანური ფასეულობები, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა;

დასაქმების სფეროები:

- ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიებში მარკეტინგის/საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის და სხვა მარკეტინგის მიმართულების დეპარტამენტებში საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები;
- სარეკლამო სააგენტოში სხვადასხვა საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები;
- მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციაში სხვადასხვა საწყისი და საშუალო დონის პოზიციები;
- საკონსულტაციო სექტორი;
- ნებისმიერი კომპანიის საბუღალტრო განყოფილება;
- აუდიტორულ კომპანიები;
- საჯარო დაწესებულებებში - ბუღალტერია, შიდა აუდიტი;
- მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები;
- საბანკო სექტორი;
- არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები;
- სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

6.2. ბიზნესის ადმინისტრირების (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

www.csb.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (0413)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები; ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროგრამა შედგენილია საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ დანახული ბაზარზე არსებული საჭიროებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლების გამოცდილებას და იზიარებს ბიზნესის ადმინისტრირებაში დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს.

კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:

Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი;

Obj. 2 - განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის;

Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის;

Obj. 4 - შესთავაზოს ისეთი პროგრამა, რომელიც თანხვედრაში არის საერთაშორისო უნივერსიტეტების ბიზნესის საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს გაიღრმავოს ცოდნა საქართველოსა, თუ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

Obj. 5 - ჩამოუყალიბოს ისეთი მსოფლმხედველობა და ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ერთგულ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები:

P.L.O.1. - განსაზღვროს და აღწეროს ბიზნესის ადმინისტირების ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ;

- P.L.O 1.1 ფინანსების კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს ფინანსების ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის ფინანსური საქმინობა; მოამზადოს საფინანსო ანგარიშები;
- P.L.O 1.2 მარკეტინგის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს მარკეტინგის ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის მარკეტინგული მიმართულების საქმიანობა, მოახდინოს კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის წარმოება;
- P.L.O 1.3 მენეჯმენტის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს მენეჯმენტის ძირითადი თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს. განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის მენეჯმენტის მიმართულების საქმიანობა, განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის პროცესი.
- P.L.O 1.4 საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის კონცეტრაციისთვის - განსაზღვროს და აღწეროს საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის თეორიები, კონცეფციები, მოდელები და მიდგომები, იმსჯელოს მათ შესახებ; დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს ორგანიზაციის საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის მიმართულები საქმიანობა, მოამზადოს საგადასაცადო ანგარიშები.

P.L.O.2. მის წინაშე არსებული ამოცანიდან გამომდინარე

- შეარჩიოს ბიზნეს მოდელები, რომლითაც შეაფასებს ბიზნესგარემოს, იდეას და/ან პროექტს
- დასახოს მისაღწევი მიზნები
- და დაგეგმოს საჭირო ქმედებები-მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები;

P.L.O.3. პრაქტიკაში გამოიყენოს მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები;

P.L.O.4. გაანალიზოს არსებული სიტუაცია შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, იდენტიფიცირება მოახდინოს საკვანძო საკითხების და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები;

P.L.O.5. განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით და ზოგადი თემების ირგვლივ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში;

P.L.O.6. განსაზღვროს და გაათვითცნობიეროს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ჰუმანური ფასეულობები, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა.

დასაქმების სფეროები: ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიებში მარკეტინგის/საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის/ და სხვა მარკეტინგის მიმართულების დეპარტამენტებში საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები:

- სარეკლამო სააგენტოში სხვადასხვა საწყისი და საშუალო მენეჯერული დონის პოზიციები;
- მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციაში სხვადასხვა საწყისი და საშუალო დონის პოზიციები;
- საკონსულტაციო სექტორი;
- ნებისმიერი კომპანიის საბუღალტრო განყოფილება;
- აუდიტორულ კომპანიები;
- საჯარო დაწესებულებებში - ბუღალტერია, შიდა აუდიტი;
- მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები;
- საბანკო სექტორი;
- არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები;
- სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

6.3. სამართლის საბაკალავრო პროგრამა

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

www.csl.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (0421)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართულის სამართლის წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

- თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სამართლის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი;
- ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;
- პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ცოდნა გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- აღწერს სამართლებრივ სისტემებსა და ძირითად პრინციპებს, სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, სამართლის ნორმათა კლასიფიკაციას, ეროვნული სამართლის სისტემას და იერარქიულ ლოგიკას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების ასპექტებს, კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სისტემებს, ცნებებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, სამართალწარმოების საკითხებს, სამოსამართლეო სამართლის როლს სამართლის განვითარების დინამიკაში, კანონშემოქმედებით პროცესს.
- აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, კონსტიტუციური სუბიექტებისა და ორგანოების არჩევნების ან/და ფუნქციონირების თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის, ამავდროულად, შეზღუდვის სამართლებრივ პრინციპებს და ინსტრუმენტებს.
- განსაზღვრავს სამართლის/ნორმის გამოყენების, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების საკითხებს სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრის მიზნით, განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

უნარი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ამოიცნობს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს (ხარვეზული საკანონმდებლო რეგულირების, კანონების პრაქტიკაში გამოყენებისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების სირთულის, და სხვ.) სამართლის სხვადასხვა სფეროში, კრიტიკული გააზრებითა და მრავალმხრივი/კომპლექსური ხედვის საფუძველზე აფასებს პრობლემებს და შეიმუშავებს მათი მოგვარების გზებს.
- მოიძიებს და იდენტიფიცირებას ახდენს იმ ინფორმაციის (ქართულ ან უცხო ენებზე), ნორამტიული საფუძვლების, ეროვნული ან საერთაშორისო წყაროების და სასამართლო გადაწყვეტილებების, რომელთა გამოყენება კონკრეტული იურიდიული კონფლიქტური შემთხვევების ან/და სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მიზნით არსებითად მნიშვნელოვანი და მომგებიანია, სწავლობს და აანალიზებს იურიდიულ დოკუმენტაციას, გეგმავს კონფლიქტების/დავების გადაწყვეტის პროცესს (სასამართლო და არასასამართლო), ამზადებს სამართლებრივ/საპროცესო დოკუმენტებს და პრაქტიკული ბუნების პროექტებს, შეიმუშვებს დასაბუთებულ პოზიციებს და საბოლოოდ ეთიკური ნორმების დაცვითა და

წინასწარ შემუშავებული სტრატეგიით ახორციელებს პროფესიულ/იურიდიულ/საკონსულტაციო მოქმედებებს.

- არგუმენტირებულად და გამართული იურიდიული ენით მსჯელობს და უზიარებს მოსაზრებებს, ხედვებს, რეკომენდაციებს შესაბამის აუდიტორიას კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის (ზეპირი, წერილობითი) და საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შეუძლია საკუთარი აზრის სისწორეში სხვათა დარწმუნება და გატანა, ამავდროულად უსმენს სხვათა არგუმენტებს და შეუძლია გუნდური მუშაობის პრინციპით ჩაერთოს საერთო ხედვის ჩამოაყალიბებაში, ნებისმიერ პირთა კომუნიკაციასა და საქმიანობის ფორმატში იყენებს ქცევის კულტურას, რომელიც ვითარების შესაბამისია და ეთიკის ნორმების ფარგლებშია.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ავლენს თვითგანვითარების, ცოდნის განახლების, სამართლებრივი/საკანონმდებლო სიახლეების მიდევნების უნარს, დამოუკიდებლად, ამავდროულად, სხვებთან თანამშრომლობით წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
- ცნობს, აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებების უზენაესობას, სამართალწარმოებისა და პროცედურული სამართლისნობის პრინციპებს, პროფესიული საქმიანობის ეთიკური ღირებულებებით განხორციელების მნიშვნელობას.

დასაქმების სფეროები: სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან/და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- კორპორაციულ სტრუქტურებში;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

6.4. PR (პიარისა) და კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა

PR (პიარისა) და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა *www.csm.ge*	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (07)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის ზოგადი კონტექსტი

საზოგადოებასთან ურთიერთობები (პიარი) XXI საუკუნეში დღითიდღე უფრო მეტ დატვირთავს იძენს. კომუნიკაციის ამ მიმართულებასთან ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ყოველდღიური შეხება აქვთ მოქალაქეებს. მასზე დიდწილად არის დამოკიდებული სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიების წარმატება, საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, ინსტიტუციური რეფორმების ამათუიმ აქცენტით აღქმა.

შესაბამისად, კომუნიკაცია, კონკრეტულად კი საზოგადოებასთან ურთიერთობები დღეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო მიმართულებაა. ამ სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლები, პროფესიის წინაშე არსებული გამოწვევების სრულფასოვანი ცოდნით, ერთი მხრივ, სჭირდება ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვირდების პროცესს, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სფეროში მოთამაშე აქტორებს, დაწყებული დიდი პოლიტიკითა და გიგანტური ბიზნეს კონგლომერატებით, დასრულებული მცირე ბიზნესით, არასამთავრობო სექტორითა თუ სამოქალაქო აქტივიზმით.

კავკასიის მედიის სკოლის PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის პროგრამა მოამზადებს კომუნიკაციის სფეროს ფართო პროფილის მქონე სპეციალიტს, რომელსაც ექნება კარგი ზოგადი განათლება, სოციალური მეცნიერებების კონკრეტული მიმართულებების ცოდნა, სიღრმისეული კომპეტენცია კომუნიკაციის სფეროში და მაღალი დონის პრაქტიკული უნარები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით, ასევე, მის მომიჯნავე სფეროებში. წარმოდგენილი პროგრამის აქცენტები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს არა მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში, არამედ მარკეტინგული კომუნიკაციის მიმართულებით, სარეკლამო თუ მედია ინდუსტრიებში და ა.შ.

პროგრამას აქვს შემდეგი მიზნები:

მიზანი N1: კურსდამთავრებულს ჰქონდეს იმ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არსის ცოდნა, რაც ზოგადად, მოქალაქეს და კონკრეტულად, მასობრივი კომუნიკაციების სფეროს სპეციალისტს აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში; კომუნიკაციების სფეროს გავლენების, მისი სხვადასხვა კონტექსტისა და ამ კონტექსტში საკუთარი, როგორც პროფესიონალი წარმომადგენლის, როლის ცოდნა;

მიზანი N2: კურსდამთავრებულს ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება, იცოდეს სოციალური მეცნიერებების საფუძვლები; განსაკუთრებით სიღმისეულად ერკვეოდეს ფსიქოლოგიის კონკრეტულ მიმართულებებში; ჰქონდეს ცოდნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდის შესახებ და შეეძლოს როგორც კვლევების წარმოება, ასევე, შედეგების ანალიზი;

მიზანი N3: კურსდამთავრებულს შეეძლოს ქართულ და ინგლისურ ენებზე მსჯელობა, მოსაზრებების ჩამოყალიბება, მოსმენა, ანალიზი; ორივე ენაზე ჰქონდეს დისკუსიისა და პრეზენტაციის უნარები, განსაკუთრებული აქცენტით პროფესიულ თემებზე; ჰქონდეს ვიზუალური კომუნიკაციის უნარები, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად;

მიზანი N4: კურსდამთავრებულს შეეძლოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო მაღალი პროფესიული სტანდარტითა და პროფესიული ეთიკის დაცვით მუშაობა, როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე. კერძო და საერთაშორისო/არასამთავრობო სექტორებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით; ასევე, მუშაობა შეეძლოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს მომიჯნავე სექტორებში, მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით;

მიზანი N5: კურსდამთავრებულს ჰქონდეს სრულყოფილი ცოდნა სტრატეგიული კომუნიკაციის შემადგენელი კომპონენტების შესახებ და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

მიზანი N6: კურსდამთავრებულს ჰქონდეს მედიის, მისი სხვადასხვა კონტექსტისა და ფორმატის, ახალი მედია პლატფორმების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი; ესმოდეს მედიის, როგორც მედიატორის როლი სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესში და შეეძლოს მასთან მუშაობა: მედიის დაინტერესება, მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: PR-ისა და კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

შედეგი 1: ექნება დემოკრატიულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სამოქალაქო და სოციალური მნიშვნელობის ცოდნა; გაცნობიერებული ექნება ის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რაც ამ პროფესიული ჯგუფის წევრობას თან ახლავს. ასევე, ზოგადად, გააზრებული ექნება საკუთარი მოქალაქეობრივი როლი, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები;

შედეგი 2: კარგი ზოგადი განათლების გარდა, ექნება სოციალური მეცნიერებების საფუძვლებისა და ფსიქოლოგიის კონკრეტული მიმართულებების სიღმისეული ცოდნა; ექნება ცოდნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდის შესახებ და შეეძლება კვლევების წარმოება, მისი შედეგების ანალიზი;

შედეგი 3: ექნება ზოგად და პროფესიულ საკითხებზე არგუმენტირებულად მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენის, დისკუსიის, ანალიზის უნარები; ვერბალური და წერილობითი პრეზენტაციის უნარები, ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასევე, ვიზუალური კომუნიკაციის უნარები: ფოტო და ვიდეოგადაღების, მასალების დამუშავებისა და საჭირო პლატფორმებზე განთავსების უნარები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

შედეგი 4: მიიღებს ღრმა და საფუძვლიან ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობების, როგორც დარგის შესახებ, ასევე, მასთან დაკავშირებული და მომიჯნავე სპეციალობების: მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით; ექნება ცოდნა სფეროსთან დაკავშირებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესახებ;

შედეგი 5: კონკრეტული მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით ექნება საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში მუშაობის უნარები სახელმწიფო უწყებებში, კერძო და საერთაშორისო/არასამთავრობო სექტორებში; ასევე, მომიჯნავე - მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით. ექნება პოზიციაზე ადეკვატურად და ოპერატიულად მოქმედების, მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ გარემოში სწრაფი ადაპტაციის უნარი, სფეროში დაგეგმილი პროექტების ადმინისტრირების უნართან ერთობლიობაში;

შედეგი 6: გამოიმუშავებს სტრატეგიული კომუნიკაციის მთელი ციკლის დაგეგმვისა და წარმართვის უნარებს. კონკრეტულად, ექნება სამიზნე აუდიტორიის/ების განსაზღვრის, მათი თავისებურებების შესწავლის და პროცესში გათვალისწინების, სრულყოფილი საკომუნიკაციო გეგმის გაწერის, მართვის/განხორციელებისა და შედეგების შეფასების უნარი;

შედეგი 7: ექნება მედიის, როგორც სისტემის ცოდნა; მედიასაშუალებებთან, მის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის პრაქტიკული უნარები; ამ მიმართულებით საჭირო დოკუმენტური და ვიზუალური მასალების შექმნისა და სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ახალი მედიის პლატფორმებით გავრცელების უნარები;

შედეგი 8: შეძლებს დამოუკიდებლად წარმართოს ცოდნის მიღების პროცესი, მოახდინოს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზირება; შეძლებს მოახდინოს დასავლური პროფესიული გამოცდილების ქართულ რეალობასთან ადაპტირება.

დასაქმების სფეროები: PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება საზოგადოებასთან ურთიერთოებებისა და კომუნიკაციების განყოფილებებში დასაქმება:

- საჯარო დაწესებულებებში;
- კერძო კომპანიებში;
- ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.
- დამოუკიდებელი სტუდიებში, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოები, მედიის კვლევითი ცენტრები/პროექტებში;

6.5. ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა www.csm.ge	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში (0703)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის ზოგადი კონტექსტი

მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში:

- ის მოქალაქეებს აწვდის იმ ზუსტ და სანდო ინფორმაციას, რაც მათ გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველდღიურად სჭირდებათ;
- ის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამოსავლენად და პრევენციისათვის, ეწევა ძალაუფლების მქონეთა უწყვეტ მონიტორინგს;
- ის მოქალაქეებს მარტივად და ნათლად განუმარტავს იმ ფუნდამენტური ცვლილებებისა და რთული პროცესების არსს, რაც თან სდევს პოლიტიკური სისტემის სრულყოფისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს, ეკონომიკურ რეფორმებს, ინსტიტუციურ მშენებლობას, საგარეო პოლიტიკაში ახალი ვექტორების გაჩენას;
- ის მოქალაქეებს მრავალფეროვნად აწვდის მოსაზრებებს, რთავს მათ საზოგადოებრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ დებატებში.

იმისათვის, რომ თანამედროვე გამოწვევებისთვის იყოს საკმარისად მოქნილი და გაუმკლავდეს ბაზრის მოთხოვნებს, წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება, სფეროს მრავალმხრივი ცოდნა და უნარები. მან მუშაობა უნდა შეძლოს ნებისმიერი ფორმატის მედიაში და მასობრივი კომუნიკაციების სფეროს მომიჯნავე სექტორებშიც. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ეუფლება როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლებს, ასევე, სოციალური მეცნიერებების, მედიის კვლევების, ამ კვლევების შედეგების ანალიზისადა პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო ცოდნასაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე პროგრამას აქვს შემდეგი მიზნები:

მიზანი N1: კურსდამთავრებულს ჰქონდეს:

- დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტური ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არსის ცოდნა;
- მედიის გავლენების, მისი სხვადასხვა კონტექსტისა და ამ კონტექსტში საკუთარი, როგორც მედიის პროფესიონალი წარმომადგენლის, როლის ცოდნა;

მიზანი N2: კურსდამთავრებულს ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება, სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნა; მსჯელობის, ანალიზისა და მოსაზრებების ჩამოყალიბების; მოსმენის, დისკუსიის, პრეზენტაციის; ქართულ და ინგლისურ ენებზე მაღალი სტანდარტის კომუნიკაციის უნარები.

მიზანი N3: კურსდამთავრებულმა შეძლოს მუშაობა მაღალი პროფესიული სტანდარტითა და პროფესიული ეთიკის დაცვით;

მიზანი N4: კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა ტიპისა და ფორმატის მედიასაშუალებებისთვის მუშაობა; გარემოსთან სწრაფი ადაპტაცია; ჰქონდეს კომპლექსური ცოდნა და უნარები სამაუწყებლო, ონლაინ, ბეჭდურმედიაში - ფოტო, აუდიო და ვიდეოფორმატებში სამუშაოდ;

მიზანი N5: კურსდამთავრებულმა შეძლოს მედიის მომიჯნავე სფეროებში (საზოგადოებასთან ურთიერთობები, მარკეტინგული კომუნიკაციები) და მედიის კვლევით პროექტებზე მუშაობა.

სწავლის შედეგები: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

შედეგი N1: დემოკრატიულ საზოგადოებაში ჟურნალისტის პროფესიის სამოქალაქო და სოციალური მნიშვნელობის ცოდნა; იმ ვალდებულებების გაცნობიერება, რაც ამ პროფესიული ჯგუფის წევრობას თან ახლავს. ზოგადად, მოქალაქეობრივი პოზიციონირების გააზრება;

შედეგი N2: მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა არხის გავლენების ცოდნა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში; ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მნიშვნელობის გაცნობიერება თანამედროვე, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დანერგვაში;

შედეგი N3: ეპოქების, ისტორიული კონტექსტების, ფილოსოფიური ნააზრევების, ლიტერატურული და პუბლიცისტური ნაწარმოებების ანალიზის შედეგად ცოდნის, ავტონომიურობის, არგუმენტირებულად მსჯელობის, მოსმენის, დისკუსიის უნარის გამომუშავება;

შედეგი N4: ჟურნალისტური სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და მათი დაცვით მუშაობის უნარის ფლობა;

შედეგი N5: შესაბამისი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის შეგროვების, გაანალიზების, ორგანიზების, სინთეზისა და აუდიტორიისათვის გადაცემის უნარის ფლობა, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ცალკეული ფორმისა და მიწოდების სისტემის შესატყვის ფორმატებში;

შედეგი N6: მაღალი პროფესიული სტანდარტითა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ახალ, კონკურენტულ და მულტიდისციპლინურ გარემოში სწრაფი ადაპტაციისა და მუშაობის უნარის ქონა, სფეროში დაგეგმილი პროექტების ადმინისტრირების უნართან ერთობლიობაში;

შედეგი N7: კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ასევე, მოცემულ ან ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და ამ დასკვნების ერთობლიობის/სინთეზის მიხედვით, აუდიტორიისთვის ანალიზის მიწოდების უნარის ფლობა, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ (და სხვა) ენაზე, აკადემიური სტანდარტების დაცვით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა თანამედროვე სტანდარტით;

შედეგი N8: სოციალური მეცნიერებების, საზოგადოებასთან ურთიერთობების, მარკეტინგული კომუნიკაციების საბაზისო თეორიული ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფლობა;

დასაქმების სფეროები: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფეროებია:

- ადგილობრივი და საერთაშორისო მედიაორგანიზაციები: ონლაინ, რადიო და ტელემაუწყებლები; ბეჭდური გამოცემები; ინტერნეტპორტალები;
- მედიისა და კომუნიკაციების სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები: დამოუკიდებელი სტუდიები, პიარ და მარკეტინგული კომპანიები, სარეკლამო სააგენტოები, მედიის კვლევითი ცენტრები/პროექტები.
- საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ტიპის კერძო კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთოებებისა და კომუნიკაციების განყოფილებები.

6.6. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი (0613)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ცოდნა, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება კომპიუტერულ მეცნიერებაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს კომპიუტერული მეცნიერების ძირითად კონცეფციებს. მათემატიკური და კომპიუტერული ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარი თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.
- აანალიზებს კომპლექსურ გამოთვლით პრობლემას და შესაბამისი გადაწყვეტისათვის არჩევს სათანადო ალგორითმებს.
- შეიმუშავებს, ავითარებს და ნერგავს კომპლექსურ პროგრამულ სისტემებს.
- პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში.
- პრაქტიკაში იყენებს პროგრამირების, კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს.

- იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას, ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
- აფასებს და სხვებს უზიარებს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: საინფორმაციო სისტემის მენეჯერი, პროგრამული სისტემის დეველოპერი, ვებ დეველოპერი, პროგრამისტი, საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი, ორგანიზაციის საინფორმაციო უსაფრთხოების მენეჯერი, ორგანიზაციის სისტემური ადმინისტრატორი, ორგანიზაციის ოპერაციათა მმართველი, ტექნიკური რედაქტორი, მონაცემთა ბაზების მმართველი და მრავალი სხვა.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სხვა. საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს–კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, სოფთვეარული კომპანიები, ვებ დეველოპერული კომპანიები, სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციები და სხვა.

6.7. კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა *www.cst.ge*	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი (0613)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ცოდნა, რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება კომპიუტერულ მეცნიერებაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს კომპიუტერული მეცნიერების ძირითად კონცეფციებს. მათემატიკური და კომპიუტერული ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარი თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.
- აანალიზებს კომპლექსურ გამოთვლით პრობლემას და შესაბამისი გადაწყვეტისათვის არჩევს სათანადო ალგორითმებს.
- შეიმუშავებს, ავითარებს და ნერგავს კომპლექსურ პროგრამულ სისტემებს.
- პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში.
- პრაქტიკაში იყენებს პროგრამირების, კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს.

- იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას, ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
- აფასებს და სხვებს უზიარებს კომპიუტერულ მეცნიერებასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: საინფორმაციო სისტემის მენეჯერი, პროგრამული სისტემის დეველოპერი, ვებ დეველოპერი, პროგრამისტი, საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი, ორგანიზაციის საინფორმაციო უსაფრთხოების მენეჯერი, ორგანიზაციის სისტემური ადმინისტრატორი, ორგანიზაციის ოპერაციათა მმართველი, ტექნიკური რედაქტორი, მონაცემთა ბაზების მმართველი და მრავალი სხვა.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სხვა. საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს–კომპანიები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, სოფთვეარული კომპანიები, ვებ დეველოპერული კომპანიები, სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციები და სხვა.

6.8. ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

www.cst.ge

პაატა საკავაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი (0714)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს ელექტრონიკისა და ავტომატიზაციის სფეროს ფართო ცოდნა, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

- სტუდენტმა მიიღოს მათემატიკის, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ცოდნა, რაც მას ელექტრონული და კომპიუტერული სისტემებისა და მოწყობილობების დაგეგმვის, პროექტირებისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ელექტრონიკისა და ავტომარიზაციის სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს კომპეტენციებს:

1. აღწერს ელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის ძირითად კონცეფციებს. მათემატიკის, ფიზიკის და ინჟინერიის ფართო თეორიული ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ ასპექტებს.
2. აღწერს კომპიუტერული სისტემის და ქსელის მუშაობისა და უსაფრთხოების პრინციპებს.
3. კომპლექსური საინჟინრო ამოცანების გადასაჭრელად ახდენს ელექტრო-ტექნიკური სისტემისა და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებას, შერჩევას და გამოყენებას.
4. ეფექტურად იყენებს ელექტრონული და კომპიუტერული სისტემების მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს.
5. ახორციელებს მიკროპორცესორების, მიკროკონტროლერების და სასიგნალო პროცესორების დაპროგრამებას. პრაქტიკაში იყენებს პროგრამირების უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს.

6. არჩევს საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების არეალებს და აფასებს საკომუნიკაციო სისტემის გამოყენების შესაძლებლობებს. საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით იყენებს სტანდარტულ და თანამედროვე საშუალებებს და მეთოდებს.
7. აფასებს განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას, ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
8. აფასებს და სხვებს უზიარებს ელექტრონულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ სხვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას ელექტროტექნიკის წარმოების სფეროში, ინტერნეტ-პროვაიდერულ და საკომუნკაციო კომპანიებში, ორგანიზაციაში, რომელშიც გამოიყენება თანამედროვე ელექტრონულ მოდულებზე აგებული მართვის სისტემები, აგრეთვე ყველა იმ კომპანიაში, რომლის საქმიანობის სფოროც არის სატელეკომუნიკაციო, ელექტროსაინჟინრო და კომპიუტერული ტექნოლოგიები.

6.9. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

www.csa.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი (0731)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:პროგრამის მიზნებია:

1. მისცეს სტუდენტს ფართო, თეორიულ არქიტექტურაზე ორიენტირებული ცოდნა, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს არქიტექტურულ პროექტირებაში.
2. სტუდენტმა მიიღოს კვლევაზე დაფუძნებული მრავალმხრივი (სინთეზური) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მან სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს არქიტექტურული მიმართულებების ერთიანობაში მოქცევა.
3. სტუდენტმა მიღებული ცოდნისა და არქიტექტურული ფასეულობების გამოყენებით, ისტორიულ და ურბანულ გარემოში შეძლოს პროექტირება მდგრადი არქიტექტურის პრინციპების, უსაფრთხოებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს არქიტექტურის ისტორიის თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საკითხებს;
2. იზიარებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმთშენებლობით არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
3. აღწერს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების შემუშავებისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ ასპექტს;
4. პროექტირებისას ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს;
5. გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ

რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას;

6. წარმოსახვითი და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
7. საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
8. პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
9. არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ მეთოდებს;
10. არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში ამყარებს კომუნიკაციას;
11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;
12. ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებას არქიტექტურაზე, ეთიკური საკითხების, მდგრადი არქიტექტურის და შრომითი უსაფრთხოების მნიშვნელობას არქიტექტურაში.

დასაქმების სფეროები:

მიღებული აკადემიური ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, თუ სხვა.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო და კერძო არქიტექტურული სახელოსნოები, სამშენებლო კომპანიები, სახელმწიფო სტრუქტურაები(მერია და ა.შ), ადგილობრივი თვითმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები:

- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები და სხვა.

6.10. არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	CSA www.csa.ge
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი (0731)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზნებია:

1. მისცეს სტუდენტს ფართო, თეორიულ არქიტექტურაზე ორიენტირებული ცოდნა, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს არქიტექტურულ პროექტირებაში.
2. სტუდენტმა მიიღოს კვლევაზე დაფუძნებული მრავალმხრივი (სინთეზური) თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა მან სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით მოახდინოს არქიტექტურული მიმართულებების ერთიანობაში მოქცევა.
3. სტუდენტმა მიღებული ცოდნისა და არქიტექტურული ფასეულობების გამოყენებით, ისტორიულ და ურბანულ გარემოში შეძლოს პროექტირება მდგრადი არქიტექტურის პრინციპების, უსაფრთხოებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

1. აღწერს არქიტექტურის ისტორიის თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საკითხებს;
2. იზიარებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმთშენებლობით არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს;
3. აღწერს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების შემუშავებისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ ასპექტს;
4. პროექტირებისას ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების სისტემებთან დაკავშირებულ სტრუქტურებს, მასალებს, კონსტრუქციებს სამშენებლო პროცესებს, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხებს;
5. გარემოს დაგეგმარების, შენობა-ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ

რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიულ ეთიკას, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას;

6. წარმოსახვითი და შემოქმედებითი მიდგომით, სამგანზომილებიანი, სივრცითი აზროვნებით აყალიბებს საპროექტო კონცეფციას და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ფუნქციური, ტექნიკური, ესთეტიკური და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების გათვალისწინებით, ქმნის არქიტექტურულ პროექტს;
7. საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს;
8. პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
9. არქიტექტურული პროექტის შემუშავების, წარდგენისა და განხილვისას იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ მეთოდებს;
10. არქიტექტურული დაპროექტების პროცესში, პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით, მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში და ამ პროცესში ამყარებს კომუნიკაციას;
11. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;
12. ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების ზემოქმედებას არქიტექტურაზე, ეთიკური საკითხების, მდგრადი არქიტექტურის და შრომითი უსაფრთხოების მნიშვნელობას არქიტექტურაში.

დასაქმების სფეროები:

მიღებული აკადემიური ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში, იქნება ეს სამთავრობო სტრუქტურა, კერძო ბიზნეს კომპანია, თუ სხვა.

საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სახელმწიფო და კერძო არქიტექტურული სახელოსნოები, სამშენებლო კომპანიები, სახელმწიფო სტრუქტურაები(მერია და ა.შ), ადგილობრივი თვითმართველობის (სანებართვო, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი) ორგანოები:

- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;
- ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურები და ფონდები;
- არქიტექტურულ-სამშენებლო და დეველოპერული კომპანიები;
- აზომვითი სამუშაოების მწარმოებელი ფირმები და სხვა.

6.11. გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა

გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამა	CSA www.csa.ge
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში (0211)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 3 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზნებია:

- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, მიიღოს სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების ფართო ცოდნა, რაც თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.
- სტუდენტმა მიიღოს გრაფიკული დიზაინის, ხელოვნების და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებასთან დაკავშირებული, ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება გრაფიკულ დიზანიში, რაც შესაძლებლობას მისცემს მას პროფესიულად განვითარდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში.
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ხელოვნებისა და გრაფიკული დიზაინის სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

- აღწერს ციფრული ხელოვნების და გრაფიკული დიზაინის ძირითად კონცეფციებს. გრაფიკული დიზაინის პრინციპების ცოდნის საფუძველზე ხსნის სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, სფეროსთვის დამახასიათებელ მთავარ თავისებურებებსა და თანამედროვე ტენდენციებს.
- აანალიზებს გარფიკული დიზაინის კანონზომიერებებს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენებით ქმნის ტექნიკური დავალების შესაბამის პოსტერებს, ბანერებს და სხვა საინფორმაციო პროდუქციის დიზაინს, და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადააქვს ის საბოლოო პროდუქტზე.
- გრაფიკული დიზაინის არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავებს და ანვითარებს ახალ ციფრულ პროდუქტებს ვებისთვის, აპლიკაციებისათვის და პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის ვიზუალის შემადგენელ გრაფიკულ კომპონენტებს.

- პროგრამის დისციპლინებთან დაკავშირებული საქმიანობისას, ეფექტურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში.
- პრაქტიკაში იყენებს გრაფიკული პროგრამების და მათი შესაბამისი კომპიუტერული სისტემების მუშაობის პრინციპებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ საშუალებებს, მათ შორის სამგანზომილებიან და აუგმენტურ რეალობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს.
- იაზრებს სწავლის პროცესის შეფასების, პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი, მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ახალი ცოდნის მიღების აუცილებლობის მნიშვნელობას და აკავშირებს შემოქმედებითი ეკონომიკის ფრილანსინგის შესაძლებლობებთან, როგორც მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების რეალიზების საშუალებასთან.
- აფასებს და სხვებს უზიარებს გრაფიკულ დიზაინთან დაკავშირებულ ღირებულებებს, შემოქმედებით ხედვას, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულებმა შესაძლებელია იმუშაონ ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა: გრაფიკული დიზაინერი, ვებ-დიზაინერი, მოუშენ გრაფიკოსი, ილუსტრაციის და ანიმაციის სპეციალისტები, და სხვა მომიჯნავე პოზიციები.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში: სარეკლამო სააგენტო, ტელევიზია, სტამბა, პრინტ ოფისი, ვებ-სტუდია, კერძო ბიზნესი, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაცია თუ სხვა.. ასევე აღსანიშნავია რომ საქართველოს შრომის ბაზარზე პოტენციური დამსაქმებლები შეიძლება იყვნენ როგორც უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, ისე სხვა დაინტერესებული მსხვილი თუ მცირე ბიზნეს ორგანიზაციები, ბანკები, სახელმწიფო სტრუქტურები, საგანმანათლებლო ინსტიტუციები, ვებ-დეველოპერები და სხვა.

6.12. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

www.csg.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0312)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც:

- ✓ აღწერს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პრინციპებს თეორიებს, პროცესებს და პრაქტიკას.
- ✓ აანალიზებს სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების როლსა და ადგილს საერთაშორისო პოლიტიკაში, იდენტიფიცირებას უკეთებს მათ პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს და ურთიერთობების სპეციფიკას საერთაშორისო ურთიერთობებსა და მომიჯნავე დისციპლინებზე დაყრდნობით.
- ✓ იყენებს დარგისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს და ახდენს პროფესიული ცოდნის წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე.
- ✓ განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან და განვითარების გეგმასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

ს. შ. 1: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს.

ს. შ. 2: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს.

ს. შ. 3: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულ სახელმწიფო, არასახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და ტრანსნაციონალურ აქტორებს, მათ ბუნებასა და დღისწესრიგს.
ს. შ. 4: მსჯელობს საერთაშორისო ურთიერთობებში პროცესებსა და სამთავრობო და არასამთავრობო აქტორთა ქცევებზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში.

უნარი

ს. შ. 5: კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით, პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას, და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა.
ს. შ. 6: ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით, მათ შორის უცხოენაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ს. შ. 7: გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო საკმარის თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ სამსახურში.

6.13. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

www.csg.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0312)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც:

- ✓ აღწერს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პრინციპებს, თეორიებს, პროცესებს და პრაქტიკას.
- ✓ აანალიზებს სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების როლსა და ადგილს საერთაშორისო პოლიტიკაში, იდენტიფიცირებას უკეთებს მათ პოლიტიკურ დღისწესრიგს, ინტერესებს და ურთიერთობების სპეციფიკას საერთაშორისო ურთიერთობებსა და მომიჯნავე დისციპლინებზე დაყრდნობით.
- ✓ იყენებს დარგისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს და ახდენს პროფესიული ცოდნის წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, მათ შორის, უცხო ენაზე.
- ✓ განსაზღვრავს შესაბამის ნაბიჯებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან და განვითარების გეგმასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

ს. შ. 1: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს.

ს. შ. 2: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს.

ს. შ. 3: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულ სახელმწიფო, არასახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და ტრანსნაციონალურ აქტორებს, მათ ბუნებასა და დღისწესრიგს.
ს. შ. 4: მსჯელობს საერთაშორისო ურთიერთობებში პროცესებსა და სამთავრობო და არასამთავრობო აქტორთა ქცევებზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში.

უნარი

ს. შ. 5: კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით, პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას, და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა.
ს. შ. 6: ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით, მათ შორის უცხო ენაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ს. შ. 7: გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო საკმარის თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

დასაქმების სფეროები: დასაქმდეს საჯარო დაწესებულებებში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო მთავრობათშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ სამსახურში.

6.14. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

www.csg.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი (1109)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი ცოდნითა და ღირებულებებით აღჭურვილი სახელმწიფო მართვის სპეციალისტები, რომლებსაც საფუძვლიანად ესმით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა; შეუძლიათ იმუშაო საჯარო ან კერძო სფეროში ორგანიზაციული მართვის და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით; გააზრებული აქვთ სამართლისა და კანონმდებლობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფო მოწყობის და მართვის პროცესში; შესწევთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი და კრიტიკულად იაზრებენ საჯარო ორგანიზაციებისა და პოლიტიკის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქვთ ცოდნა და პრაქტიკული უნარი მონაწილეობა მიიღონ, დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო სექტორის, პოლიტიკური სისტემის, საჯარო ინსტიტუტების აღმშენებლობაში.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება".

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიურ გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები:

ცოდნა:

1. აქვს საჯარო მმართველობის, პოლიტიკის ანალიზის, მენეჯმენტისა და ორგანიზაციული მართვის ფუნდამენტური კონცეფციებისა და თეორიების საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება;
2. საჯარო მმართველობაში პროცესებს, აქტორებს და ქცევებს აანალიზებს პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის ევოლუციის ჭრილში;
3. შეუძლია საჯარო მმართველობაში ჩართული აქტორებისა და პროცესების ინტერდისციპლინური გააზრება მომიჯნავე დისციპლინების ცოდნის საფუძველზე.

უნარები:

4. აანალიზებს და პრაქტიკულ საქმიანობას მიუსადაგებს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროცესებს, პრობლემატიკასა და ინსტრუმენტებს;
5. შესწევს უნარი ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდების გამოყენებით, გააანალიზოს საჯარო მმართველობასა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნა;
6. გააჩნია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, მათ შორის უცხოურ ენაზე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. გააჩნია დარგის ფარგლებში ლიდერული პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო ეთიკური ნორმების აღქმა და შესაბამისი კომპეტენციები;
8. ხელმძღვანელობს ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიული ღირებულებებით, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს ხელისუფლების სამივე შტოში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის სხვადასხვა პროცესის/სფეროს მართვის მიმართულებით.

6.15. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა *www.csh.ge*	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი (1104)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება ევროპისმცოდნეობაში, რომლებსაც ექნებათ ფართო თეორიული ცოდნა ევროპისმცოდნეობის ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს ევროპისმცოდნეობის საკვანძო საკითხების შესწავლას ისტორიულ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან სინთეზში, რაც სტუდენტებს საკუთარი თუ უცხო ქვეყნების სპეციფიკის ხედვისა და ანალიზის უნარს გამოუმუშავებს. ასევე, პროგრამით დღევანდელ დღეს აუცილებელი უცხო ენების ცოდნა შეთავსებულია ევროპის კომპლექსურ შესწავლასთან.

ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; სტუდენტთა მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

შედეგი 1. განსაზღვრავს და აღწერს სპეციალიზაციის რეგიონის - ევროპისათვის დამახასიათებელ კომპლექსურ საკითხებს. ევროპისმცოდნეობის ძირითად საკითხებს განიხილავს ისტორიულ და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრირებულად.

- ასახელებს და განმარტავს ევროპის განვითარების თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ განსხვავებულ კონცეფციებს;

- კომპლექსურად მიმოიხილავს და ხსნის ევროპას გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთნიკურ-რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
- განასხვავებს და განმარტავს ევროპის განვითარების ძირითად ტენდენციებსა და კანონზომიერებებს;
- გამოკვეთს თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ ლოკალურ და გლობალურ გამოწვევებს და განაზოგადებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტში, აკავშირებს მასთან საქართველოს ევროპული განვითარების პერსპექტივებს.

შედეგი 2. გამოარჩევს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ძირითად მეთოდებს, გეგმავს და ამზადებს კონკრეტულ პროექტებს.

- გეგმავს ხელმძღვანელთან და ექსპერტთან კონსულტაციას და ამზადებს პროექტს;
- დასახული პრობლემების გადასაწყვეტად და გასაანალიზებლად ირჩევს და იყენებს სფეროსათვის რელევანტურ კვლევის მეთოდებს.
- აჩვენებს მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობის შესაძლებლობას.

შედეგი 3. ბეჭდურ და ელექტრონულ წყაროებში დამოუკიდებლად მოიძიებს, აგროვებს და აანალიზებს პროფესიულ ინფორმაციას, ამუშავებს და აკეთებს დასაბუთებულ დასკვნებს.

- აგროვებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვაენოვან მასალას, ახდენს მის კლასიფიკაციასა და ანალიზს;
- ახდენს მიღებული შედეგების დიფერენცირებას და შეფასებას;
- საკვლევ საკითხზე აყალიბებს სწორ დასკვნებს და ახდენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების დემონსტრირებას

შედეგი 4. ამზადებს ანგარიშებს სპეციალიზაციის რეგიონის - ევროპის შესახებ არსებულ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე და ახდენს მათ დემონსტრირებას როგორც წერილობით, ისე ზეპირად ქართულ და უცხოურ ენებზე, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად.

- წარადგენს საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტაციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან, როგორც წერითი სახით, ასევე ზეპირი პრეზენტაციის საშუალებით;
- პრაქტიკაში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მასალის დამუშავების, შენახვისა თუ ჯგუფებთან და ინდივიდებთან მისი დემონსტრირების მიზნით;
- გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს სხვადასვა შეხვედრაში, დისკუსიასა და დებატში მონაწილეობას და აფასებს მის მნიშვნელობას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

შედეგი 5: ამჟღვანებს შემოქმედებით და ინიცირების მიდგომას მიღებულ დავალების მიმართ, იღებს პერსონალურ პასუხისმგებლობას საკუთარ საქმიანობასა და მის შედეგებზე.

- აწესრიგებს საჭირო ჩანაწერებისა და ჩანიშვნების ორგანიზებას სწავლის პროცესის წარმართვისა და დაგეგმვის მიზნით;
- აორგანიზებს დროისა და სასწავლო რესურსების ეფექტიან მართვასა და გამოყენებას;
- აფასებს საკუთარ საქმიანობას, ამზადებს მასზე რეფლექსიას და არჩევს მასზე რეაგირების ადეკვატურ ფორმას.

შედეგი 6: იზიარებს და მოქმედებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ღირებულებებით.

- საუთარ საქმიანობას აორგანიზებს ევროპის ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, ნაციონალური და კულტურული განვითარების კონტექსტში საკუთარი და სხვა ქვეყნების მმართველობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემეცნებისა და პატივისცემის საფუძველზე;

იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, საკუთარ მოსაზრებებს განიხილავს სხვათა აზრისა და შეხედულებების გათვალისწინება-გაზიარებით, მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპით.

დასაქმების სფეროები: ევროპისმცოდნე სპეციალისტების პროფესიული უნარების გამოყენების სპექტრი ფართოა. მოცემული კვალიფიკაცია ითვალისწინებს მუშაობას ისეთ ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან. კურსდამთავრებულს შეუძლია შეასრულოს მთარგმნელის, კონსულტანტის, რეფერენტის, დიპლომატის, მეცნიერ-თანამშრომლის, ასევე ექსპერტის ფუნქცია საჯარო უწყებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, წარმომადგენლობებსა და კულტურულ ცენტრებში საზღვარგარეთ, უცხოურ და ადგილობრივ კომერციულ კომპანიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ერთობლივ საწარმოებში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

6.16. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის ბაკალავრი (0222)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: **მიზანი 1.** მოამზადოს ისტორიის სპეციალისტები, რომლებიც ეზიარებიან დარგის თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო მიღწევებს პოლიტიკის, კულტურის, რელიგიისა და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მიმართულებით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მასშტაბით (კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, რუსეთი, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები).

მიზანი 2. ათვისებული კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებითა და აკადემიური ეთიკის საფუძველზე დაწეროს თანამედროვე სტანდარტების ნაშრომები; გაუადვილდეს წარსულის გამოცდილებების საფუძველზე აწმყოში შესაბამისი ორიენტირება და თანამედროვეობის შეცნობა სათანადო დამხმარე დისციპლინების გამოყენებით.

მიზანი 3. განუვითარდეს ისტორიული წყაროების მოძიების და ანალიზის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის უნარები, პროფესიული პასუხისმგებლობა და აკადემიური კეთილსინდისიერების გრძნობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები: ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

ცოდნა და გაცნობიერება

შედეგი 1. აღწერს ძირითად თეორიებს, პრინციპებს და მიდგომებს ისტორიული კვლევის სფეროში; წარსულის ისტორიული სურათის აღდგენისას განსაზღვრავს და იყენებს ისტორიის დამხმარე დისციპლინებს.

ინდიკატორები:

- მსჯელობს, განარჩევს, განიხილავს და განავრცობს ისტორიოგრაფიული კვლევისთვის საჭირო აუცილებელ ინსტრუმენტებს, ავლენს ტექსტის კვლევის აუცილებელ საბაზისო ცოდნას;
- აღწერს და განაზოგადებს ისტორიის მეცნიერების დამხმარე დისციპლინებს, მსჯელობს და წერილობით გადმოსცემს ძირითად სამეცნიერო საკითხებს და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს;
- განასხვავებს ისტორიის სფეროს არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ პერსპექტივებს;

- ავლენს ისტორიის ცალკეული მიმართულებების სისტემურ ცოდნას, კერძოდ, წყაროთმცოდნეობის (ნარატიული ზეპირი და წერილობით წყროები), პალეოგრაფიის, ნუმიზმატიკის, დიპლომატიკის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიებისა და ხელოვნების ისტორიის, მეცნიერების ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის, ქალთა ისტორიის, კონფლიქტების ისტორიის, რეგიონთმცოდნეობის, ცალკეული ქვეყნების ისტორიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და ტურისტული რესურსების ისტორიისა; აჯამებენ და იყენებენ აღნიშნული მიმართულების კვლევის შედეგებს.
- აღწერს ციფრული ჰუმანიტარიის კვლევის ინსტრუმენტებს;
- გამოკვეთს და ასახელებს თანამედროვე საისტორიო კვლევების ტენდენციებსა და თავისებურებს.

შედეგი 2. განსაზღვრავს და განმარტავს თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის და ქვეყნების (ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი, ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი) ისტორიული განვითარების ეტაპებსა და თავისებურებებს. ადარებს სხვადასხვა ქვეყნების, ეპოქების, ხალხების, კულტურებისა და საყოფაცხოვრებო წესების განვითარების ისტორიებს და საკუთარი ქვეყნის ისტორიას განიხილავს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.

ინდიკატორები:

- განიხილავს თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი რეგიონებისა და ქვეყნების ისტორიის განვითარების მთავარ ტენდენციებსა და თავისებურებს;
- მსჯელობს ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად სამეცნიერო საკითხებზე, განავრცობს და აჯამებს საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების ისტორიას და მათი განვითარების საკვანძო ეტაპებს;
- აღწერს და განაზოგადებს საქართველოს ისტორიის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან, როგორც ისტორიული წარსულის მიხედვით, ისე თანამედროვე კონტექსტში;
- აღწერს საქართველოს ისტორიისა და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს.

უნარი

შედეგი 3. არჩევს და იყენებს სხვადასხვა სახის ისტორიულ წყაროს, ახარისხებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან, რის შედეგადაც შეისწავლის და წარმოადგენს მაქსიმალურად სანდო და ობიექტურ ისტორიულ სურათს; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და წინასწარ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად წერს შესაბამის ნაშრომებს (რეფერატები, საბაკალავრო ნაშრომი).

ინდიკატორები:

- კითხულობს და აანალიზებს საისტორიო წყაროებს, ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტის შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს;
- იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- განასხვავებს ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს;
- ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზისას არგუმენტირებულად და კრიტიკულად აფასებს და აფიქსირებს საკუთარ თვალსაზრისს ისტორიული მონაცემების კვლევის აუცილებელი, საბაზისო ცოდნის საფუძველზე;

შედეგი 4. გამოკვეთს და აანალიზებს პრობლემას, აყალიბებს შესაბამის დასკვნას; გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს ზეპირი და წერილობითი ფორმით მონოლოგის სახით თუ დებატებში, ქართულ და უცხოურ ენებზე.

ინდიკატორები:

- გამოყოფს ისტორიოგრაფიული კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, ანალიტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს;
- ანალიზის საფუძველზე, გამოყოფს და გადაამუშავებს ამოცანების ან პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- არგუმენტირებულად იზიარებს ან არ იზიარებს საისტორიო კრიტიკას და იყენებს კვლევით მეთოდებს შესაბამისი დანიშნულებით;
- იყენებს კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სიღრმისეული ანალიზის სტრატეგიებს;
- ახდენს საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას.
- აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, დასაბუთებულ დასკვნებს;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

შედეგი 5. პატივს სცემს სხვადასხვა მსოფლმხედველობრივ და კულტურულ ღირებულებებს, იჩენს ტოლერანტურობას განსხვავებული მორალური ნორმებისა და წეს-ჩვეულებების მიმართ.

ინდიკატორები:

- შემწყნარებლობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს;
- პატივ სცემს განსხვავებულ კულტურათა ღირებულებებსა და წეს-ჩვეულებებს;
- განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს საისტორიო წყაროებში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

შედეგი 6. ისტორიის სფეროში კვლევისას ითვალისწინებს და ეყრდნობა აკადემიური ეთიკის კოდექსს.

ინდიკატორები:

- ქმნის აკადემიური სტანდარტის, შესაბამისი ფორმატის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არგუმენტირებულ ნაშრომს;
- განსაზღვრავს და იყენებს ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება;
- ითვალისწინებს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში;
  მსჯელობას წარმართავს აკადემიურ ჩარჩოებში, აზრს აყალიბებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

დასაქმების სფეროები: ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებია: სასწავლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოური კერძო სექტორი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, მედია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსულტაციო ცენტრები, მუზეუმები და არქივები.

შენიშვნა: ისტორიის ბაკალავრისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულება.

6.17. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში (1005)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება ინგლისურ ფილოლოგიაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემული საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გადასცეს ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, რაც მოიცავს ინგლისური ენის მაღალ, პროფესიულ დონეზე შესწავლას (C1), ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის კომპლექსურ შესწავლას, თარგმანის საფუძვლებისა და დარგობრივი ენის თავისებურებების ცოდნას (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში), ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის, ლინგვისტური ანალიზისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარის განვითარებას.

პროგრამის მიზნებია:

1. სტუდენტს გადასცეს ინგლისური ფილოლოგიის კომპეტენციისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეასწავლოს ინგლისური ენის სტრუქტურა, ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და კულტურა. შეასწავლოს ინგლისური ენა და განუვითაროს ერთიანი ევროპული ჩარჩოთი (CEFR) გათვალისწინებული ოთხივე კომპეტენცია (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი);

2. განუვითაროს ათვისებულ ცოდნაზე დაყრდნობით, კონკრეტულ პრობლემაზე ან საკითხზე პროფესიული მსჯელობის, მხატვრული ტექსტის ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი ინგლისური ლიტერატურის, ევროპის ლიტერატურისა და ბრიტანეთის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; <u>კონცენტრაციის მოდულის არჩევის</u> შემთხვევაში, გამოუმუშავოს ინგლისური ენიდან და ინგლისურ ენაზე სხვადასხვა დარგობრივი ტექსტის წერილობითი და ზეპირი სახით თარგმანის მაღალ დონეზე შესრულების უნარი; ასევე, განუვითაროს ინფორმაციის პროფესიულ ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების და ამ ინფორმაციის დამოუკიდებლად გაანალიზების უნარი; გამოუმუშავოს აუდიტორიასთან კონტაქტისა და კომუნიკაციის წარმართვის აუცილებელი უნარი;

3. განუვითაროს პროფესიული პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების გრძნობა, პროფესიული განვითარებისა და დროის ორგანიზების ჩვევა.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

ცოდნა

მიმოიხილავს და აღწერს ინგლისური ენის სტრუქტურას, ინგლისურ ლიტერატურას, ისტორიასა და კულტურას.

<u>ინდიკატორები</u>

- <u>აღწერს და მიმოიხილავს</u> ინგლისური ენის გრამატიკას (მორფოლოგია და სინტაქსი) და ფონეტიკას; ენის სტრუქტურას, ისტორიას; სტილისტიკისა და დარგობრივი ლექსიკისათვის დამახასიათებელ ზოგად თავისებურებებს;
- <u>აღწერს და მიმოიხილავს</u> ევროპისა და ანტიკური ლიტერატურის ზოგად საკითხებს; <u>აღწერს, განაზოგადებს და ინტერპრეტირებს</u> ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, მისი განვითარების ეტაპებს, ავტორებსა და მათ ნაწარმოებებს, ადრე შუა საუკუნეებიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით;
- <u>აღწერს და მიმოიხილავს</u> ინგლისის ისტორიასა და კულტურას;
- <u>ამჟღავნებს</u> ინგლისური ენის <u>ცოდნას</u> ევროპული სტანდარტის (CEFR) C1 დონის შესაბამისად;
- *<u>კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში,</u>* ინგლისური ენიდან და ინგლისურ ენაზე თარგმანის (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი თანმიმდევრული) ტექნიკის კომპლექსური ცოდნის საფუძველზე <u>განსაზღვრავს, გამოკვეთს და მიმოიხილავს</u> სხვადასხვა სპეციფიკის სათარგმნი ტექსტის თავისებურებას; <u>ამჟღავნებს</u> თეორიული მასალის <u>ცოდნას.</u>

უნარი

გამართულად საუბრობს და არგუმენტირებულად მსჯელობს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს; მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს მოსაზრებას; ლინგვისტურ და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას იყენებს ათვისებულ თეორიულ ცოდნას, ასევე, აანალიზებს ფილოლოგიურ საკითხებს ინგლისის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში იყენებს შესაბამის საინფორმაციო ტექნოლოგიებს; ასრულებს ბაკალავრიატის დონის შესაფერის კვლევას; თარგმნის ინგლისური ენიდან და ინგლისურ ენაზე სხვადასხვა დარგობრივი მახასიათებლის ტექსტს (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში).

<u>ინდიკატორები</u>

- გამართულად <u>მეტყველებს და წერს</u> ინგლისურ ენაზე; იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას; ენის თეორიის, სტრუქტურისა და ისტორიის ცოდნაზე დაყრდნობით, <u>არგუმენტირებულად</u> <u>მსჯელობს</u> კონკრეტულ და ზოგად ლინგვისტურ საკითხებზე; <u>იყენებს</u> (მეტყველება, წერა, საუბარი, მოსმენა) ინგლისურ ენას ევროპული სტანდარტის (CEFR) C1 დონის შესაბამისად.
- მხატვრულ ნაწარმოებს, პერსონაჟს, თემას ან ლიტერატურულ პრობლემას <u>აანალიზებს</u> და მათზე <u>მსჯელობს</u> შესწავლილი მხატვრული ლიტერატურისა და ლიტმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- გამართულად <u>წარმართავს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას</u> სამიზნე აუდიტორიასთან და <u>მონაწილეობს დისკუსიაში</u> პროფესიული ტერმინოლოგიისა და შესაბამისი საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

- ენის სტილისტიკისა და დარგობრივი თარგმანის ცოდნის საფუძველზე, *(თარგმანის კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში)* აანალიზებს და თარგმნის სხვადასხვა სპეციფიკის ტექსტს; ასრულებს წერილობით და ზეპირ (თანმიმდევრულ) თარგმანს ათვისებული ცოდნის გამოყენებით;
- შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, ატარებს კვლევას და ამზადებს ნაშრომს აკადემიური მოთხოვნების დაცვით, შესაფერისი სირთულის კონკრეტულ ფილოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით;
- მოიძიებს ინფორმაციას კონკრეტულ ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე; მიღებული ცოდნის საფუძველზე, აჯამებს და აანალიზებს მას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებს; ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, მიღებული ცოდნის სრულყოფასა და გაღრმავებაზე, გეგმავს დროს და პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ საქმიანობას.

ინდიკატორები

- მსჯელობას წარმართავს აკადემიურ ჩარჩოებში, აზრს აყალიბებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით;
- განსაზღვრავს და იყენებს ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ობიექტურობა, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება.

დასაქმების სფეროები: კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ:

- ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება ინგლისური ენის სპეციალისტი, ტექსტის შედგენის, რედაქტირისა თუ თარგმანის (კონცენტრაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში) განხრით (მედიაკომპანიები, გამომცემლობები, ფინანსური თუ ტურისტული კომპანიები და ა. შ.);
- საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;
- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.

6.18. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0313)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში და ბაკალავრის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მოცემულ პროგრამას გააჩნია 3 ძირითადი მიზანი:

პროგრამის პირველი მიზანია დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით და შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინტერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში.

პროგრამის მეორე მიზანია ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიისა და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის შეძენა.

პროგრამის მესამე მიზანია ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ შემდეგი შედეგები:

სწავლის შედეგი 1

სტუდენტები ავლენენ ფსიქლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას.

- აღწერენ ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, შესწავლის საგანს და ისტორიულ წანამძღვრებს;
- განასხვავებენ ფსიქოლოგიის სფეროს ქცევით, ბიოლოგიურ-კოგნიტურ, ჰუმანისტურ, ფსიქოდინამიკურ და სოციოკულტურულ პერსპექტივებს;

- ავლენენ ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორიცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების სისტემურ ცოდნას;
- აჯამებენ და იყენებენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კლინიკური, სოციალური და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კვლევის შედეგებს.

სწავლის შედეგი 2

კვლევის თანამედროვე საშუალებებისა და მიდგომების გამოყენებით, სტუდენტები ატარებენ კვლევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

- გამოყოფენ ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, სტატისტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს;
- იყენებენ აღწერით და დასკვნით სტატისტიკურ მიდგომებს მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავების მიზნით;
- იყენებენ კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სტატისტიკური ანალიზის სტრატეგიებს;
- ახდენენ საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას.

სწავლის შედეგი 3

სტუდენტები იყენებენ მოცემული სფეროს ფუნდამენტური ეთიკური პრინციპებისა და პასუხიმგებლობის შესახებ ცოდნას.

- განასხვავებენ ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს;
- განსაზღვრავენ და იყენებენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ჰუმანურობა, კონფიდენციალობა, ტოლერანტობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება;
- ითვალისწინებენ ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში;
- მონაწილეობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასა და დამკვიდრების პროცესებში.

სწავლის შედეგი 4

სტუდენტები ავლენენ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაწყვეტისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

- აანალიზებენ და იყენებენ შესაბამის ინფორმაციას (ინტერნეტის წყაროებიდან, საბიბლიოთეკო წყაროებიდან) ამოცანების გადაწყვეტის მიზნით;
- ანალიზის საფუძველზე, გამოყოფენ და გადაამუშავებენ ამოცანების ან პრობლემების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- იყენებენ რთული ამოცანების გადაჭრის ახლებურ და ორიგინალურ მეთოდებს;
- კრიტიკულად აანალიზებენ ფსიქოლოგიური საკითხების შესახებ ინფორმაციას და აყალიბებენ სათანადო დასკვნებს.

სწავლის შედეგი 5

კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, სტუდენტები ავლენენ სწავლის გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

- ავლენენ პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს;
- აყალიბებენ იდეებს და ახორციელებენ პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

- გეგმავენ და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით;
  ადეკვატურად აფასებენ სწავლის გაგრძელების საკუთარ შესაძლებლობებს და შეიმუშავებენ შესაბამის გეგმას.

დასაქმების სფეროები: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ.

6.19. ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა سااკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0313)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მოცემულ პროგრამას გააჩნია 3 ძირითადი მიზანი:

პროგრამის პირველი მიზანია დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით და შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში.

პროგრამის მეორე მიზანია ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის, კლინიკური ფსიქოლოგიისა და შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის შეძენა.

პროგრამის მესამე მიზანია ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: **სწავლის შედეგი** 1

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები ავლენენ ფსიქლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას.

- აღწერენ ფსიქოლოგიის, როგორც სოციალური მეცნიერების, შესწავლის საგანს და ისტორიულ წანამძღვრებს;
- განახსვავებენ ფსიქოლოგიის სფეროს ქცევით, ბიოლოგიურ კოგნიტურ, ჰუმანისტურ, ფსიქოდინამიკურ და სოციოკულტურულ პერსპექტივებს;
- ავლენენ ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორიცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოაციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამინური რესურსების, სისტემურ ცოდნას;
- აჯამებენ და იყენებენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის, კლინიკურის, სოციალურის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კვლევის შედეგებს.

სწავლის შედეგი 2

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები კვლევის თანამედროვე საშულებებისა და მიდგომების გამოყენებით ატარებენ კვლევას (ხელმძღვანელობით/რეკომენდაციებით).

- გამოყოფენ ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად ეტაპებს, მათ შორის, ჰიპოთეზის ფორმულირების, შემოწმების, სტატისტიკური დამუშავებისა და შეზღუდვების გათვალისწინების საფეხურებს.
- იყენებენ აღწერით და დასკვნით სტატისტიკურ მიდგომებს მონაცემთა რაოდენობრივი დამუშავების მიზნით;
- იყენებენ კვლევისათვის აუცილებელი მსჯელობისა და სტატისტიკური ანალიზის სტრატეგიებს;
- ახდენენ საკვლევი საკითხების სათანადოდ ფორმულირებას, კვლევის შესაბამისი მეთოდების შერჩევას, ასევე შესაბამისი ლიტერატურის მოძიებასა და შეჯამებას.

სწავლის შედეგი 3

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები იყენებენ მოცემული სფეროს ფუნდამენტური ეთიკური პრინციპებისა და პასუხიმგებლობის შესახებ ცოდნას.

- განასხვავებენ ინფორმაციის გამოყენების ეთიკურ და არაეთიკურ საშუალებებს;
- განსაზღვრავენ და იყენებენ ძირითად ეთიკურ პრინციპებს, როგორიცაა ჰუმანურობა, კონფიდენციალობა, ტოლერანტობა, სხვათა უფლებების დაცვა და პროფესიული კეთილსინდისიერება;
- იყენებენ ფსიქოლოგიური ეტიკის სტანდარტებს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემების გაზიარების პროცესში.
- მონაწილეობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და დამკვირების პროცესებში.

სწავლის შედეგი 4

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები ავლენენ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაწყვეტისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

- აანალიზებენ და იყენებენ შესაბამის ინფორმაციას (ინტერნეტის წყაროებიდან, საბიბლიოთეკო წყაროებიდან) ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- ანალიზის საფუძველზე, გამოყოფენ და გადაამუშავებენ ამოცანის ან პრობლემის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- გამოიმუშავებენ რთული ამოცანების გადაჭრის ახლებურ და ორიგინალურ მეთოდებს;
- აფასებენ კვლევის ძლიერ და სუტს მხარეებს, კრიტიკულად აანლიზებენ ფსიქოლოგიური საკითხების შესახებ ინფორმაციას.

სწავლის შედეგი 5

პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტები საერთაშორისო პროგრამებში მონაწილობის მისაღებად და/ან შემდგომ (მაგისტრატურის) საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად ავლენენ საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

- ავლენენ პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.
- ავლენენ ინგლისური ენის შესაბამის კომპეტენციას, მათ შორის პროფესიული კომუნიკაციის და სამუშაო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელ ტერმინოლოგიასა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს.
- აყალიბებენ იდეებს და გეგმავს პროექტებს დამოუკიდებლად;
- გეგმავენ და ახორციელებს შესაბამის ამოცანებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.
- ავლენენ კულტურული მარავლფეროვნების მიმართ ტოლერანტობას, ასევე აცნობიერებენ ყოველდღიური პრობლემების ფსიქოლოგიური სირთულესა და განუსაზღვრელობას;

- აფასებენ სასწავლო პროცესს და ეფექტურად წყვეტენ წამოჭრილ პრობლემებს;
- იკვლევენ და ადეკვატურად აფასებენ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირისათვის არსებულ განათლებისა და კარიერულ შესაძლებლობებს.

დასაქმების სფეროები: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს პროგრამის დასრულებამდე დაიწყოს ზრუნვა პროფესიულ კარიერაზე, ჩაერთოს სტაჟირების პროგრამებში.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში და სხვ. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები; ტრენინგის ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარი; ბავშვთა და მოზრდილთა პოლიკლინიკა, ბავშვთა და მოზრდილთა სარეაბილიტაციო ცენტრები; ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო ცენტრები; სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებები (საბავშვო ბაღი და სკოლა), სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური ცენტრები, კერძო პრაქტიკა და ა.შ.

6.20. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა საკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის ბაკალავრი (0314)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები: სოციოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას; სტუდენტთა მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მობილობისათვის, შრომის ბაზრის დაკომპლექტებას ზოგადსაკაცობრიო პრინციპების, ფასეულობების, დემოკრატიული ღირებულებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრებით.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი თავისებურებების, სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების, ზოგადსოციოლოგიური პრინციპების, ღირებულებების, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივი თანაცხოვრების წინააღმდეგობებისა და განვითარების სამომავლო ტენდენციების შესახებ;
- უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სოციოლოგიურ თეორიებს, დარგობრივ სოციოლოგიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული საბაზისო ცოდნის დაუფლება და მის საფუძველზე ემპირიული, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
  კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ეთიკური პრინციპების გაცნობიერების, კომუნიკაციის, ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამა სწავლის შემდეგ შედეგებზე გადის:

სწავლის შედეგი 1

ავლენს სოციოლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას:

- ✓ აღწერს სოციოლოგიის შესწავლის საგანსა და სხვადასხვა თეორიული მიდგომებს;
- ✓ კრიტიკულად იაზრებს სოციოლოგიის თეორიებსა და პრინციპებს, აზროვნებს აბსტრაქტულად;
- ✓ პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გაანალიზებისათვის არჩევს შესაბამისი თეორიულ მიდგომას;

- ✓ მსჯელობს სოციოლოგიის სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელ პრობლემებსა და გამოწვევებზე.

სწავლის შედეგი 2

გეგმავს და ატარებს კვლევას წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

- ✓ ახდენს პრობლების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს კვლევის მიზანს, ამოცანებსა და კვლევის რელევანტურ მეთოდს;
- ✓ ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით გეგმავს კვლევას და აგროვებს მონაცემებს;
- ✓ ამუშავებს და აანალიზებს მონაცემებს.

სწავლის შედეგი 3

აზროვნებს კრიტიკულად და აანალიზებს ინფორმაციას.

- ✓ ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათ გადასაჭრელად იყენებს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს;
- ✓ იძიებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, გადაამუშავებს და აანალიზებს მათ;
- ✓ აფასებს პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების ძლიერ და სუსტ მხარეებს;
- ✓ პოულობს საუკეთესო გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთებით.

სწავლის შედეგი 4

წარმართავს დისკუსიას და წარმოადგენს პრეზენტაციას სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

- ✓ წარმართავს დისკუსიას სხვადასხვა თემაზე და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს;
- ✓ ამზადებს კვლევითი თუ ანალიტიკური პროექტის შედეგების ანგარიშს:
- ✓ საჯაროდ წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს თუ კვლევითი/ანალიტიკური პროექტების შედეგებს.

სწავლის შედეგი 5

კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

- ✓ ავლენს შესაბამისი პროფესიული და სამეცნიერო ლიტერატურის ასათვისებლად, აკადემიური კომუნიკაციისა და სამუშაო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელ თორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- ✓ ავლენს პროფესიული და სამეცნიერო წერითი და ვერბალური ეფექტური კომუნიკაციის უნარებს;

გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ამოცანებს სამუშაო ჯგუფის სხვა წევრების მოსაზრებებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.

დასაქმების სფეროები: სოციოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი, პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციებს, ფირმებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საკონსულტაციო-ანალიტიკურ ცენტრებსა და კომპანიებს შეიძლება დასჭირდეს.

უფრო კონკრეტულად სოციოლოგიის ბაკალავრს შეეძლება დასაქმდეს: განათლების, პოლიტიკის, ეკონომიკის, მედიცინის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში მკვლევარ-ანალიტიკოსად; მარკეტინგისა და პიარ-კომპანიებში, იმიჯ-ცენტრებში; მედიისა და კომუნიკაციების სფეროში, სარეკლამო სააგენტოებში; არტ-სააგენტოებში და არტ-ბიზნესის სფეროში; საგამომცემლო ბიზნესში; სოციოლოგიური და ანალიტიკური კვლევის ცენტრებში; სხვადასხვა ორგანიზაციების მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.

6.21. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

www.csh.ge

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი (0232)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტი და კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა უზრუნველყოფს:

- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას;
- სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის სათანადოდ სწავლების, შესწავლისა და გამოყენებისათვის თანამედროვე პირობების შექმნას;
- სტუდენტთა მომზადებას საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელმწიფო ენის სწავლებისა და პოპულარიზაციისათვის, მაგალითად, ქართულ დიასპორასთან ურთიერთობისას;
- პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის ჩამოყალიბებას და პროფესიულ განვითარებას;
- კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას, დაფუძნებულს ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე, ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე.

პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს შესძინოს კომპლექსური ცოდნა ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ინტერდისციპლინური საკითხების, ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების თავისებურებების, ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული ლიტერატურის შესახებ;
- სტუდენტს შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ენათმეცნიერული თეორიები; განუვითაროს ლინგვისტური წყაროების ანალიზის უნარი; გააცნოს ქართველურ ენათა სპეციფიკა; ციფრული ჰუმანიტარიის საფუძვლები;

- გადასცეს სტუდენტს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიულ-შემეცნებითი პროცესების საკვანძო საკითხებზე თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის უახლეს ასპექტებს;

  განუვითაროს სტუდენტს ნაწარმოების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი; შეასწავლოს კლასიკური ენების, ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის საფუძვლები, როგორც ზოგადი ფილოლოგიური განათლების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

  საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული დაუფლებულია შემდეგ კომპეტენციებს:

  სწავლის შედეგი 1.

  აღწერს ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს, რომელიც მოიცავს ზოგადად ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო, საკვანძო საკითხებსა და განვითარების ეტაპებს.

  ინდიკატორები

- მსჯელობს ქართული ფილოლოგიის ძირითად სამეცნიერო საკითხებზე, განავრცობს და აჯამებს ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს;
- განიხილავს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებს;
- აღწერს ციფრული ჰუმანიტარიის კვლევის ინსტრუმენტებს;
- აღწერს და განაზოგადებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართებას მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებთან, როგორც ისტორიული წარსულის მიხედვით, ისე თანამედროვე კონტექსტში.

  სწავლის შედეგი 2.

  აღწერს და განმარტავს ქართველური ენათმეცნიერების, სალიტერატურო ენის ძირითად საკითხებს, მსჯელობს ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის ძირითადი საკითხების შესახებ; განიხილავს ლინგვისტური კვლევისა და ენობრივი ვარიაციების ასპექტებს, ენის ცვლილების შესაძლებლობებსა და მის როლს საზოგადოებაში.

  ინდიკატორები

- განაზოგადებს **ქართველური ენათმეცნიერების** ძირითად სამეცნიერო საკითხებს, მსჯელობს და წერილობით გადმოსცემს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს;
- განმარტავს ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიისა და სტილისტიკის საკვანძო საკითხებს;
- განარჩევს და იყენებს ენათმეცნიერული კვლევის აუცილებელ ინსტრუმენტებს; ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების ანალიზისას არგუმენტირებულად და, შეძლებისდაგვარად, კრიტიკულად
  აფასებს და აფიქსირებს საკუთარ თვალსაზრისს ლინგვისტური მონაცემების კვლევის აუცილებელი, საბაზისო ცოდნის საფუძველზე;

- გამოკვეთს და ასახელებს თანამედროვე საენათმეცნიერო კვლევების ტენდენციებსა და თავისებურებებს.

  სწავლის შედეგი 3.

მსჯელობს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებისა და პრინციპების, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხების შესახებ.

ინდიკატორები

- მსჯელობს, განარჩევს, განიხილავს და განავრცობს ლიტერატურის თეორიის კვლევის აუცილებელ ინსტრუმენტებს, ავლენს ტექსტის კვლევის აუცილებელ საბაზისო ცოდნას;
- განიხილავს თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებს;
- აღწერს და მსჯელობს ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების პროცესებზე;
- განიხილავს მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით;
- კითხულობს და აანალიზებს ლიტერატურულ ტექსტებს, ქმნის გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, აკადემიური სტანდარტის შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს;
- აღწერს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და მისი განვითარების საკვანძო ეტაპებს.

სწავლის შედეგი 4.

აგროვებს, ამუშავებს, განავრცობს, შეარჩევს და განმარტავს სფეროს შესაბამის მონაცემებს; მოქმედებს ავტონომიურად და თეორიული მასალის ცოდნას წერილობით ან ზეპირად ადასტურებს; შესაბამისად, საკითხებს იაზრებს და, მიღებული ფართო ცოდნის საფუძველზე, გადმოსცემს არგუმენტირებულად.

ინდიკატორები

- განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს;
- იყენებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს;
- აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, დასაბუთებულ დასკვნებს;
- ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, ქართული ლიტერატურის ანალიზისას შეიმუშავებს კრიტიკულ მიდგომას;
- განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს;
- ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით აანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ მოვლენებს;
- გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების მიმართ;
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში მოქმედებს საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგი 5.

ქმნის აკადემიური სტანდარტის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს ჰუმანიტარული სფეროს შესაბამისი თუ მეცნიერების ნებისმიერი დარგისთვის დამახასიათებელი მეთოდების საფუძველზე.

ინდიკატორები

- განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს;

- ერკვევა, ხსნის და გადმოსცემს ქართული ენის ფონეტიკა -ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართული ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიის საბაზისო საკითხებს;
- არგუმენტირებულად იზიარებს ან არ იზიარებს ლიტერატურულ კრიტიკას და იყენებს კვლევით მეთოდებს კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით;
- ქმნის აკადემიური სტანდარტის შესაბამისი ფორმატის, ლოგიკურად დასაბუთებულ და არგუმენტირებულ ნაშრომს და ამჟღავნებს კრიტიკული კითხვის, შემოქმედებითი და ანალიტიკური წერის უნარს. მსჯელობას წარმართავს აკადემიურ ჩარჩოებში, აზრს აყალიბებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით.

დასაქმების სფეროები: ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების, საგამომცემლო, სარედაქციო, საარქივო და საბიბლიოთეკო სფეროებში, საჯარო და არასაჯარო სექტორში, ბეჭდურ, ციფრულ და ტელე-ჟურნალისტიკაში, სარეკლამო და საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.

6.22. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

www.cu.edu.ge/ka/schools/cts

პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი (1120)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავდეს დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში.

პროგრამა სტუდენტს აძლევს პროფესიისათვის საჭირო ცოდნას და უვითარებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ უნარებს, რათა კურსდამთავრებულებმა ტურიზმის ინდუსტრიაში შეიქმნან წარმატებული კარიერა.

პროგრამის გავლის შემდეგ მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარები ტურიზმის პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს ჩაერთონ ტურიზმის ბიზნესში, დასაქმდნენ ტურიზმის მიმართულებით როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშავდეს ტურიზმის მიმართულებით პროექტების მართვის უნარი. გაეცნოს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და რესურსებს, აგრეთვე სტუდენტებმა განსაზღვრონ ტურისტული პროდუქტის განვითარების ძირითადი პრინციპები; შეძლონ საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრების ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზი.

პროგრამის კურიკულუმი ფარავს როგორც ტურიზმის დარგის სასწავლო კურსებს, ისე ზოგად საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს. დარგობრივი მოდული ასევე მოიცავს ტურიზმის მენეჯმენტის სასწავლო კურსებს, რითაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროში, როგორც დარგობრივი სპეციალისტების, ასევე მენეჯერების პოზიციების დაკავებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულ იქნა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში არსებული პროგრამების მიხედვით და მათი გამოცდილების გაზიარებით. შესაბამისად, ეს პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის შექმნილი და იძლევა სიღრმისეულ მაღალხარისხიან განათლებას ტურიზმის სფეროში დარგობრივი აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით. პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორების მიხედვით:

1. **ფლობს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს და აქვს შესაბამისი კომპონენტების საფუძვლიანი ცოდნა.**

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია საკუთარ საქმიანობაზე რეფლექსიის დაწერა და საჭირო მასალების დამუშავება და ანალიზი;
- შეუძლია დროსა და სივრცეში სასწავლო რესურსების ეფექტური მართვა;
- ახდენს საჭირო ჩანაწერებისა და ჩანიშვნების ორგანიზებას და მათ ეფექტურ გამოყენებას;
- აქვს უნარი დაგეგმოს და წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი;

2. **იცის ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითადი თეორიები და კონცეფციები.**

შეფასების ინდიკატორები:

- იცის ტურიზმის ინდუსტრიის ძირითადი კომპონენტები და მათი ურთიერთდამოკიდებულება, აანალიზებს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის პროცესს;
- ესმის ტურიზმის ინდუსტრიის არსი, ანალიზის და ფორმულირების ძირითადი ცნებები;
- შეუძლია ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც კერძო, ასვე საჯარო ორგანიზაციების მართვის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების გამოყენება საქართველოს და საერთაშორისო მაგალითზე;

3. **შეუძლია ტურიზმის სფეროში პროექტებისა და ბიზნეს გეგმების შექმნა და განხორციელება.**

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია პროექტისა და ბიზნეს გეგმის იდეის შექმა, საჭირო მასალების დამუშავება და ანალიზი;
- ახდენს პროექტის იდეის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრას, შეუძლია შედეგების ანალიზი;
- ახდენს საჭირო პარტნიორების მოძიებას და მათთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვას.
- აქვს უნარი შექმნას და მართოს პროექტი და ბიზნეს იდეა;

4. **შეუძლია ტურიზმის პოლიტიკისა და ეკონომიკის არსებული მდგომარეობის შეფასება და დაგეგმვა ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;**

შეფასების ინდიკატორები:

- იცის საჯარო და კერძო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის თავისებურებები, ტურიზმის მიმართულებით არსებული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი ფორმები;
- აქვს უნარი შეაფასოს ტურიზმის წილი ეკონომიკაში და ანალიზი გაუკეთოს სამომავლო პროცესების განსაზღვრას;
- შეუძლია განსაზღვროს ტურიზმის პოლიტიკის პრიორიტეტები და შედარებითი ანალიზი გააკეთოს ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;
- აქვს უნარი განსაზღვროს ტურიზმის პოლიტიკა და გააანალიზოს მისი როლი სახელმწიფოს განვითარებაში;

5. **იცის ტურიზმის საერთაშორისო ბაზრები, მისი მარკეტინგული სტრატეგია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;**

შეფასების ინდიკატორები:

- იცის ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიული მიდგომები საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებაში;
- იცის ტურისტული მიმართულების სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგია და განხორციელების საშუალებები;
- იცის ტურისტული მიმართულებისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტები.

6. **იცის საქართველოს ტურისტული რესურსები; შეუძლია მათი მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;**

შეფასების ინდიკატორები:

- შეუძლია საქართველოს ტურისტული რესურსების შეფასება და ანალიზი;
- იცის საქართველოს ტურისტული რესურსების მახასიათებლები და შეუძლია მათი კლასიფიკაცია;
- შეუძლია საქართველოს ტურისტული რესურსების განვითარებისა და გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრა;

7. **შეუძლია ტურისტული კომპანიის მართვა, ტურის დაგეგმვა და მენეჯმენტი;**

შეფასების ინდიკატორები:

- იცის ტურისტული კომპანიის მართვის პრინციპები; ტურისტული ორგანიზაციების სახეები, მათი საქმიანობა და ამოცანები;
- იცის ტურისტული ბაზრის დაგეგმვა და მართვა; საერთაშორისო მოგზაურობის მახასიათებლები;
- შეუძლია მარშრუტების აღწერა, მათი დაგეგმვა, დროში გაწერა და მართვა;
- იცის მომსახურების მომწოდებლები, მათთან პარტნიორობა და ხელშეკრულებების ფორმები;
- იცის საგადასახადო შეღავათები და ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა

8. **შეუძლია სასტუმრო ბიზნესის მართვა, იცის მისი სტანდარტები და დივერსიფიკაცია;**

შეფასების ინდიკატორები:

- იცის სასტუმრო ბიზნესის მართვის სპეციფიკა და შესაძლებლობა;
- შეუძლია ბაზრის სტატისტიკური ანალიზი და შედარებითი კოეფიციენტები;
- იცის პარტნიორებთან ურთიერთობის სპეციფიკა და ვალდებულებები;
- იცის სასტუმროს კატეგორიები, მათი სეგმენტისა და დადგენის მეთოდები;
- იცის სასტუმრო ბიზნესის დაგეგმვის საფეხურები და მათი მართვის ინსტრუმენტები;

დასაქმების სფეროები: ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი სეგმენტისგან, რომელთა შორის ძირითადია: სატრანსპორტო, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, რეკრეაცია და გასართობი ინდუსტრია. ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თითოეულ მიმართულებას მრავალი სამუშაო ადგილი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორშიც.

ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტურიზმიდან შემოსული შემოსავალიც საგრძნობლადაა გაზრდილი და უკვე ერთ მილიარდ აშშ დოლარსაა გადაჭარბებული. სფეროს განვითარებასთან და მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება მიწოდებაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ, შესაბამისად კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის საჭიროება უმნიშვნელოვანესია დღესდღეობით. თუმცა, უმთავრეს გამოწვევას სწორად მცოდნე და მრავალფეროვანი უნარების მქონე კადრების ნაკლებობა წარმოადგენს. შესაბამისად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და უნარების გაღრმავებას ტურიზმის სფეროში და ხელს შეუწყობს ამავე ინდუსტრიის გრძელვადიან განვითარებას.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შემდეგ სტრუქტურებში:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;

- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობითი ერთეულები;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები;
- ტურისტული ადგილების მმართველი ორგანიზაციები;
- სატრანსპორტო კომპანიები;
- განთავსების საშუალებები;
- ტურისტული კომპანიები;
- რესტორნები და კვების ობიექტები;
- გასართობი და ღონისძიებების ინდუსტრია;
- ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები;
- ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები;
- ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ტურიზმის ინდუსტრია დიდია და გამოირჩევა მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით და ამ დარგში არსებულ კადრებს კარიერული წინსვლის დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს.

6.23. ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

ტურიზმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა www.cu.edu.ge/ka/schools/cts	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი (1015)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: **ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:**

- სტუდენტს გამოუმუშავდეს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში;
- სტუდენტი ჩაერთოს ტურიზმის ბიზნესში, დასაქმდეს ტურიზმის მიმართულების, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში, ასევე მიეცეს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაზე;
- სტუდენტს გამოუმუშავდეს ტურიზმის მიმართულებით პროექტების მართვის უნარი, გაეცნოს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და რესურსებს;
- სტუდენტმა განსაზღვროს ტურისტული პროდუქტის განვითარების ძირითადი პრინციპები, მოახდინოს საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრების ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზი;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულ იქნა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში არსებული პროგრამების მიხედვით და მათი გამოცდილების გაზიარებით. შესაბამისად, ეს პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის შექმნილი და იძლევა სიღრმისეულ მაღალხარისხიან განათლებას ტურიზმის სფეროში დარგობრივი აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით. პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორების მიხედვით:

1. **განმარტავს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს;**

შეფასების ინდიკატორები:

- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად კომპონენტებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას;
- აანალიზებს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის პროცესს;
- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის არსს, ანალიზის და ფორმულირების ძირითადი ცნებებს;
- აღწერს ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციების მართვის ძირითად პრინციპებისა და მიმართულებებს , საქართველოს და საერთაშორისო მაგალითზე.

2. **აღწერს ტურიზმის საერთაშორისო ბაზრებს, მათ მარკეტინგულ სტრატეგიას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;**

შეფასების ინდიკატორები:

- იდენტიფიცირებას უკეთებს ტურისტული მიმართულების პოზიციონირების სტრატეგიული მიდგომებს საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებაში;
- აღწერს ტურისტული მიმართულების სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგიას და განხორციელების საშუალებებს;
- იდენტიფიცირებას უკეთებს ტურისტული მიმართულებისთვის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტებს.

3. **აღწერს მსოფლიოს ტურისტული რესურსებს, მათი შეფასებისა და ანალიზის მეთოდებს;**

შეფასების ინდიკატორები:

- აღწერს მსოფლიოს ტურისტული რესურსებს
- აღწერს ტურისტული რესურსების მახასიათებლებს და კლასიფიკაციას უკეთებს მათ.
- აანალიზებს მსოფლიოს ტურისტული რესურების განვითარების და გამოყენების პერსპექტივას

4. **იყენებს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს;**

შეფასების ინდიკატორები:

- წერს საკუთარ საქმიანობაზე რეფლექსიას, ამუშავებს მასალებს და ანალიზის უკეთებს მათ;
- ეფექტურად მართავს დროსა და სივრცეში სასწავლო რესურსებს
- ორგანიზებას უკეთებს ჩანაწერებსა და ჩანიშვნებს და ეფექტურად იყენებს მათ;
- გეგმავს და მართავს საკუთარ სწავლის პროცესს;

5. **ქმნის ტურიზმის სფეროში პროექტებსა და ბიზნეს გეგმებს;**

შეფასების ინდიკატორები:

- ქმნის პროექტსა და ბიზნეს გეგმას, ამუშავებს საჭირო მასალებს და ანალიზს უკეთებს მათ;
- საზღვრავს პროექტის მიზანსა და ამოცანებს ასევე აანალიზებს შედეგებს ;
- იძიებს საჭირო პარტნიორებს და წარმართავს მათთან საქმიან ურთიერთობს
- ქმნის და მართავს პროექტს და ბიზნეს იდეას;

6. **აფასებს და გეგმავს ტურიზმის პოლიტიკასა და ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას როგორც ადგილობრივ ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;**

შეფასების ინდიკატორები:

- ახორციელებს მიღებული ცოდნის საჯარო და კერძო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის თავისებურებების, ტურიზმის მიმართულებით არსებული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი ფორმების პრაქტიკაში.
- აფასებს ტურიზმის წილს ეკონომიკაში და აანალიზებს სამომავლო პროცესებს .
- საზღვრავს ტურიზმის პოლიტიკის პრიორიტეტებს და შედარებითი ანალიზს აკეთებს, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

- საზღვრავს ტურიზმის პოლიტიკას და აანალიზებს მის როლს სახელმწიფოს განვითარებაში.

7. მართავს ტურისტული კომპანიას, გეგმავს ტურს და ორგანიზებას უკეთებს მას;
შეფასების ინდიკატორები:

- საზღვრავს ტურისტული კომპანიის საქმიანობას და ამოცანებს ;
- გეგმავს და მართავს საქმიანობას ტურისტული ბაზარზე საერთაშორისო მოგზაურობის მახასიათებლებზე;
- აღწერს, გეგმავს და მართავს მარშრუტებს პარტნიორობს მომსახურების მომწოდებლებთან;
- პრაქტიკაში იყენებს ცოდნას საგადასახადო შეღავათების და ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ;

8. მართავს სასტუმრო ბიზნეს, იდენტიფიცირებას უკეთეს სტანდარტებს;
შეფასების ინდიკატორები:

- მართავს სასტუმრო ბიზნესს ;
- სტატისტიკურად აანალიზებს ბაზარს, საზღვრავს შედარებით კოეფიციენტებსდა აწარმოებს პარტნიოერებთან ურთიერთობასადგენს სასტუმროს კატეგორიებს, და მათ სეგმენტებს;

დასაქმების სფეროები: ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი სეგმენტისგან, რომელთა შორის ძირითადია: სატრანსპორტო, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, რეკრეაცია და გასართობი ინდუსტრია. ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თითოეულ მიმართულებას მრავალი სამუშაო ადგილი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორშიც.

ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტურიზმიდან შემოსული შემოსავალიც საგრძნობლადაა გაზრდილი და უკვე ერთ მილიარდ აშშ დოლარსაა გადაჭარბებული. სფეროს განვითარებასთან და მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება მიწოდებაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ და კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის საჭიროება უმნიშვნელოვანესია დღესდღეობით. თუმცა, უმთავრეს გამოწვევას სწორად მცოდნე და მრავალფეროვანი უნარების მქონე კადრების ნაკლებობა წარმოადგენს. შესაბამისად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და უნარების გაღრმავებას ტურიზმის სფეროში და ხელს შეუწყობს ამავე ინდუსტრიის გრძელვადიან განვითარებას.

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შემდეგ სტრუქტურებში:

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობითი ერთეულები;
- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები;
- ტურისტული ადგილების მმართველი ორგანიზაციები;
- სატრანსპორტო კომპანიები;
- განთავსების საშუალებები;
- ტურისტული კომპანიები;
- რესტორნები და კვების ობიექტები;
- გასართობი და ღონისძიებების ინდუსტრია;

- ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები;
- ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები;
- ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ტურიზმის ინდუსტრია დიდია და გამოირჩევა მრავალფეროვანი პოზიციების ფართო არჩევანით და ამ დარგში არსებულ კადრებს კარიერული წინსვლის დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს.

6.24. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა www.sms.ge	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში (0203)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმალათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციების, ასევე საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდებით.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ჯანდაცვის მართვის ზოგადი და ფართო ცოდნა, რაც ჯანდაცვის მართვის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას მოიცავს. ამასთან აღსანიშნავია, რომ მუდმივად ცვალებად შრომით ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადია ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, ანალიზის, არგუმენტაციის, პრობლემების შეფასებისა და შემოქმედებითად გადაჭრის, გუნდში ეფექტურად მუშაობის უნარი, რომელთა შემუშავებისკენ არის მიმართული ბაკალავრიატის საბაზისო მოდული.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პროგრამის დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, კერძოდ, ჯანდაცვის ადმინისტრირების ზოგადი

და ფართო ცოდნის მიღებაზე, რაც გულისხმობს ჯანდაცვის ადმინისტრირების მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების შესწავლას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამა საქართველოში ჯანდაცვის მართვის სისტემაში ჩართული პრაქტიკოსების, სპეციალისტების, ჯანდაცვის სექტორში დამსაქმებლებისა და საზღვარგარეთ ჯანდაცვის ადმინისტრირების წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით ადგენს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მიერ შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

- კურსდამთავრებულს ექნება ჯანდაცვის ადმინისტრირების ფართო ცოდნა;
- ექნება სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართლის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ჯანდაცვის ეკონომიკის, მართული დახმარების საბაზისო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, ჯანდაცვის მართვის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას;
- შეეძლება სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მეთოდების გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად;
- შეეძლება სამედიცინო ორგანიზაციის მართვის, ჯანდაცვის მარკეტინგის, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების მართვის, ჯანდაცვის სამართალის, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- ექნება ჯანდაცვის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, ანალიზის უნარი;
- ექნება დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- ექნება ქართულ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- ექნება შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის უნარი;
- შეეძლება რეფერატული სახის შრომის მომზადება;
- შეეძლება საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნესის ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- შეეძლება კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით წარდგენა/პრეზენტაცია;
- ექნება საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების და სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- შესაძლებლობა ექნება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შეისწავლოს ჯანდაცვის სფეროს ღირებულებები, ჯანდაცვისა და ფარმაციის მენეჯმენტში ქცევის ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები.

დასაქმების სფეროები: ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მენეჯერის თანამდებობა ბიზნესის სექტორში, ასევე შესაბამისი თანამდებობა სახელმწიფო სტრუქტურებში დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, არასახელმწიფო სექტორში (პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჰოსპიტალური, ფარმაცევტული და შემდგომი სპეციალიზირებული მომსახურების ჯანდაცვის დაწესებულებები) სხვადასხვა მიმართულებებისა და დონის მენეჯერის პოზიციებზე.

დასაქმების სფეროებია:

საავადმყოფოები და ამბულატორიული დაწესებულებები; ფარმაცევტული კომპანიები; პროვაიდერული კომპანიები; არასამთავრობო ჯანდაცვითი ორგანიზაციები; საერთაშორისო ჯანდაცვის პროგრამები საქართველოში; ჯანდაცვის საკონსულტაციო კომპანიები; სახელმწიფო ჯანდაცვის ორგანოები, ჯანდაცვის სადაზღვევო კომპანიები და სხვა.

6.25. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა *www.cse.ge*	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი (0311)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ქართული	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების საფუძვლიანი ცოდნა;

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს ფართო თეორიული ეკონომიკური ცოდნა,
- შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე,
- გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები;
- გააცნოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
- თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;
- კურსდამთავრებულმა პრაქტიკაში გამოიყენოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპები და მეთოდები, მოახდინოს შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული პროექტები;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, მოახდინოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება;

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა

1. გადმოსცემს ეკონომიკის ძირითად პრინციპებსა და თეორიების;
2. აღწერს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
3. აჩვენებს კომპეტენციებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში;
4. ხსნის ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებს.

უნარი

5. იყენებს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებს პრაქტიკაში;
6. ამუშავებს და აანალიზებს ეკონომიკურ მონაცემებს და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. ხელმძღვანელობს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნული ღირებულებებით, ეკონომიკის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა მას ხდის უფრო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებაში, არასამთავრობო სექტორში, კვლევით ინსტიტუტებსა თუ კერძო კომპანიებში.

6.26. ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა *www.cse.ge*	
პაატა სააკაძის ქ. 1, ქ. თბილისი 0102, საქართველო	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი (0311)	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
სწავლების ენა: ინგლისური	სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: მაგისტრატურა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS	პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა: 4 აკადემიური წელი (დასაშვები ხანგრძლივობა 6 აკადემიური წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც აქვს ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და თეორიების საფუძვლიანი ცოდნა;

პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ეკონომიკური ცოდნა,
- შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე,
- გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები;
- გააცნოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
- თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე სტუდენტს შესძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე;
- კურსდამთავრებულს შეეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, პრაქტიკული პროექტების განხორციელება;
- სტუდენტს გამოუმუშავოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები, შეძლოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება;

კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილს შეიტანს იგი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მისიასა და განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა

1. საფუძვლიანად იცნობს ეკონომიკის პრინციპებსა და თეორიებს;

2. აცნობიერებს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;
3. ჩამოყალიბებული აქვს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში;
4. იცნობს ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებს.

უნარი

5. პრაქტიკაში იყენებს ეკონომიკის თანამედროვე პრონციპებს;
6. ამუშავებს ეკონომიკურ ამოცანებს, აანალიზებს მათ და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ხელმძღვანელობს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნული ღირებულებებით, ეკონომიკის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა მას ხდის უფრო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

დასაქმების სფეროები: პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს საჯარო დაწესებულებაში, არასამთავრობო სექტორში, კვლევით ინსტიტუტებსა თუ კერძო კომპანიებში.